ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახალხო ფრონტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
შუალედებში გამოდის მხოლოდ სპეციალური (თემატური) ნომრები. • №8 (2026) 20.12.2006 • ფასი 30 თეთრი

ჯარდული ვიდა არ უნდა ვიჯიდოს

მე-2-4 გვ.

ნ. ნათაძე

ნაციონალიზმი, სოციალიზმი, ფაშიზმი, დემოკრატია, „დემოკრატია" და „შავი ბრბო"

მე-3-6 გვ.

ღალატია, სახელმწიფო სხვას უთმობდეს საკუთარი პრობლემების გადაწყვეტის ინიციატივას!

მე-7 გვ.

(ანუ პოლიტიკური „პოდდავკი"... ერთი არაორდინარული საკონსტიტუციო ინიციატივის თაობაზე)

მე-15 გვ.

ავიაციის ძალა და მისი საზღვრები



მე-8 გვ.

„რაც კარგები ვართ — ქართველები ვართ"

პარლამენტში საქონლისებრი თვითკმაყოფილება სუფევს. ბრმა კნუტები სახელმწიფოს საჭესთან

მე-13 გვ.

სოციალისტის პროგრამა საქართველოსთვის

მე-11-13 გვ.

(აგენტურული იდეა)

გადავარჩინოთ ბავშვები

მე-10 გვ.

(მზადდება მხეცური კანონი)

ბავშვური ციცინი საგარეო პოლიტიკის თემებზე

მე-7, 9, 16 გვ.

(გუბაზ სანიკიძის „აზრის" გამო)

ხიგი ომი ხოხხალია

მე-14 გვ.

ქართული მიწა არ უნდა გაიუქმდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც მოსახლეობის ნახევარი საარსებო მინიმუმით არ არის უზრუნველყოფილი, ხოლო მეოთხედი (მილიონზე მეტი მოქალაქე) საზღვარგარეთ საშოვარზეა გადახვეწილი; როდესაც დამოუკიდებლობის აღდგენიდან მე-15 წელიწადს პომპეზურად აღვნიშნავთ, თუმცა ქვეყნის ტერიტორიის მესამედს ვერ ვაკონტროლებთ, ჯერ-ჯერობით არც რუსის ჯარი გაგვიყვანია და სავსებით შესაძლებელია, ნავთობსადენის გასწვრივ ამერიკულ-თურქული ბაზებიც განვათავსოთ; როდესაც სამართლებრივი ნიჰილიზმია გამეფებული და კორუმპირებული ხელისუფლება ყოფილი „საერთო-სახალხო“ ქონების მორიგი („პოსტშევარდნაძისეული“) გადანაწილებით არის დაკავებული, საკუთარი თავისა და ქართული სახელმწიფოებრიობის გადასარჩენად მართლაც დიდი ძალისხმევა გვმართებს. ენასა და სარწმუნოებასთან ერთად კი, პირველ რიგში, ეროვნულობის ძირითად ბურჯს — მამულს უნდა გაფრთხილება.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის და ქართველი ერის თვითმყოფადობის შენარჩუნების ერთადერთ მყარ საწინდრად სწორედ ქართული მიწა მიმაჩნია.

მართალია, კონსტიტუციაში დეკლარირებულია, რომ „საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის გასხვისება აკრძალულია“, მაგრამ ძალის გამოყენების გარდა, ჩვენი მიწა-წყლის დასაკუთრება, როგორც ჩანს, ლეგიტიმური გზებითაც არის შესაძლებელი. სასოფლო-სამეურნეო მიწის ყიდვა-გაყიდვა ჯერ კიდევ 1996 წელს დავაკანონეთ, რამდენიმე წელიწადში არასასოფლო-სამეურნეო მიწაც ჩავრთეთ „პრივატულ“ ბრუნვაში, „ვარდების რევოლუციის“ გზით მოსულმა ხელისუფლებამ კი ის მიწის ნაკვეთებიც, რომლებიც ჯერ კიდევ რჩებოდა სახელმწიფო საკუთრებაში, მაგრამ შევარდნაძის დროს, ფაქტობრივად, სრული განუკითხაობის ვითარებაში ვადიანი ხელშეკრულებების საფუძველზე იჯარით იყო გაცემული „საახლობლოზე“, მოსარგებლეებს სამუდამო მფლობელობაში შეასყიდა.

ამდენად, ქართული მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი კორუმპირებულმა ხელისუფლებამ ისე გაასხვისა, რომ ადგილობრივ (მუნიციპალურ) საკუთრებაში მისი გადაცემა არც კი უფიქრია. ანუ, საქართველოს ისტორიულ კუთხეში ოდითგანვე მცხოვრებ გლეხკაცს მშობლიური მინდორველი ისე გაუყიდეს, რომ მისთვის არაფერი უკითხავთ... მიწასთან მიმართებაში მმართველ ელიტას არც ცენტრსა და რეგიონებს (მხარეებს) შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნა გაეხსენებია.

სულ ახლახანს, საქართველოს პარლამენტში მთავრობის ინიციატივით შევიდა მორიგი კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს 1999 წელს მიღებულ კანონში „ფიზიკური პირებისა და კერძო იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანას.

განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ:

„მოქმედი კანონის თანახმად შესაძლებელია პრივატიზებულ იქნას მხოლოდ იმ საწარმოების სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილები და აქციები, რომელთაც საწესდებო კაპიტალში შეტანილი აქვთ მათ ქონებაზე დადგენილი წესით დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. საწესდებო კაპიტალში მიწის ნაკვეთების შეტანა დაკავშირებულია მთელ რიგ ქმედებებთან. კერძოდ, ხშირად

ავთანდილ კახნიაშვილი

დასადგენია წითელი ხაზები, დასამზადებელია საკადასტრო რუკები და ტექნიკური პასპორტები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან ხარჯებს. ამის საშუალება კი, უმრავლეს შემთხვევაში, არც საწარმოს და არც სახელმწიფოს არ გააჩნია. შესაბამისად, ფერხდება ასეთი საწარმოების პრივატიზება.“

კანონპროექტის ავტორებსაც, ერთი შეხედვით, თითქოს კეთილშობილი მიზანი ამოძრავებთ და ცდილობენ საკუთარ ქვეყანას (ბიუჯეტის რამდენჯერმე გაზრდის მიუხედავად, როგორც ჩანს, მაინც „არაგადახდისუნარიანს“...) თავიდან აიცილონ მიწის საწესდებო კაპიტალში შეტანის ხარჯები. აღნიშნული კი, თურმე, **„შესაძლებლობას მისცემს სახელმწიფოს, რაც შეიძლება სწრაფად გამოიტანოს საპრივატიზაციოდ ასეთი სახის საწარმოები“.**

იქიდან გამომდინარე, რომ კანონპროექტით **„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების განკარგვა ხდება იმ მიწის ნაკვეთთან ერთად, რომელზედაც ის არსებული წესით არის დამაგრებული“,** შაღალი ალბათობით უნდა ვივარაუდოთ, რომ დღემდე ჯერ კიდევ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, ყოველგვარი ცივილიზებული აღრიცხვის (კადასტრის შედგენის, საზღვრების დადგენის და პასპორტიზაციის) გარეშე, ისევ „სრულიად კანონიერად“ და თანაც ისევ ჩალის ფასად, აღმოჩნდება ადგილობრივი პარტიულ-ნომენკლატურული ელიტის (ფაქტობრივად, „გადამყიდველთა“) ხელში, რომელმაც კარგად იცის შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტებისა და დღევანდელი უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შედეგად ხელოვნურად გაუფასურებული ქართული მიწის სამომავლო („საბაზრო“) ღირებულება. ამ „საქონლის“ რეალური მყიდველები კი მოგვიანებით უთუოდ გამოჩნდებიან...

ის, რომ ე.წ. პირველი ხელის მყიდველთა „შინაურული“ წრე, ფაქტობრივად, წინასწარ არის განსაზღვრული (როგორც ეს საწარმოების პრივატიზაციაა-აქციონირების შემთხვევაში მოხდა), ნათლად ჩანს კანონპროექტითვე გათვალისწინებული შეღავათიდანაც, რომლის თანახმად: **„მიწის ნაკვეთის საფასურის გადახდა შესაძლებელია განხორციელდეს განვადებით, არა უმეტეს ორი წლის განმავლობაში“.**

როგორც ჩანს, იმას, რაც ბოლომდე ვერ გაბედა შევარდნაძემ, „ვარდების რევოლუციის“ გზით ხელისუფლებაში მოსული მთავრობა და საპარლამენტო უმრავლესობა („ნეობოლშევიკები“) განახორციელებენ. ცხადია, ისევდაისევ 90-ზე მეტი პროცენტით „გამარჯვებული ხალხის“ ინტერესებში... ეჭვი არ მეპარება, „უცხოელი მეგობრები“ ამჯერადაც მოგვიწონებენ მორიგ „ნოვაციას“ და უთუოდ შეგვაქებენ მისი დანერგვისას გამოჩენილი ოპერატიულობისთვისაც...

მართალია, 1996 წლიდან მოყოლებული, ქართველ ექსპერტთა უმრავლესობა ყოველად მიუღებლად მიიჩნევს ქართული მიწის საკუთრებაში გადაცემას იმ მექანიზმებით, რომლებსაც ხელისუფლება ეტაპობრივად აკანონებს (მითუმეტეს იმ ვითარებაში, როდესაც სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა ვერ აღუდგენია და მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ე.წ. იძულებით გადაადგილებული პირი ანლტოლვილია), სამაგიეროდ, ჩვენი პოლიტიკოსების საქმიანობას არა მარტო ყოფილ „მოძმე რესპუბლიკებში“, არამედ ოკეანისგაღმაც იწონებენ. მსოფლიო ბანკის ექსპერტებს არაერთხელ განუცხადებიათ, რომ **„ასეთი რეფორმისტული კანონები „დსთ“-ს მასშტაბით არც ერთ სახელმწიფოს არ მიუღია“.**

როგორც ჩანს, ქართველებს ზომიერების გრძნობა არცთუ იშვიათად გვღალატობს და მშობლიური მიწის ყიდვა-გაყიდვაში „ჩემპიონობას“ გამოდევნებულნი (თუნდაც „დსთ“-ს მასშტაბით...) იმანაც კი არ დაგვაფიქრა, რომ მრავალ განვითარებულ ქვეყანაში (მაგალითად, თუნდაც ისრაელში) მიწა დღემდე სახელმწიფო საკუთრებაშია, ხოლო არცთუ მცირემიწიან რუსეთში მიწის განსახელმწიფოებრიობის შესახებ კანონი თითქმის ათი წელი იხილებოდა და მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ 1993 წლის კონსტიტუციით აღიარეს მიწაზე კერძო საკუთრება, მხოლოდ რამდენიმე წლის წინ დაუშვეს საკუთრება მიწის იმ ნაწილზე, რაც ტექნოლოგიურად არის აუცილებელი შენობის ასაგებად. ანუ, რუსეთში დღემდე მხოლოდ იმ მიწას ყიდიან, რომელზეც საცხოვრებელი სახლი ან საწარმო აშენდება. შესაბამისად, საწარმოების პრივატიზაციისას „მათზე დამაგრებული“ მიწის ნაკვეთები მყიდველის საკუთრებაში კი არ გადადის, არამედ სარგებლობის უფლებით გადაეცემა. ხოლო ვისაც დამატებით სურს მიწა, შეუძლია სახელმწიფოსაგან იჯარის წესით აიღოს.

სამაგიეროდ, ჩვენმა პოლიტიკოსებმა მიწის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებული თითოეული კანონი და მასში შეტანილი ცვლილება-დამატებები, ფაქტობრივად, ყოველგვარი განხილვის გარეშე, ე.წ. სტახანოვური წესით მიიღეს. დარწმუნებული ვარ, წარმოდგენილ კანონპროექტსაც, ჩვეულებისამებრ, ერთხმად მიიღებენ (ან უკვე მიღებულიც ექნებათ).

უჭრიანი იქნებოდა, მოგვეყვანა ამონარიდები საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლების (თენგიზ ჩხეიძე, ლევან ფრუიძე, ოთარ საღარეიშვილი, ალექსანდრე ბენდიაშვილი, მიხეილ ღოღობერიძე, ტაგუ მებურიშვილი და სხვები) 10 წლის წინანდელი მიმართვიდან პარლამენტის წევრებისადმი:

„ბატონებო, მიწის საკითხი ქვაკუთხედია არა მარტო ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა, არამედ სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობისაც. მიწის საკითხის გადაწყვეტაზეა დამოკიდებელი საქართველოს მთლიანობის აღდგენა-შენარჩუნება.

მედროვეთა ერთმა ჯგუფმა მოახერხა მიეღო საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგო „გერმანული“ კანონი, რომლითაც დაწესდა მიწის შეუზღუდავი ყიდვა-გაყიდვა.

პარლამენტი და აღმასრულებელი ხელისუფლება ირწმუნება, რომ თითქოს გაერო, მსოფლიო ბანკი და სავალუტო ფონდი ჩვენგან კატეგორიულად მოითხოვენ მიწის სასაქონლო ბრუნვაში მოქცევას. სინამდვილეში კი, მათ მემორანდუმში აღნიშნულია, რომ „მესაკუთრეობისათვის საუკეთესო ფორმა ყიდვაა, მაგრამ 10-დან 50-წლამდე ხანგრძლივ-ვადიანი იჯარა თითქმის იგივე მიზანს აღწევს, რასაც მიწაზე კერძო საკუთრება“.

ამრიგად, გაერო და მსოფლიო ბანკი გვაძლევს არჩევანის საშუალებას. თუ მიწას არ გავყიდით, შეგვეძლება მისი იჯარით გაცემა, როგორც ეს მრავალ ქვეყანაშია მიღებული.

ამავე დროს, გაეროც, მსოფლიო ბანკიც და სავალუტო ფონდიც კატეგორიულად მოითხოვენ მიწის ინვენტარიზაციას, კადასტრის შედგენას, საზღვრების დადგენას და პასპორტიზაციას, რისთვისაც 20 წლიანი დრო განისაზღვრა. საქართველოს ხელისუფლებამ ეს ვადა ჯერ 12 წლამდე შეამცირებინა და ეხლაც ცდილობს კიდევ შემცირებას, რათა სასწრაფოდ დაიწყოს მიწით ვაჭრობა.

რა შეიძლება მოყვეს დღეს მიწის ყიდვა-გაყიდვის დაკანონებას?

„...მთელი თბილისი საუკუნის დასაწყისში სულ ქართველებს ეკუთვნოდა. 30-მა წელმა გაირა და მთელი ქალაქი სხვის ხელში გადავიდა. იცით ვისი იყო სეითადაბადიდან დაწყებული ვერამდის მთელი ქალაქი 1805 წლამდე? სუმბათაშვილების, მელიქიშვილების, მუხრან-ბატონების, ციციშვილების, ამილახვრების, ორბელიანების, და იცით ვისი შეიქმნა 1840-მდე, სულ 35 წელიწადში?... — გულისტკივილით აღნიშნავდა ილია ჭავჭავაძე

1883 წელს ანდრონიკაშვილების მამული: მარტყოფი, იორ-მუღანლო და უდაბნო რამდენიმე ასეულმა ხუზანმა შეიძინა. ამას წინ აღუდგა დიდი ილია, მაგრამ ვერაფერი გააწყო. დღეს, ქვემო ქართლში მათმა ჯიშმა და ნაშიერმა ნახევარ მილიონს გადააჭარბა.

საბჭოთა პერიოდში აკრძალული იყო მიწის ყიდვა-გაყიდვა, მაგრამ უცხოტომელებმა მაინც მოახერხეს შავიზღვისპირეთში ჩასახლება. შედეგი — ქართველების გენოციდი. გადამთიელთა მიერ ჩვენი მიწა-წყლის დაკავების შედეგია აგრეთვე ქართლის შუაგულში აღმოცენებული „სამხრეთ ოსეთი“, მძიმე დემოგრაფიული ვითარება ჯავახეთში და ქვემო ქართლში.

ბატონებო! მსოფლიოს მრავალი ქვეყანა (მაგ. ისრაელი, ჩინეთი, ჰოლანდია, დანია, ნორვეგია, რუსეთი, სომხეთი), მიუხედავად საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა, მიწას არ ყიდის. საქართველო მცირემიწიანი და პატარა ქვეყანაა, ამიტომ ამის დაშვება არ შეიძლება.

დავუშვათ და გავყიდეთ ჩვენს ხელთ არსებული მთელი მიწა. ამდენს რას ავიღებთ, რომ ქვეყნის შენებას ქმედითად წავაშველოთ. გაცილებით მეტი ფული კრედიტების სახით გვაქვს აღებული, მაგრამ კაცმა არ იცის ვის და რას ხმარდება.

საახალწლო ეპისტოლეში უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემაც უარყო მიწის გაყიდვა და მოითხოვა მიწის უვადო სარგებლობაში გადაცემის შემოღება.

საბჭოთა კავშირის არცერთი ყოფილი რესპუბლიკა მიწას არ ყიდის. მიწის გაყიდვას ქართველი ერისთვისაც უაღრესად მძიმე, გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვება. ეს ისეთი უმძიმესი დანაშაულია, რომლის მსგავსი დღემდე არავის ჩაუდენია.“

თუ დღევანდელი ახალგაზრდა პოლიტიკოსებისათვის მამის მამების თაობა მაინცდამაინც კომუნისტურ რეჟიმთან და „კრემლის აგენტობასთან“ ასოციირდება, იქნებ დედა ენის (ცხადია, თუ ქართულს მშობლიურ ენად აღიქვამენ) ავტორის სიტყვები ირწმუნონ. იაკობ გოგებაშვილმა, ჯერ კიდევ 1893 წელს, სააზნაურო სკოლის საზოგადოების წლიურ კრებაზე ბრძანა:

„კარგად მოგეხსენებათ, რომ საძირკველს ეროვნული ძალისას შეადგენს ტერიტორია, მიწა-წყალი, მამული, სამშობლო.

ბატონებო! მშობლიური მიწა-წყალი, მამული მარტო ნივთიერი ფაქტორი არ გახლავთ. იგი ამასთან სულიერია, ცოცხალი არსებაა. თუ ერთი მხრივ იგი იპყრობს მამა-პაპათა გვამთა, მეორე მხრივ მასში ტრიალებს წინაპართა დიდებული სული და ეს სული აცოცხლებს, ასულდგმულებს, აცხოველებს თანამედროვე თაობათა. წაართვით ერს მისი მიწა-წყალი, მისი ტერიტორია, და იგი დაჰკარგავს არა მარტო ნიადაგს არსებობისას, არამედ მოსწყდება იმ დიდებულ ისტორიულს სულსაც, რომელიც სამშობლოში ტრიალებს, და დაემსგავსება მუხის მოჭრილს რტოსა, რომელსაც გახმობა ვერ ასცდება. ამისთვის მამულის დაკარგვა საშინელს უბედურებას შეადგენს.

სამშობლოს დამკარგველი ერი ვერ დაიცავს თავისს არსებობას, ვერ გააგრძელებს სიცოცხლესა, და თუნდაც გააგრძელოს, თუნდაც მოიპოვოს სიმდიდრე ვაჭრობით და მრეწველობით, მაინცდამაინც ყოვლად უბედური იქნება. იგი დაემსგავსება ბოგანო ადამიანს, რომელსაც საკუთარი მიწა და კერა არ გააჩნია. იგი ილაწლაწებს ერთი ქვეყნიდან მეორეში, ყველგან იგი იქნება უცხო, ყველგან მოძულებული სტუმარი, ყველასაგან დაბრიყვებული, დაბალი ღობე, რომელსაც გასთელავს ყოველი გამვლელ-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

მე-2 გვერდიდან

გამომვლელი.აი რისთვის საჭიროა, უკიდურესად საჭირო, რომ ქართველობამ სავსებით შეირჩინოს თავისი მიწა-წყალი, მამული და სხვა ხალხის ხელში არ ჩააგდოს".

ხოლო, 1901 წელს გამოქვეყნებულ წერილში „ქართული მიმართულება" იაკობ გოგებაშვილმა თანამემამულეები შემდეგი სიტყვებით დამოძღვრა:

„ჩვენი ქვეყნის ბუნება ძლიერ მდიდარია, ჩვენ კი ძლიერ ღარიბნი ვართ. რადა? იმიტომ, რომ მოვლა არ ვიცით ამ ბუნებისა. სხვებმა იციან ეს მოვლა, ერთი ათად მეტის გამორჩენის იმედი აქვთ, ფულს გვახარბებენ და ხელიდან გვაცლიან მიწა-წყალს. ამ მოვლენას თუ ბოლო არ მოვუღეთ, იგი ჩვენ თვითონ აგვიგებს ანდერძს. წარმოვიდგინოთ, ბატონებო, რომ ჩვენმა ერმა დაჰკარგა ყველა საჩინო-ვნიკო, სამოხელეო ადგილები, ერთი ქართველი აღარ ურევია ქვეყნის მართვაში, მაგრამ მას, ამავე დროს, მტკიცედ უჭირავს ხელში თავისი მიწა-წყალი და მარჯვედ სარგებლობს. საშიში აქ არაფერია, დღეს დაკარგული სამოხელეო ადგილები ხვალ ადვილად შეიძლება ისევ დავიბრუნოთ. მაგრამ თუ ჩვენი ხალხი გამოესალმა მიწა-წყალსა, მისი გაქრობა დედამიწის ზურგიდან აუცილებელი გახდება, თუნდაც პირველ ხანებში მრავალი ადგილი ეჭიროს ადმინისტრაციაში, სასამართლოსა და ჯარში. მიწა-წყალი ნამდვილი ფესვებია ერის ცხოვრებისათვის, და როგორც ხე, მოშორებული ფესვებს, ხმება, ისე იღუპება ერი, როცა ხელიდან ეცლება მიწა-წყალი, ტერიტორია".

თუ ხელისუფლების წარმომადგენლებზე არც სულმნათი წინაპრების შეგონება გაჭრის და დიდი იაკობივით არ გაითავისებენ, რომ მშობლიური მიწა-წყალი (მამული) სულიერი, ცოცხალი ორგანიზმია, რომლის „საბაზრო ფასით" სარფიანად რეალიზების განზრახვა ზნეობის საზოგადოდ დადგენილ ნორმებსაც კი სცდება, იქნებ ბიბლიური ჭეშმარიტებები მაინც შეისმინონ.

წმინდა წიგნში მკაფიოდ არის მინიშნება იმაზე, რომ:

„მიწა სამუდამოდ არ უნდა გაიყიდოს, რადგან ჩემია მიწა, რადგან თქვენ მდგმურები და ხიზნები ხართ ჩემთან... თუ შენი ძმა გაღარიბდება და თავის სამკვიდრებელს გაყიდის, მოვიდეს მისი ახლო ნათესავი და გამოისყიდოს თავისი მოძმის გაყიდული." *(ლევიანნი, თავი XXV,23)*

თუ ქართველი პოლიტიკოსები არც ამ დანაწესებს შეისმენენ და დაარღვევენ უფლის მცნებებს, ისიც უნდა იცოდნენ ღვთის რისხვა რა სახით დაატყდებათ თავადაც და მათ სახელმწიფოსაც:

„დავაცარიელებ ქვეყანას თქვენი მტრების განსაცვიფრებლად, რომლებიც იქ დასახლდებიან.

მიმოგფანტავთ სხვა ხალხებში და გაშიშვლებულ მახვილს დაგადევნებთ.

დაიღუპებით ხალხებში და შეგჭამთ თქვენი მტრების მიწა.

დანარჩენები დაილევით თქვენი ცოდვების გამო მტრების ქვეყნებში. თქვენი მამა-პაპის ცოდვების გამოც დაილევით."

(ლევიანნი, თავი XXVI, 32, 33, 38, 39)

ქართველი კაცი, ღვთის ნებით, უკეთესი მიწის საძებნელად ან მის მოსაპოვებლად თუ დასაპყრობად არსად წასულა. თითოეული ქართველისათვის მრავალჭირნახული მშობლიური მამული და წინაპართა მიწა, დასაბამიდან, დედამიწის ერთ კონკრეტულ ტერიტორიასთან, ქართველთა სახელმწიფოსთან — საქართველოსთან არის გაიგივებული.

ამ კურთხეულ მიწაზე ჩვენი წინაპრები უსსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ. მართალია, ადრინდელ საზღვრებში ვერა, მაგრამ თვითმყოფად ენასთან, დამწერლობასთან და აღმსარებლობასთან ერთად ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, მრავალთა სიცოცხლის ფასად, ქრისტესშობის მეორე ათასწლეულის ბოლომდე შემოგვინახეს. ქართველთა მომავალმა თაობებმაც მარადიულად აქ უნდა იცხოვრონ!

იმაშიც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ გაუსაძლისი ყოფის გამო ქვეყნის ფარგლებს გარეთ საშოვარზე გადახვეწილი ჩვენი თანამემამულეები „განცხრომით სხვაგან ყოფნას" ისევ მშობლიურ მიწაზე მობრუნებას ამჯობინებენ. ცხადია, თუ მათ არყოფნაში არ გავუყიდეთ...

ქართული მიწის (ყვავილების მაღაზიებში კილოგრამობით რომ იყიდება, ხოლო ემიგრაციაში წასულები, გრიგოლ რობაქიძის პერსონაჟივით, ერთ ნატეხს მაინც რომ ინახავენ სათუთად) ყიდვა-გაყიდვის დაკანონების ზოგიერთ მომხრეს კი, რომელიც სხვა ქვეყნის (ჩინეთისა თუ ინდოეთის, აშშ-სა თუ რუსეთის, გერმანიისა თუ საფრანგეთის, თურქეთისა თუ ყაზახეთის, აზერბაიჯანისა თუ სომხეთის...) მოქალაქეებისათვის სასწრაფოდ საკუთრებში გადაცემას იმით ამართლებს, რომ უცხოელი მყიდველი „მიწას ზურგზე ხომ არ მოიკიდებს და საკუთარ ქვეყანაში „წაიღებს", როგორმე უნდა შევაგნებინოთ, რომ მშობლიურ მიწასთან მიმართებაში მხოლოდ „საბაზრო ღირებულებაზე და რენტაბელობაზე" აქცენტის გაკეთება, რბილად რომ ვთქვათ, არაკორექტულია... უაღრესად პრინციპული მნიშვნელობა სწორედ მიწის მესაკუთრის წარმომავლობას ენიჭება. მრავალ ჭირ-ვარამგამოვლილი და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ასეულ ათასობით ღირსეული მამულიშვილის სისხლით გაპოხილი ქართული მიწა, დღესაც და სამომავლოდაც, უპირველეს ყოვლისა, ქართველი კაცის საარსებო სივრცედ მესახება. საქართველოს კონსტიტუციის მუხ.2 მიხ.1 ლში მკაფიოდ განსაზღვრული ტერიტორია, ძირითადად, ქართველთა (აგრეთვე, საქართველოს სხვა მოქალაქეთა) საცხოვრებელ ადგილს უნდა წარმოადგენდეს.

ამასთან, არ უნდა დავივიწყოთ, რომ მიწა ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის მიღწევისა და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე ჯერ კიდევ ერთობ არამყარად მდგარი საქართველოს გადარჩენის ერთადერთი რაღური მატერიალური საწინდარია. დაუშვებელია, ხელისუფლების უნიათობისა და ქვეყანაში მყარად ფესვგადგმული სამართლებრივი ნიჰილიზმის შედეგად, სახელმწიფო და მუნიციპალური მიწის ფონდი კერძო პირთა, მითუმეტეს უცხოელთა, ხელში აღმოჩნდეს.

სამწუხაროდ, დღევანდელი მმართველების ქმედებებიდან გამომდინარე, შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს მთელ ქვეყანას ერთ დიდ საწარმოდ — შუს „საქართველოდ" აღიქვამენ და ვალაუვალობის გამო დაწყებული ლიკვიდაციის (უფრო, სისხლის სამართლის წესით დასჯად, ე.წ ცრუ გაკოტრების) პროცესში მთელ უძრავ ქონებაზე საშობაო ფასდაკლება („სეილი") აქვთ გამოცხადებული. ოღონდ

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ნ. ნათაძე

ნაციონალიზმი, სოციალიზმი, ფაშიზმი, დემოკრატია, „დემოკრატია" და „შავი ბრბო"

ნაციონალიზმი, როგორც აზრისა და მოქმედების მიმართულება, მოიცავს ორ ძირითად კომპონენტს. ერთია ჯანსაღი ინსტინქტი თვითდამკვიდრებისა, რომელიც (ასე ითვლება) ყველა ცოცხალ არსებას აქვს, თუმცა, რეალურად, სხვადასხვა ადამიანს, ისევე, როგორც ყველა სხვა სულდგმულს, განსხვავებული ზომით აქვს და ზოგჯერ (სახელობრ, რიგ პათოლოგიურ შემთხვევებში) სულაც გამქრალი აქვს. ინდივიდუალური თვითდამკვიდრების, ანუ სასიცოცხლო და მოსახმარი არეალის გაფართოების, გარდა ყველა სულდგმულს (მათ შორის, ადამიანსაც) აქვს მისწრაფება, რომ აცოცხლოს, ამარადისოს, გააფართოოს თავისი შთამომავლობა და მისი საცხოვრებელი სივრცე, ანუ მოახდინოს თვითდამკვიდრება თავისი ბუნებრივი „შიდა ჯგუფისა", სხვა ტერმინით — „ჩვენ ჯგუფისა". „ჩვენ ჯგუფები" აუარებელი სახისაა, დაწყებული, ვთქვათ, გაჩერებაზე ავტობუსის მომლოდინე მგზავრთა შემთხვევითი კრებულით (რომელსაც ჰსურს, ავტობუსი მალე მოვიდეს) და დამთავრებული ისეთი განუყოფელი და არაშემთხვევითი ჯგუფებით, როგორიცაა, ვთქვათ, ოჯახის წევრთა ერთობლიობა. ერი (ნაცია) ერთერთი სახეა შიდა ჯგუფისა სხვა სახეთა შორის. იგი შედგება (ძირითადად, მაგრამ არა 100%-ით) ერთი და იმავე მოდგმის ადამიანთაგან (ამ მხრივ ერის წინაპარია ტომი ან მონათესავე ტომთა კრებული), რაც განაპირობებს მათ დაახლოებით მსგავსებას სახის ნაკვთებში, თმის ფერში, ტემპერამენტში და ა.შ., ძირითადად, ერთ ენაზე მოლაპარაკე ადამიანთაგან, ძირითადად, ერთ ტერიტორიაზე მაცხოვრებელ ადამიანთაგან, ძირითადად, ერთი წარსული და მომავალი ისტორიული ბედის მქონე ადამიანთაგან, ძირითადად ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებულ ადამიანთაგან და ა.შ. (ასეთი საერთო ამ ადამიანებს ბევრი რამ აქვთ. ანუ: ერი არის ბუნებრივი (გენეტიკური) შიდა ჯგუფი, კულტურული შიდა ჯგუფი, სოციალური (ფართო აზრით) შიდა ჯგუფი და ა.შ. ამიტომ ერის შემადგენელ ინდივიდუ-

ალურ ადამიანებს უღირთ ერთმანეთი და უღირთ ერი. ინდივიდი, რომელმაც იცის, რომ მოკვდავია, იმ იმედით მიდის საიქიოში (თავის დროზე), რომ იგი „განაგრძობს ცხოვრებას" თავის ამ შიდა ჯგუფში, ისევე, როგორც „განაგრძობს" მას თავის ფიზიკურ შთამომავლობაში, თავის მეგობართა წრეში, თავის „საქმეში" და ა.შ. შიდა ჯგუფზე ბმულობა საკუთარი ემოციითა და შეგნებით (ანუ ის, რომ მე ეს ჯგუფი მიღირს და ამიტომ ხშირად მისთვის სიცოცხლის გასაწირად მზად ვარ) ცოცხლის ზოგადი თვისებაა. მისგან გადახვევა (მაგალითად, ასეთი: „არ მინდა ჩემი ერი, იგი მეტისმეტად პატარა და საცოდავია. მირჩევნია, ასიმილაცია განვიცადო, ანუ სხვა ერის შემადგენლობაში შევიდე" ან: „ჩემი ერი და ქვეყანა პატარაა, იგი ასპარეზად არ მყოფნის, გადავალ სხვა, დიდ ერში და მსოფლიო ასპარეზზე აღმოვჩნდები") ანუ ნებაყოფლობით ხელის აღება სამყაროში საკუთარი თავის თვითდამკვიდრების ეროვნულ ფორმაზე, რაც ამ თვითდამკვიდრების ერთერთი ყველაზე ფუნდამენტური ფორმაა, იმ ფაქტის გამოვლენაა დღეს და განჭვრეტად მომავალში, რომ მოცემულ პიროვნებას თვითდამკვიდრების ზოგადბიოლოგიური და ზოგადფსიქიკური სწრაფვის დეფიციტი აქვს.

ნაციონალიზმის მეორე ძირითადი კომპონენტი არის შემეცნებითი ჰორიზონტისა და დაინტერესების ჰორიზონტის იმ მოცულობის ქონა (როგორც მინიმუმისა), რომელიც მოიცავს კაციბრიობას, როგორც მთლიანს, და არა მხოლოდ მეზობლობას, მოცემულ დასახლებულ პუნქტს, მოცემულ სახელმწიფოს ან გეოგრაფიულ რეგიონს და ა.შ. ერის („ნაციის") ცნება „კაცობრიობის" კორელატიური (ანუ პარტნერი, მაგულისხმებელი) ცნებაა: იმის თქმა, რომ „ფრანგი" ვარ ან „სომეხი" ვარ, იმის თქმას ნიშნავს, რომ „კაცობრიობის ამ ნაწილის" — „ფრანგებად" ან „სომხებად" წოდებული ნაწილის — წევრი ვარ. ანუ ეს არის პასუხი კითხვისა, კაცობრიობის რომელ ნაწილს ვეკუთვნი (და არა, ვთქვათ, ამ ქალაქის მოსახლეობის ან ამ გეოგრაფიული არეალის მოსახლეობის რომელ ნაწილს). ადამიანთა ის სიმრავლე, რომლის ფონზეც არსებობს და ადამიანთა გონებაში იკვეთება ერი, („ფრანგი ერი", „სომეხი ერი" და ა.შ.), არის კაცობრიობა და არა მასზე ნაკლები. თუ მაგალითად, ძველმა ათენელმა კაცობრიობის სხვა ნაწილის არსებობა არ იცის გარდა მისი იმ ნაწილისა, რომელიც ათენისაგან და დანარჩენი ბერძნულად მოლაპარაკე ქალაქ-სახელმწიფოებისაგან შედგება, მას არასოდეს მოუვა აზრად, რომ იგი და სპარტელი ერთნი არიან. მხოლოდ იმის წყალობით, რომ მან იცის, რომ ბერძნული ქალაქების გარეთ სხვა ადამიანებიც, მთელი კაცობრიობაც არსებობს (ეგვიპტე, ლიბია, ჩრდილოეთის ბარბაროსები, ბაბილონელები და სხვა და სხვა), უჩნდება მას „ელინის" ანუ ბერძნის ცნება, და ელინური „ერის" ანუ ბერძნი ერის ცნება, რომელიც მას აერთიანებს სპარტელთან, თებელთან და ა.შ., მაგრამ განასხვავებს სპარსელისგან, ეგვიპტელისგან, ნუბიელისგან და ა.შ. „ერი" („ნაცია"), როგორც ეთნიკური, კულტურული, პოლიტიკური და ბუნებითი ერთეული და ერთობა, ისტორიული მოვლენაა, ანუ იგი ჩნდება ადამიანთა ცნობიერებაში ისტორიის რაღაცა კონკრეტულ ეტაპზე, სახელდობრ, იგი ჩნდება მაშინ, როცა მათ ცნობიერებაში ჩნდება კაცობრიობის, როგორც მთელის, ცნება, მაგრამ არა მანამდე. ეს ისტორიულობა, ანუ ის, რომ ერს, როგორც ადამიანთა ერთობის ფორმას, გაჩენის თარიღი აქვს, არ ნიშნავს, რომ მას გაქრობის თარიღიც ექნება: ისტორიის არსი ის არის, რომ იგი შეუქცევადია: რაკი ერები გაჩნდა, მათი არსებობა სამუდამოა, ადამიანის თვალისათვის განჭვრეტად მთელ მომავალში მაინც.

ნაციონალისტი (სხვა სიტყვით — პატრიოტი, მამულიშვილი (ეა ა.შ., ანუ ისეთი პიროვნება, ვინც თავისი ერისა და მისი სახელმწიფოს დამოუკიდებლობისათვის, ძლიერებისათვის, აყვავებისათვის, მარადიულყოფისათვის, სხვა ერთა და სახელმწიფოთა შორის მის მიერ მაღალი და საპატიო ადგილის მოპოვებისა და შენარჩუნებისათვის იღვწის მხოლოდ ის არის, ვისაც ეს ორივე მოტივი ამოძრავებს, ანუ ზემოთ დასახელებული ორივე თვისება აქვს: თვითდამკვიდრებისკენ (ამ შემთხვევაში — მაკრო-შიდაჯგუფური, ეროვნული თვითდამკვიდრებისაკენ) მიმართული ჯანსაღი ნება, ე.წ. „ჯანსაღი ინსტინქტიც" ანუ, მეცნიერულად რომ ვთქვათ, პირველადი, პოსტულირებული მისწაფებაც ამისკენ, და საკმარისი მოცულობის ჰორიზონტიც, რომ გონების თვალით ხედავდეს კაცობრიობას, როგორც ერის ფონს და მისი თვითდამკვიდრების ასპარეზს.

ბუნებრივად დგას კითხვა, **ვისი** თვისებაა ნაციონალიზმი. ზემოთქმულიდან ნათელია, რომ ნაციონალიზმის ორივე დასახელებული კომპონენტი მის აღმსარებელსა და გამზიარებელ პიროვნებას მაღალ მოთხოვნებს უყენებს. სახელდობრ, თუ ადამიანი რაღაცა გარკვეულ ნიშნულზე უფრო სუსტია ნებისყოფითა და შემართებით, მაშინ მას, საკუთარი თავისა და ოჯახის გადარჩენის იქით, ერზე, მის მომავალზე და მის ისტორიულ ინტერესებზე ზრუნვის თავი, ანუ სათანადო ენერგეტიკული რესურსი არ ექნება. ასეთ შემთხვევაში, მას ეროვნული თვითდამკვიდრებისაკენ სწრაფვის დეფიციტი აქვს. ხოლო თუ მას აკლია გონებრივი ჰორიზონტი იმდენად, რომ მისი ცოცხალი თვალთახედვის არეში ვერ მონაწილეობდეს კაცობრიობა, მისი მთლიანი მსოფლიო პოლიტიკითა და წარსული თუ მომავალი ისტორიითურთ, მაშინაც მისთვის ნაციონალიზმი უცხო დარჩება (უკეთეს შემთხვევაში იგი იქნება „ტრაიბალისტი", ანუ თავისი ტომის „ტრაიბის" „tribe" „პატრიოტი"). ამიტომაც ხშირად ითქმის ხოლმე, რომ ნაციონალიზმი ელიტარული პოზიციაა. მაგალი-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ქართული ჯიწა ან უძლა ჯაიუილ

მე-3 გვერდიდან

მყიდველი გამოუჩნდეთ და მზად არიან ნებისმიერი შენობა-ნაგებობა, ისტორიულისა და ადმინისტრაციულის ჩათვლით, თავის მიწიანად პირველივე შემხვედრს მიასალონ. ამის დასტურად კი ის საგანგაშო ფაქტიც დამოდგება, რომ სამი სააქციო საზოგადოება: „ჭიათურმანგანუმი", „ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა" და „ვარციხეჰესი", სამივე ერთად, ვან გოგის ან პიკასოს ერთი ქმნილების ფასად გაუყიდიათ. ცალკე მსჯელობის თემაა, რომ დედაქალაქის ცენტრში სააპელაციო სასამართლოსთვისაც კი ვერ გაიმეტეს რომელიმე კლასიკური სტილის შენობა, ხოლო მიწის ნაკვეთები არა მარტო ბორჯომლიკანის საკურორტო ზონაში, არამედ ვაკის პარკსა და მთაწმინდის კალთებზეც გასხვისდა...

„მოქალაქეთა კავშირის" ზეობის წლებში დაწყებული და „ნაციონალური მოძრაობის" მიერ აშკარად დაჩქარებული „დიდი პრივატიზაციის" 10 წლისთავზე მაინც, ალბათ დადგა დრო, საზოგადოება შედეგებითაც დაინტერესდეს და მოიკითხოს ვის ხელში აღმოჩნდა ათეულობით (შესაძლებელია, უკვე ასეულობით...) ათასი ჰექტარი ძირძველი ქართული მიწა. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი ახლადშეძენილი „ძმები" — ჩინელები საქართველოში მიწის ნაკვეთებს ცალობით კი არა, უკვე ბითუმად ყიდულობენ და სოფლებიც (იქნებ, რეგიონებიც...) აქვთ სათავისოდ შეგულებული, გამორიცხული არ არის, ფედერაციად გარდაქმნილ საქართველოში (საამისოდ, „კონსტიტუციის მამებს" ზოგად დებულებებში საგანგებო მუხლიც კი აქვთ გამზადებული და მხოლოდ „მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნას" ელიან...), უახლოეს მომავალში, „სამხრეთ ოსეთთან", „ჩრდილოეთ სომხეთთან (ჯავახეთთან)" და „აღმოსავლეთ აზერბაიჯანთან (ბორჩალოსთან)" ერთად, „დასავლეთ ჩინეთის" ავტონომიური რესპუბლიკაც გაჩნდეს.

„მოძმე" თურქებმაც თუ არ ისურვეს ჩვენთან კომპაქტურად ჩასახლება (თუნდაც, „მოძმე" სომხებთან მოერიდონ მორიგ კონფრონტაციას, ან ცხოვრების დონე დაგვიწუნონ...) და ცენტრალური ევროპისკენ უფრო გაუწიოთ გულმა, მათი მოძალებით შეწუხებულმა არიელებმა, სავსებით შესაძლებელია, ახალი „აღმოსავლეთ გერმანია" უკვე შევარდნაძის სამშობლოში ააღორძინონ. მითუმეტეს, რომ „სოციალისტურ ბანაკში" უპრობლემო ცხოვრებას შეჩვეულ ყოფილ აღმოსავლეთელებს, ორი გერმანიის გაერთიანებიდან სულ მოკლე ხანში, მოეძალათ „ნოსტალგია"... სხვათა შორის, მადლიანი ქართული მიწით გერმანელები, ჯერ კიდევ, საუკუნის წინ დაინტერესდნენ და ბოლშევიკურ რევოლუციას ხელი რომ არ შეეშალა, გერმანულენოვანი საქართველო ევროკავშირის დამფუძნებელ სახელმწიფოთა შორის იქნებოდა.

თუ მიწასთან დაკავშირებით სახელმწიფო პოლიტიკა არ შეიცვალა, რეალურია ფედერაციის სუბიექტად „ჩრდილოეთ ისრაელიც" ვიხილოთ, ან ებრაელებთან ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ჩახუტების (მართლაც, უნიკალურის... მხოლოდ ქართველებს რომ შეგვიძლია ისეთის) დასტურად საქართველოში „მეორე იერუსალიმი" (თუ „იერუსალიმი-II". შესაძლოა III, IV, V და ა.შ.) გაჩნდეს. მითუმეტეს, როდესაც სიმბოლიკა, ფაქტობრივად, უკვე იდენტური გვაქვს... ქვეყანაში, ამ ბოლო დროს, იმდენი ცვლილება მოხდა, გამორიცხული აღარც ის არის, ფაქტობრივი მმართველის საპატივსაცემოდ (თუნდაც, „ვარდების რევოლუციის" მხოლოდ „ინტელექტუალური მხარდაჭერისათვის...") ქართული სახელმწიფოსათვის ოფიციალურადაც „ჯორჯია" ან „სოროსია" გვეწოდებინა.

ცხადია, გარე თუ შიდა ძალების (აშკარა მტრისა თუ უგუნური მოყვრის) ხელშეწყობით მიმდინარე ქართული მიწის ძარცვა-მიტაცება და განიავება კარგს არაფერს გვიქადის. შედეგებზე პასუხისმგებლობა კი, ხელისუფლებასთან ერთად, თითოეულმა მოქალაქე-ამომრჩეველმაც უნდა გადაინაწილოს. შექმნილ ვითარებაში, ქართველ გლეხკაცს აღარც ის უნდა გაუკვირდეს, რომ ერთ დღეს, საკუთარი სახლ-კარი და ბაღ-ვენახი კონსტიტუციით დაშვებული „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის" ჩამოართვან და არაერგზის რეფორმირებული ქართული სასამართლოს მიერ განსაზღვრული „სათანადო ანაზღაურება" ბანკში ჩაურიცხონ.

თავად დედამიწის მეექვსედს რომ ფლობს, მაგრამ მიწას არ ასხვისებს, იმ რუსეთის მოქალაქემ, ეკონომიკის მინისტრად რომ მოგვევლინა („დიდი კაცი"), ხომ თავიდანვე დაიქადნა: — „ყველაფერს გავყიდით, სინდისის გარდა..." (სამაგიეროდ, რუსეთიდანვე ჩამოსული „პატარა კაცი" ყიდულობს ყველაფერს. საქართველოში ერთადერთ „რიტუალების სასახლეს" მიმდებარე სკვერიც მიაყოლა და გზაც...) ამ უკანასკნელს (სინდისს) კი, მთავრობა გასაყიდ ობიექტთა ნუსხაში სრულიად გასაგები („ობიექტური") მიზეზების გამო ვერ შეიტანდა, ვინაიდან აღნიშნული კატეგორიის ე.წ. არაქონებრივი ფასეულობები, როგორც ჩანს, უკვე გასული საუკუნის მიწურულს გასხვისდა... ბატონი გურამ ფანჯიკიძე, ჯერ კიდევ 1997 წელს აღნიშნავდა გულისტკივილთ, რომ „...საქართველო იქცა უზარმაზარ ბაზრად, სადაც იყიდება ყველაფერი — კაცობის, სინდისისა და ნამუსის ჩათვლით".

ქართული სახელმწიფოს წელში გამართვისათვის პერმანენტული „რევოლუციონერობანა" არ კმარა და გონივრული საკანონმდებლო ბაზის მიღების გარდა, გასაკეთებელი კიდევ ბევრია. ამდენად, ჯერ სახელმწიფო მექანიზმის გამართულად მუშაობისათვის აუცილებელი ცივილიზებული ინსტიტუტები უნდა დაგვემკვიდრებინა, სამართლიანი არჩევნების ჩატარება და კანონებისადმი პატივისცემა გვესწავლა, პოლიტიკური (ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში გავრცელებული) კორუფციის აღმოფხვრისათვის მოგვეკიდა ხელი და ეკონომიკის რეალურ გაჯანსაღებაზე, ან თუნდაც, ფერმერისა თუ მეწარმის ხელშეწყობაზე გვეზრუნა, ხოლო ბუნებისაგან თუ ღვთისაგან ქართველი ერისათვის ბოძებული მიწის განსახელმწიფროებრივობა-გაყიდვის საკითხი სამომავლოდ უნდა გადაგვედო.

ავთანდილ კანნიაშვილი
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

ნაციონალიზმი, სოციალიზმი, ფაშიზმი, დემოკრატია, „დემოკრატია" და „შავი ბრბო"

მე-3 გვერდიდან

• თად, „ერის" ერთერთი პირველი გერმანელი თეორეტიკოსი ოტო ბაუერი წერდა ასი წლის წინ, რომ შუა საუკუნეებში გერმანელი სამხედრო ფენა, რაინდები, მართალია, ერი იყვნენ, ანუ თავი გაცნობიერებული ჰყავდათ, როგორც „გერმანელები" ფრანგი, ესპანელი, ინგლისელი თუ სხვა სახმედრო ფენისავე პირისპირ, მაგრამ გლეხები „ერი კი არ იყვნენ, არამედ ერის ყმები" (Hintersassen der Nation), მათი ჰორიზონტი მხოლოდ მათი სოფლის მიდამოთი იფარგლებოდა, სადაც მჩაგვრელად, დამცველად თუ მმართველად ადგილობრივი ფეოდალი ჰყავდათ. ბუნებრივად დგას კითხვა: თუ ვარ ნაციონალისტი ამ სიტყვის ზემოთ განმარტებული აზრით (პატრიოტი, მამულიშვილი, ჩემი სამშობლოს მოამაგე და ა.შ.), მაშინ რამ უნდა შემზღუდოს ჩემს მისწრაფებაში, რომ ჩემი ერისა და ქვეყნის მუდმივი, უწყვეტი, უსაზღვრო ამაღლებისათვის ბრძოლაში ღორულ ეგოიზმში არ გადავვარდე და ჩემი ერის განდიდება სხვა ერების დამცირების ხარჯზე არ მოვინდომო? პასუხი ნათელია და ცნობილი: ჩემს „გაღორებას" ამ სფეროში, ისევე როგორც ნებისმიერ სხვაში, ზღუდავს მხოლოდ სამართლიანობის პრინციპი. ჩემი თავიუსფლება მთავრდება იქ, სადაც სხვისი ანალოგიური თავისუფლება იწყება, ჩემს მადას საზღვარი ედება იქ, სადაც სხვისი ანალოგიური მადა იწყება (მაგალითად, მე ვერ უნდა შევჭამო ათი ბოლოკი იქ, სადაც ამ განძს ჩემს გარდა კიდევ ცხრა სხვა პრეტენდენტი ჰყავს, და ა.შ.). სამართლიანობის ათასგვარი სხვადასხვა გაგება არსებობს, ანუ ამ ცნებას ათასგვარი სხვადასხვა ინტერპრეტაცია აქვს: ვიღაცა ფიქრობს, რომ სამართლიანია კეთილსაგანთა (პური, ყველი, ძალაუფლება, ფეხბურთის ბილეთი და ა.შ.) თანასწორი განაწილება, სხვა ფიქრობს, რომ სამართლიანია მათი განაწილება დამსახურების მიხედვით, მესამე ფიქრობს, რომ სამართლიანია ამ ორი წესის შეთავსება, სახელდობრ, რაღაცა კეთილსაგნები უნდა განაწილდეს პირველი წესით, სხვა კეთილსაგნები — მეორე წესით, და ა.შ.. ჩვენთვის ამ კამათს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს: მთავარია, რომ ჩემს „მადას" ჩემი ერის გაშლა-გაძლიერების მიმართულებით სხვის ხარჯზე, ისევე როგორც სხვისას — ჩემს ხარჯზე, თავისი საზღვარი აქვს სამართლიანობის პრინციპის სახით. ამიტომ ნაციონალისტს ვერავინ უსაყვედურებს: „შენ შენი ერის განდიდება რომ გინდა, ეს დანაშაულებრივი შეზღუდულობაა. კოსმოპოლიტი შენზე უფრო მორალური ადამიანია". მას შეიძლება უსაყვედურონ მხოლოდ ასე: „შენ რომ შენი ერის განდიდებისათვის იბრძვი, ამა და ამ შემთხვევაში ამა და ამ პუნქტში სამართლიანობას ჰღალატობო". თუ არ ჰღალატობს, მაშინ, ცხადია, მას ვერავინ შეეკამათება, როგორც ვერავინ გისაყვედურებთ, მწვადი რატომ გიყვარსო, მანამდე, სანამ თქვენ ის მწვადი სხვისთვის არ გამოგიგლეჯიათ ხელიდან.

სოციალიზმი სხვაა, როგორც რევოლუციური ბრძოლა საზოგადოებრივი წყობის გარდაქმნისათვის ღარიბთა და გაჭირვებულთა სასარგებლოდ და ამ ბრძოლის იდეოლოგია, და სხვაა, როგორც რეალიზებული ახალი წყობა თავისი იდეოლოგიითურთ. პირველი ემყარება ჰუმანურ კეთილშობილურ იდეებს ერთის მხრივ და ბუნებისაგან მომადლებულ მძაფრ ტემპერამენტსა და ბოროტებისადმი დაპირისპირების ჟინს მეორეს მხრივ. ორივე ამ განზომილებით იგი ელიტარულია (რადგან არც ის ჰუმანურობა, არც ის ჟინი, სამწუხაროდ, საყოველთაო თვისება არ არის). მეორე ემყარება საზოგადოების პრინციპულად სრულ კონტროლს ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან, რომელიც, ეკონომიკური, სოციალური და ადმინისტრაციული თვალსაზრისით, უბრალოდ, აბერაციაა (შეცდომაა), რაც რეალურად განხორციელებული სოციალიზმის (სსრკ, აღმოსავლეთ ევროპა) ყველაზე თვალშისაცემი თვისება აღმოჩნდა



(თუმცა, გარკვეულ პარამეტრებში, წინასწარაც ჩანდა. მაგალითად, არის გადმოცემა, რომ ცნობილი ქიმიკოსი მენდელეევი, რომელიც დაინტერესებული იყო სოციალისტური იდეებით, ამბობდა, თუ ეს განხორციელდება, მაშინ საუკეთესო ადამიანთა საუკეთესო დრო და ენერგია უნაყოფო ურთიერთკონტროლს მოჰხმარდებაო). მაგრამ სოციალიზმის ეს თვისება ყველაზე არსებითი არ არის. მთავარია მისი პრინციპი უმრავლესობის სრული ბატონობისა უმცირესობაზე და პრინციპის რანგში აყვანილი ეგალიტარიზმი, რაც პრაქტიკულად (და, შესაძლოა, პრინციპულადაც, თუმცა ამ კითხვაზე ცალსახა პასუხი არავის აქვს) ნიშნავს დაბალი უმრავლესობის ძალადობასა და აგრესიულობას უფრო მაღალი უმცირესობის მიმართ პრინციპით „მე შენი სტანდარტების დონემდე ვერ ამოვალ, ამიტომ შენ უნდა ჩამოგათრიო ჩემების დონემდე". თავისი ამ ნიშნით რეალური სოციალიზმი მკვეთრად არაელიტარულია, უფრო მეტიც — ოხლოკრატიულია („ოხლოსის" ანუ „ყველაზე დაბალი ბრბოს" ბატონობაა).

რეალურ სოციალიზმს, აღნიშნულის გარდა, ორი ძალიან მკვეთრი, თუმცა, შესაძლოა, არააუცილებელი (და მაინც აქამდე ცნობილ ყველა შემთხვევაში რეალიზებული) თვისება აღმოაჩნდა. ერთი ისაა, რომ სოციალისტურად მოწყობილ საზოგადოებაში, რამდენადაც აქ გონების, ნებისა და სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი მაღალი სოციალური სტატუსის მქონე (სამივესი ერთად მქონე და არა ერთის ან მხოლოდ ორის) ელიტა არ იქმნება და პრინციპულად ვერც შეიქმნება, გარდუვალია მართვის დეფიციტი, რის გამოც წყობა არის დესპოტია, ანუ ისეთი ბატონობა, რომელშიც სოციალური ძალები არ არსებობენ: არის მხოლოდ მმართველი ჯგუფი (არამემკვიდრეობითი, როგორც წესი), ერთის მხრივ, და უფორმო მასა — მეორეს მხრივ. დესპოტიას, თავის მხრივ, გარდუვალად ახლავს დიქტატურა თავისი განუხრელი ზრდის ტენდენციითურთ, სისხლითა და საკონცენტრაციო ბანაკებითურთ. მეორე თვისებაა სახელმწიფოებრივი ზრუნვა მოქალაქეზე, თუმცა, პრინციპში, მხოლოდ როგორც დიქტატურის მონასა და საქონელზე, და არა როგორც მოქალაქეზე. ეს უკანასკნელი ელემენტი სოციალისტური წყობისა „გადამდებია" სხვა არასოციალისტური სახელმწიფოებისათვის. გადამდებია სხვადასხვა დაუძლეველ ფაქტორთა გამო, რომელთა განხილვასაც აქ და ახლა ვერ გავყვებით. ამიტომ არსებობენ თავისუფალი ეკონომიკური წყობის სახელმწიფოები, რომლებშიც სოციალური პოლიტიკის როლი დიდია („მემარცხენე" ხელისუფლებანი), და არსებობს სოციალური პოლიტიკის მაღალი ხარისხი „კაპიტალისტურ" ქვეყნებში. დავიმოწმებ უკომენტაროდ მრავლისმეტყველ მაგალითს: ინგლისში II მსოფლიო ომის დროს, როცა საკვების განაწილების საბარათო სისტემა მოქმედებდა, მოზარდთა ერთერთმა არსებითმა სასიცოცხლო ინდექსმა — გულმკერდის შემოწერილობამ — საშუალოდ ორი სანტიმეტრით იმატა. მაშასადამე, ამ ასაკობრივი ჯგუფის ძალიან დიდ ნაწილს მშვიდობის დროს იმაზე ნაკლები საკვები ჰქონია, ვიდრე ომის დროს მიღებული ნორმა, რომელსაც ბარათები ითვალისწინებდა.

რეალურად და პრაქტიკულად სოციალიზმი, მისი განხორციელების შემთხვევაში, უგამონაკლისოდ მოიცავს თავის ყოველდღიურობაში სისხლსა და შეუზღუდავ ძალადობას. მაგრამ მოიცავს თუ არა იგი ამ მოვლენებს პრინციპულად და თეორიულადაც? ანუ: შესაძლებელია თუ არა სოციალიზმი ამ მოვლენათა გარეშე? ეს ჯერ კიდევ ღია საკითხი გახლავთ. რაც შეეხება მართვის განუხრელ დეგრადაციას, ეს მოვლენა სოციალიზმის განუხრელი თანამდევია პრინციპულადაც და პრაქტიკულადაც. სოციალისტური დიქტატურის პირობებში ახალი ვარგისი დიქტატორი არ იზრდება, ასე რომ სოციალიზმი არის,

გაგრძელება მე-5 გვერდზე

მე-4 გვერდიდან

ადრე თუ გვიან, დიქტატურა ვარგისი დიქტატორის გარეშე.

არის თუ არა კაკისტოკრატია (ბერძნული სიტყვისაგან „კაკისტოს“ — ყველაზე უარესი. შდრ. „არისტოს“ — ყველაზე უკეთესი), ანუ ყველაზე უარესთა ავტომატური და კანონზომიერი დაწინაურება სახელმწიფოსა და საზოგადოების მართვის აპარატში, სოციალიზმის გარდუვალი თანმხლები მოვლენა? ამ პრინციპულ კითხვას, რაც უნდ პარადოქსულად გამოიყურებოდეს ეს, უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს. როდესაც საზოგადოება (ქვეყანა) თავისი მხოლოდ შინაგანი კანონზომიერებებით და ფაქტორებით ვითარდება, მაშინ კაკისტოკრატიისათვის საფუძველი არ არსებობს, რადგან საზოგადოების პრაქტიკულად გადამწყვეტ ნაწილს ცუდი მართვა არ უნდა. მას საფუძველი აქვს და შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებაზე (ქვეყანაზე) უცხო ფაქტორი (ძალა) ბატონობს, რომელიც შიდა ნებას, ანუ ამ საზოგადოების ნებას, თავისი ძალით ძლევს. მაგალითად, სსრკ-ს პირობებში სოციალისტური საზოგადოება სრულად კაკისტოკრატიული იყო საქართველოში, რომელიც სახელმწიფოსმიერი მიზანმიმართული დესტრუქციის ძირითადი ობიექტი იყო „მოკავშირე რესპუბლიკათა“ შორის, მაგრამ არ იყო ან თითქმის არ იყო რუსეთში, რომელიც იმ სახელმწიფოს „მე“ იყო და, ამგვარად, საკუთარი დესტრუქციის სურვილი არ ჰქონდა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ წინამდებარე მსჯელობაში ჩვენ მოკლებულნი ვართ არადასავლური, სახელდობრ, ჩინური ისტორიის ფაქტების გათვალისწინების შესაძლებლობას, მაგალითად, არ ვიცით, არიან თუ არა ჩინური სოციალიზმის მმართველები მისულნი ხარისხობრივი დეგრადაციის იმ ნიშნულამდე, რომელთანაც მისულნი იყვნენ რუსეთისანი (სსრკ-სანი), ისევე, როგორც არ ვიცით, რამდენად მართალნი იყვნენ ჰეგელი და მისი ისტორიული ინფორმატორი წყაროები, როცა ჩინური დესპოტური იმპერიის წარსულს ერთგვარი განათლებული აბსოლუტიზმის სახით მოიაზრებდნენ და ხატავდნენ (იხ. ჰეგელის „ისტორიის ფილოსოფია“).

ნაციონალ-სოციალიზმი (ჰიტლერიზმი) — ჰიტლერის მიერ დამყარებული და გერმანიის მიერ თავისუფალი დემოკრატიული არჩევნების გზით მიღებული (შეწყნარებული) წყობა — ათავსებდა ნაციონალისტურ იდეოლოგიას და მუხტს სოციალისტურ სულისკვეთებასთან. მაგრამ ეს უკანასკნელი რეალიზდებოდა მხოლოდ სახელმწიფოს სოციალურობის, ანუ მისი მხრიდან მოსახლეობის მასაზე და მის ერთობლივ ინტერესებზე ინტენსიური მზრუნველობის სახით, და არა ეკონომიკაში სახელმწიფოს აბსოლუტური მონოპოლიის შექმნისა და, ამგვარად, საზოგადოებაში დამოუკიდებელი ძალების არსებობისა და განვითარების აღკვეთის სახით (გერმანია ჰიტლერის დროს, საბჭოთა კავშირისაგან განსხვავებით, იყო ტირანია, ანუ იმგვარი დიქტატურა, რომელიც ემყარება საზოგადოებაში არსებული ამა და ამ ძალების კომბინაციის კეთილგანწყობას, და არა დესპოტია, ანუ იმგვარი დიქტატურა, რომელიც ემყარება საზოგადოებაში დამოუკიდებელ ძალთა არარსებობას: არის მხოლოდ მმართველი სტრუქტურა და მოსახლეობის უფორმო მასა). ამგვარად, ჰიტლერულ გერმანიაში, ისევე როგორც სოციალისტურ რუსეთში, ანუ რუსების ქვეყანაში, არსებობდა მძლავრი ფსიქოლოგიური (ცნობიერებისმიერი) მოტივაცია მოქალაქის მხრიდან სახელმწიფოს ერთგულებისათვის და მის სასარგებლოდ თავდადებისათვის. ამიტომაც გერმანიამ ჰიტლერის დროს ორგანიზაციული თვითმობილიზაციის, ამ რიცხვში — აგრეთვე სამხედრო თვითმობილიზაციისა და ძალისხმევის რეკორდები დაამყარა. იგივე ანუ, პრინციპულად თუ ვიმსჯელებთ, ნაციონალ-სოციალისტური შინაარსი ჰქონდა სოციალიზმს სტალინურ (და მანამდე ლენინურ, ხოლო შემდეგ — უსტალინო) რუსეთში, სადაც ლოზუნგი „დავეწიოთ და გავუსწროთ კაპიტალისტურ ქვეყნებს“, ანუ ეროვნული რევანშის ლოზუნგი, იყო ერთადერთი საყოველთაოდ გაზიარებული და მომუშავე მოწოდება ყველა სოციალისტურ ლოზუნგთა შორის. ჰიტლერის სახელმწიფომ ადამიანობის წინააღმდეგ დანაშაული ჩაიდინა მოსახლეობის მასობრივი განადგურებით და, ნაწილობრივ, ფართო შეტევითი ომებით (ანუ აგრესიით) ევროპის სახელმწიფოების მიმართ, და არა იმით, რომ თავის ქვეყანაში სისხლიანი დიქტატურა (ვიმეორებთ: ტირანული და არა დესპოტური დიქტატურა) შექმნა. გერმანიის მოქმედება რომ მხოლოდ აგრესიული (შეტევითი) ომებით შემოფარგლულიყო და ამ ომებში დაცული ყოფილიყო ომის წარმოების ტრადიციულად მიღებული ნორმები, მაშინ, საფიქრებელია, ნიურნბერგის სასამართლოს გამართვის იდეა არც გაჩნდებოდა.

საყურადღებოა მეოცე საუკუნის ერთერთი ყველაზე მაღალი ინტელექტუალის, ბერტრან რასელის გონებამახვილური შენიშვნა რუსული ბოლშევიზმის ანუ რუსული იდეოლოგიური კომუნიზმისა და პრაქტიკული სოციალიზმის შესახებ, რომელიც ასახავს მისი თვენახევრიანი ვიზიტის დროს დაგროვილ დაკვირვებებს რუსეთში 1919 წელს, როცა იგი იქ ლეიბორისტთა დელეგაციის შემადგენლობაში იმყოფებოდა. რასელი წერს („ბოლშევიზმის თეორია და პრაქტიკა“, 1920), რომ ბოლშევიზმს ბევრი საერთო აქვს ისლამთან და რომ თანასწორობის და ა.შ. იდეები ბოლშევიზმში ისეთივე შემთხვევითი მოვლენაა, როგორც ღვინის აკრძალვა ისლამში. ავტორს მხედველობაში აქვს ის, რომ ისლამი, ისევე როგორც ბოლშევიზმი, საჭიროებს მტერს, რომლის დამარცხებაც წამყვან ამოცანას შეადგენს საზოგადოებისთვისაც და მისი მმართველი სტრუქტურისთვისაც, და არა საზოგადოების განვითარების ამა თუ იმ გზის არჩევანს თავისთავად.



ფაშიზმი არც რომელიმე სოციალური თუ პოლიტიკური წყობის აღმნიშვნელი სიტყვაა, არც ეკონომიკურისა. ეს სახელი მომდინარეობს ლათინური სიტყვისაგან fascia (კონა) და მიმანიშნებელია იმ ცნობილი ჭეშმარიტებისა, რომ კონა უფრო გამძლეა, ვიდრე მისი შემადგენელი ღერები ცალ-ცალკე. „ფაშიზმი“ მხოლოდ სულისკვეთება და ქვაზი-იდეოლოგიაა, რომლის შინაარსი შეიძლება გამოიხატოს სიტყვებით „ერთნი ვართ, შეკრული ჯგუფი ვართ და ყველას დედას გიტირებთ“. გერმანელი ნაციონალ-სოციალისტებისათვის ეს სიტყვა, როგორც მათი პარტიის აღმნიშვნელი, მიუღებელი იყო. იგი გამოიყენა იტალიაში მუსოლინიმ, რომელიც წარმოშობით სოციალისტი იყო, და მისმა ხროვამ თავისი პოლიტიკური პროგრამისათვის (რაკი პოლიტიკური პარტია მიზნისა და პროგრამის გარეშე შეუძლებელია). ამ საკმაოდ კარიკატურული სულისკვეთებისა და ფსიქოლოგიური მოდელის ნიმუშად საქართველოში შეგვიძლია დავასახელოთ სავალალოდ ცნობილი ჟურნალისტი და პარლამენტარი ბოკერია, რომელიც გამოირჩევა არანაირი ცნობიერებისმიერი გაშუალების არმქონე დემონსტრაციული ენთუზიაზმით მმართველი ჯგუფის ყველაზე არადემოკრატიულსა და ფიზიკურად, მორალურად თუ პოლიტიკურად ულამაზო აქტებში.

დემოკრატია დღევანდელ მსოფლიოში ფიგურირებს, ა) როგორც საყოველთაო თავისუფლებისა და ღირსების დამკვიდრების გულწრფელი ლოზუნგი, ბ) როგორც ამდენადვე მაღალი ღირებულებების რეალიზაციის არაგულწრფელი ლოზუნგი და გ) როგორც ყალბი ფირნიში მსოფლიოში დღეს გაბატონებული მდგომარეობის მქონე ძალთა თვალში პოლიტიკური დივიდენდების მოსაპოვებლად. ძალიან ცნობილი პოლიტოლოგის, საფრანგეთის აკადემიის წევრის ანრი ბეზანსონის სავსებით სამართლიანი შენიშვნით, დღეს მსოფლიოს დემოკრატიას სთავაზობენ, როგორც ღირებულებას, მაგრამ სინამდვილეში იგი ღირებულება კი არაა, არამედ მხოლოდ ერთ-ერთი შესაძლო ფორმაა საზოგადოების პოლიტიკური და სამოქალაქო ორგანიზაციისა სხვა ფორმებს შორის. ამ სიტყვებს შეგვიძლია და უნდა დავუმატოთ ის, რომ დემოკრატია წყობის ის ფორმაა, რომელშიც უფრო მეტად, ვიდრე რომელსამე სხვაში (ხაზს ვუსვამთ: მეტად, და არა ექსკლუზიურად) განხორციელებულია ორი ე.წ. აბსოლუტური ღირებულება: თავისუფლება და თანასწორობა, რის გამოც იგი ღირს იმად, რომ მისთვის ადამიანმა თავი დადოს, და ამიტომ თავის დამდები არასოდეს აკლია. ამ სიტყვას — „დემოკრატია“ — ორი უერთიერთგანსხვავებული, თუმცა ახლოს მდგომი შინაარსი აქვს. ერთის მიხედვით, დემოკრატია არის ინდივიდუალური ადამიანის, მოქალაქის თავისუფლების (დამოუკიდებლობის) მაღალი ხარისხი თავისი ქვეყნის ადმინისტრაციასთან მიმართებაში (ვთქვათ, ის, რომ პოლიციელმა იგი ვერ დაჩაგროს და ვერ შეურაცხყოს). მეორის მიხედვით, ეს არის მოქალაქის მონაწილეობის მაღალი ხარისხი საზოგადოების (ქვეყნის) მართვაში, ანუ ის, რომ მოქალაქეთა უმრავლესობის ნებასთან პირდაპირ წინააღმდეგობაში არ და ვერ მოხდეს ქვეყნისა და საზოგადოებისათვის მავნე რაღაცა ნაბიჯის გადადგმა სახელმწიფო დონეზე ან რაღაცა აუცილებელი ნაბიჯის არგადადგმა ამავე დონეზე. დემოკრატიას პირველი შინაარსით სხვა სახელად „ლიბერალობა“ ეწოდება, მეორე შინაარსით — მხოლოდ „დემოკრატია“. ამ სიტყვის პირველი შინაარსი გულისხმობს საზოგადოებაში (და სახელმწიფოში), პრინციპში, ყველა ცენტრიდანული ძალების მხარდაჭერასა და ხელშეწყობას. მისი სულისკვეთება გვეუბნება, რომ მოქალაქე უნდა მიშვებულ იქნას ყველა გზისკენ, რომელიც კი მის გულს იზიდავს, და მის მიმართ მიყენებულ არ უნდა იქნას არც ერთი იძულება. მაგალითად, მას უნდა ჰქონდეს სიტყვისა და აზრის თავისუფლება (ეს დემოკრატიის ანბანური ძირითადი მცნებებია), მოპირდაპირე სქესის ნებისმიერ ადამიანთან დაქორწინებისა და განქორწინების უფლება, უნდა ჰქონდეს საჭესთან ჯდომისას მობილური ტელეფონით ლაპარაკის უფლება (რაც დაუშვებელია, ვინაიდან სახიფათოა), უნდა ჰქონდეს ომის დროს ჯარში არწასვლის უფლება (რაც მორალურად მიუღებელია ნორმალურ ადამიანთა უმრავლესობისათვის და, ამგვარად, დაუშვებელია), უნდა ჰქონდეს თავისივე სქესის ადამიანთან დაქორწინების და შვილის აყვანის უფლება (რაც არა მხოლოდ ეწინააღმდეგება მოცემული საზოგადოების დიდი უმრავლესობის მორალურ გრძნობას, არამედ დამტკიცებადადაც ამორალური და ბარბაროსულია, ვინაიდან ამით იწირება ის აყვანილი ბავშვი, რომელიც იმ არატრადიციულმა „წყვილმა“ იმ არატრადიციულ ატმოსფეროში უნდა გაზარდოს). დემოკრატია მეორე აზრით, პირიქით, მხარს უჭერს საზოგადოებაში, ცენტრიდანულის გარდა, აგრეთვე ცენტრისკენულ ძალებს, ანუ იმ ძალებს, რომლებიც ითხოვენ საზოგადოების მართვის ეფექტიანობის ზრდას მისი წინსვლის, ორგანიზებულობის, ზოგადად — მომავალი წარმატების სასარგებლოდ. ნათელია, რომ პირველ მიდგომასთან შედარებით მეორეს განუზომელი ინტელექტუალური უპირატესობა აქვს, რამდენადაც ადამიანის თავისუფლება მხოლოდ ის კი არაა, რომ თავისი ფიზიკური მოთხოვნილებები და ხუშტურები დაიკმაყოფილოს, არამედ (და პირველ ყოვლისა) ისიც, რომ გარე სამყაროს ის სახე მისცეს, რომელიც უკეთესად მიაჩნია, თავისი საზოგადოებისა და ქვეყნის სრულყოფის ჩათვლით (მარტივად რომ ვთქვათ, პირველი მიდგომა ნაკლებ ჭკვიანთა ფილოსოფიაა, მეორე — უფრო ჭკვიანებისა). ამავე დროს ხელის გულზე დევს ჭეშმარიტება, რომ ამ ორი ურთიერთგანსხვავებული ინაალმდეგო მიდრეკილებისა და ფსიქიკური გემოვნების ჰარმონიული ურთიერთმიმართება მხოლოდ გონივრული დაბალანსების გზითაა შესაძლებელი (ვერც ერთ ამ მიდრეკილებას ვერ მიუშვებთ თავისუფლად „თავის ნებაზე“, თუ საზოგადოების სიკეთე გვინდა). მაგრამ ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს საკითხის სხვა მხარე:

როგორია (და როგორია მოსალოდნელი, რომ მომავალში იქნება) პირველი ან მეორე მიდრეკლებისა თუ გემოვნების მქონე პირთა (მოქალაქეთა) ადამიანური ხარისხი? ერთის მხრივ, თითქოს, ნათელი უნდა იყოს, რომ (როგორც ვთქვით) მეორენი პირველებს აღემატებიან ჰორიზონტით (რაკი მომავლისკენ იყურებიან და სახელმწიფო ინტერესებიც ესმით) და, ამგვარად, საზოგადოების უკეთესი ნაწილი არიან. მაგრამ, მეორეს მხრივ, ფაქტები გვეუბნება, რომ დიქტატურისა და. მისი გამყარებისაკენ, მოქალაქის ლიბერალური უფლებებისა და ინტერესების შეზღუდვისაკენ, თუკი სახელმწიფო მოცემულ მომენტში დიქტატორულია, ყველა სხვაზე მეტად სწორედ ყველაზე გონებაშეზღუდული ადამიანები არიან მიდრეკილნი. დასმულ კითხვაზე მეტ-ნაკლებად მეცნიერული ან მეცნიერულთან მიახლოებული პასუხის გაცემა მოითხოვს პირველთა და მეორეთა მოტივაციური მოდელებისა და ამ მოდელთა სტატისტიკური გავრცელებულობის ფსიქოლოგიურსა და სოციოლოგიურ შესწავლას, ამასთან — სხვადასხვა ტიპის საზოგადოებებში, რაც დღემდე გაკეთებული არ არის. შეუარაღებელი თვალით ხილული დღესდღეობით მხოლოდ ისაა, რომ კანონმდებელს არა აქვს არც ერთთან, არც მეორესთან მიმართებაში ოდნავი დათმობის უფლებაც კი იმასთან შედარებით, რასაც მისი ბრძნული და ობიექტური აზრი მოითხოვს, ვინაიდან ორსავე შემთხვევაში ამას, ჯამში, საზოგადოების

ადამიანის უფლებათა დაცვის ვეტერანი ნანა კაკაბაძე

ფსიქოლოგიური და სოციალური, ხოლო სახელმწიფოს — ორგანიზაციული ნგრევა მოჰყვება. დემოკრატია სახელმწიფოსათვის არის ძალა და არა სისუსტე. ამის მიზეზი მხოლოდ ის კი არაა (და ძირითადად ის კი არაა), რომ ხალხისმიერი კონტროლი ხელისუფლებას აიძულებს, მასას ანგარიში გაუწიოს, არ დაჩაგროს, მასზე საზრუნავად შრომა არ დაიზაროს, მასის თვალი აკავებს ხელისუფლებას მცდარი ნაბიჯისაგან და ა.შ., არამედ ისიც, რომ დემოკრატია ქმნის (და მხოლოდ დემოკრატია ქმნის) თავისუფალ ასპარეზსა და სტიმულს საზოგადოებაში არსებული პოტენციური გონებრივი და ენერგეტიკული ძალების ამოქმედებისა და განვითარებისათვის. დემოკრატიული საზოგადოება, როგორც მთლიანი (ვთქ-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

მეხუთე გვერდიდან

ვათ, დემოკრატიული ქვეყანა) ყველა შეჯიბრში მოუგებს არადემოკრატიულს (დღეს ხომ ომებიც კი ფორმით შეჯიბრია პირველ ყოვლისა, და არა კონტაქტი ბრძოლის ველზე) და დემოკრატიული საზოგადოების შვილი ყოველთვის უფრო მოტივირებული იქნება გამარჯვებისათვის, ვიდრე არადემოკრატიულისა. მაგრამ ეს დებულება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევისათვის, როცა ზემოხსენებული ბალანსი დაცულია. კომენტარის სახით უნდა დავძინოთ, რომ დროებითი მძლავრმმართველობა, ანუ სახელმწიფოს ხელში ძალაუფლების განსაკუთრებული თავმოყრა გამონაკლისის სახით (ვთქვათ, სამხედრო მდგომარეობის გამოცხადება), რაც მოქალაქეთა მიერ წინასწარ განსაზღვრული თანხმობით ხდება (ვთქვათ, კანონის შესაბამისად), დემოკრატიასთან წინააღმდეგობაში არაა, არამედ, პირიქით, მისი ერთერთი მაკონსტიტუირებელი ელემენტია.

„დემოკრატია“, ანუ ფსევდოდემოკრატია, ის ვითარებაა, როცა საზოგადოების დემოკრატიული მოწყობა გამოყენებულია, როგორც (ყალბი) ფირნიში სახელმწიფოს გარეთ არსებული ზემძლავრი ძალების

კეთილგანწყობის ან მხარდაჭერის მოსაპოვებლად, როგორც ამას დღეს, მაგალითად, საქართველოში აქვს ადგილი (და არა მხოლოდ საქართველოში, თუმცა საქართველოში ამას ყველაზე უფრო კარიკატურული ფორმები აქვს). ხელისუფლება მკვეთრად არადემოკრატიულია, მაგრამ ვინაიდან მსოფლიო პოლიტიკის იდეოლოგია მოითხოვს დემოკრატიულობას, იგი სიმულირებს დემოკრატიულ სულისკვეთებასა დ პოლიტიკას. ასეთ შემთხვევაში დიქტატურას, რომელსაც დემოკრატიის ყველა ცნობილ პარამეტრში სრული ჩავარდნა აქვს, ერთადერთი საშუალება რჩება თავისი „დემოკრატიულობის“ სიმულაციისა იმ გზით, რომ სახელმწიფო ინტერესების ხარჯზე, ანუ პირდაპირი სახელმწიფო ღალატის საშუალებით, დათმობებზე წავიდეს („წითელი კვერცხი უგოროს“) ანტისახელმწიფოებრივ ძალებს, მაგალითად, უსამართლოდ სეპარატისტულ ძალებს თავის შიგნით, ბნელ სექტებს და ასე შემდეგ, და მიზანმიმართულად დესტრუქციულ, მაგალითად, ეროვნული ეკონომიკის ნგრევის მოსურნე ძალებს სახელმწიფოს გარეთ. რამდენადაც „ეროვნული უმცირესობების დაუჩაგრაობა“ დემოკრატიის ელემენტად ითვლება, ადმინისტრაცია მზადაა „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა“ შექმნას დიასპორისათვის, რომელიც არა მხოლოდ ადგილობრივი არაა (შემოსახლებულია სულ საუკუნენახევრის წინ და მას შემდეგ) და საქართველოს გარეთ თავისი ისტორიული სახელმწიფო წარმონაქმნი, „ალანია“ აქვს, არამედ უმცირესობაც არ არის (ამავე მიზეზით), ანუ ადამიანის უფლებებისა და, კერძოდ, უმცირესობათა უფლებების დაცვის არც ერთი საერთაშორისოდ მიღებული ნორმის მიხედვით ტერიტორიული ავტონომიის უფლება არა აქვს. რამდენადაც (ეკონომიკურ პროცესებში) სახელმწიფოს ჩარევის მინიმიზაცია, თითქოს (მაგრამ არა სინამდვილეში) დემოკრატიის ელემენტად ითვლება, სახელმწიფო კონკურენციის ქარიშხალთა წინაშე დაუცველად აყენებს საქართველოს ეროვნულ სიმდიდრეს (მიწის ჩათვლით) ისეთ მომენტში, როცა საქართველოს არც ერთ ეკონომიკურ სუბიექტს კონკურენციის არა თუ თანასწორი უნარი, არამედ საერთოდ არანაირი უნარი არა აქვს. ეს (შევახსენებთ მკითხველს) ხდება ისეთ პირობებში, როცა საქართველო არა მხოლოდ ვეშაპივით პირდაბჩენილი მტრის (რუსეთის) წინაშე, არამედ აგრეთვე არაერთი სხვა „მოყვარე“ და „მტერმოყვარე“ სუბიექტის პირისპირაც იმყოფება, ვისაც საქართველოს მთლიანად შესყიდვა, ქართველი ერის ფუნდამენტური ექსპროპრიაცია და მის მიწაწყალზე საკუთარი ალტერნატიული (სათადარიგო) სახელმწიფოს დაფუძნება ჰსურს.

ასეთ პირობებში, როცა საქართველოს წინააღმდეგ საერთაშორისო შეთქმულების არსებობა ფაქტია, იქმნება ჭეშმარიტად შეუზღუდავი ასპარეზი საქართველოში კაკისტოკრატიის აყვავებისათვის, რომელიც, მოსალოდნელია, კომუნისტურს გაუტოლდება თავისი რიცხვითაც და მავნებლობის მასშტაბითაც და, შესაძლოა, გაუსწრებს კიდეც მას. მისი მექანიზმი — წინაურდება მთავრობის მიერ და სპონსორდება ის, ვინც მზადაა თავისი ქვეყნის ეროვნული ინტერესების ყველაზე მეტად გაწირვისათვის — პრაქტიკულად მუშაობს, იგი მასისთვის ცნობილია და, ამდენად, ყველას, ვისაც საამისოდ თავისი ამა თუ იმ მიზეზით არასრულფასოვანი

გული, გონება თუ მომნელებელი ორგანოები უწევს, იმთავითვე „დაკვალიანებულია“ საიმისოდ, რომ იოლი კარიერის გზა, — საქართველოში ყველა ცენტრიდანული ფაქტორისათვის „დემოკრატიული“ თავდადების გზა — აირჩიოს.

შენიშვნა: გაუგებრობის აცილების მიზნით მკითხველს უნდა შევახსენოთ, რომ გარეგანი ძალისთვის საკუთარი თავის „დემოკრატად“ მოჩვენების საჭიროება მოქმედებს, როგორც პოლიტიკის ფაქტორი, საქართველოსაგან რადიკალურად განსხვავებულ პირობებშიც. მაგალითად, სსრკ თავისი დემოკრატიულობის სიტყვიერი აღიარებიდან მის პრაქტიკულ სიმულირებაზე გადავიდა მხოლოდ მაშინ, როცა ცხადი გახდა, რომ ციv ომს აგებს. ეს იყო ძირითადი ფაქტორი, რომელმაც რუსეთს დააშვებინა მსოფლიოს კონტროლი ადამიანის უფლებათა მდგომარეობაზე თავის შიგნით.

„შავი ბრბო“, იგივე „ნაყარ-ნუყარი“ და ა.შ. ძველი მოვლენაა, რომელსაც ანტიკურ საბერძნეთში სოციალური ტერმინი „ოხლოსი“ მიეკუთვნებოდა, ნიცშეს კალამმა კი ახალი — უფრო ფსიქოლოგიური და მორალური, ვიდრე სოციალური — შინაარსის მატარებელი ცნებით „gesindel“ აღნიშნა (რუსულად ამ გამოთქმას თარგმნიან როგორც „Сволочь людская“). ვინ არიან ეს „შავი ბრბო“? ეს ყველა სოციალური წრიდან გამოსული და ყველა წრეში მყოფი ის ადამიანები არიან, რომელთაც, პირველ ყოვლისა, ახასიათებთ ზოოლოგიური სიძულვილი თავისზე უკეთესებისადმი, რომლებსაც მათზე უფრო საპატიო სოციალური ხვედრი (ძირითადად,

პრესტიჟი) ეკუთვნით სამართლიანობის ძალით და — თუ სამართლიანობა განხორციელდა, ანუ მოვლენები ბუნების ჩვეულებრივი წესის მიხედვით განვითარდა — მისი მიღების მაღალი ალბათობაც აქვთ. ამ პოზიციის სისაძაგლე და ამავე დროს სიყალბე იმაში გამოიხატება, რომ ამ „შავ ბრბოს“ უკეთესისა და უარესის (უმჯობესისა და შედარებით მდარის) შესახებ უკმარისი, შეზღუდული გონებიდან მომდინარე წარმოდგენა აქვს. სახელდობრ, მისთვის უცნობია (მით უმეტეს, შინაგანი განცდის დონეზე და არა მხოლოდ გარეგანი ინფორმირებულობის დონეზე უცნობია) ის, რაც კაცობრიობას ქრისტემ ასწავლა ამ ორი ათასი წლის წინ: რომ იმაში, რაც ადამიანში მთავარია, ადამიანები თანასწორნი ვართ (თავისუფლება, პასუხისმგებლობის ცნობიერება, სიკეთე-ბოროტების გარჩევის უნარი და სიკეთეზე ორიენტაციის უნარი და ზოგი სხვა რამ) ან, თუ გნებავთ, სიტყვაშებრუნებით: ის, რაშიც ადამიანები თანასწორნი ვართ, მათში მთავარია, ხოლო სოციალური მდგომარეობა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი დამსახურებულია (ვთქვათ, განსაკუთრებული ნიჭის, ენერგიის, სიბეჯითის, თუნდ იღბლის წყალობით) იმ მთავართან შედარებით მხოლოდ აქციდენციაა (შემთხვევითობაა ამ სიტყვის ფილოსოფიური აზრით). ამიტომაც მათს შეფასებაში და თვითშეფასებაში წამყვანი მნიშვნელობისა ვერ იქნება. არ იციან რა ეს, და იციან რა, რომ ბუნებისმიერი ელიტა ყოველთვის

მათზე წინ იქნება დამსახურებული პრესტიჟით მაინც (თუ სოციალურობის სხვა პარამეტრებში ვერა), ისინი ყოველდღიურად ცხოვრობენ იმ ფარული (და უფრო ხშირად — არაცნობიერი) მოლოდინით, რომ, რაღაცა შემთხვევითი ატიპიური სიტუაციის შექმნის წყალობით, იმ ელიტისაგან შურისგების, მასზე რევანშის აღების შემთხვევა მიეცემათ, და თუ ასეთი

შემთხვევა გაჩნდა, მას ხელიდან არ უშვებენ. ასეთი შემთხვევა ამ ტიპის მასას მიეცა, მაგალითად, მაშინ, როცა საქართველოში, მ. მაჭავარიანის სიტყვით რომ ვთქვათ, „ერეკლეს ტახტზე დაჯდა ხეჩუა“ (1921 და მომდევნო წლებში). მაშინ ისინი „ცეკა, ტეკა, ალეკეკასა“ და სხვა ამგვარ ხვრელებს მიაწყდნენ მასობრივად, კარიერის მოხვეჭას მონდომებულნი და ელიტისდმი არა მარტო პრაქტიკული მტრობით, არამედ გულწრფელი, ქვეცნობიერებიდან ცნობიერებაში ამოტივტივებული მძულვარებით აღტყინებულნი. ასეთივე ისტორიული შანსი (შემთხვევა) აქვთ დღესაც, როდესაც საქართველოს გარედან მართული ხელისუფლება ჰყავს და ეს ხელისუფლება ქვეყნის სადღეისო და სამომავლო (ისტორიული) ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ კურსს ატარებს, რის გამოც მმართველ გუნდში აყვანა, ანუ პოლი-

ტიკური და ადმინისტრაციული წინსვლა სოციალურ კიბეზე — ისევე, სამწუხაროდ, როგორც ყოველი სხვა სახით წინსვლა ამ კიბეზე, რაც მარიონეტული ტოტალიტარიზმის განუყოფელი თვისებაა, — ცალსახად დამოკიდებულია მოცემული პიროვნების მზაობის ხარისხზე, რომ ეროვნული ინტერესები გაწიროს. კაკისტოკრატია, როგორც სახელმწიფოში ძალითი სტრუქტურის ფორმა, დღეს საქართველოში სახეზეა, რაც, თავისთავად, როგორც სიმპტომი, იმის უტყუარი საბუთია, რომ საქართველო დღეს გარედან მართული ხელისუფლების მყოლი სახელმწიფოა.

ამ კატეგორიის ადამიანთა ზოგადი სურათი რომ უფრო სრული იყოს, დავასახელებ მათს სამ მახასიათებელს, რომელიც ამგვარ ბრბოს ნიშანს წარმოადგენს არა მხოლოდ დღეს, არამედ ბოლო დაახლოებით ერთი საუკუნის მანძილზეც საერთოდ (ამ ვადას იმიტომ ვირჩევ, რომ ეს ჩავლილი საუკუნე საზოგადოების და მისი პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებით დაჩქარებული და ინტენსიფიცირებული განშრევების დროა).

პირველი. ამ ფენას (თუნდაც ათასჯერ დიპლომირებული იყოს) დამოუკიდებელი აზროვნება არც შეუძლია, არც ჰსურს (იგი ორიენტირებულია „დამკვეთის“ აზრობრივ მოდელებზე). ამიტომ მას კამათი არ ძალუძს. ამის (ერთერთი) მაგალითია ის, რომ ხროვას, რომელმაც დიდი უცხო სპონსორობით შექმნა და გამოაქვეყნა აფხაზეთში მიმდინარე ქართულ-რუსული კონფლიქტის დარეგულირების ანტიქართული „კონცეფცია“, არც ერთხელ არ მიუღია შეთავაზებული ნადადება დისკუსიის შესახებ და შემთავაზებელს ღია კამათში არ გაჰყოლია (ზაქარეიშვილი, კუბლაშვილი, ბაქრაძე და სხვანი).

მეორე. ამ „შავი ბრბოს“ ელემენტი ადამიანები, უგამონაკლისოდ, პოლიტიკაში „ტივტივის“ მაძიებელნი არიან და არა რეალური ძალაუფლებისა ამა თუ იმ ამბიციური მიზნის მისაღწევად რეალობაზე (ქვეყნის ბედზე, საზოგადოებრივ წყობაზე და ა.შ.)ზემოქმედების მიმართულებით.

მესამე. „შავი ბრბო“ არც კლასია, არც სოციალური ფენა, შესაბამისად, მას არც სასიკეთოდ გამოსაყენებელი ძალაუფლების, არც საერთოდ ძალაუფლების პრეტენზია არა აქვს და ამით განსხვავდება ხროვისაგან, როგორც პოლიტიკური ჯგუფისაგან ან პარტიისაგან ამ სიტყვის ზოგადი აზრით. მათ იციან, რომ მხოლოდ სხვა პოლიტიკურ სხეულზე (ლოგიკურად, სახელმწიფოსათვის **მავნე** სხეულზე) პარაზიტირება შეუძლიათ, ამიტომ მათი პოლიტიკური აქტიურობის პირდაპირი მიზანია ხოლმე არა მკვებავი ბოროტი ორგანიზმების დაცვა, არამედ სათადარიგოთა ძებნა.)

რა უნდა მოიმოქმედოს ჯანსაღმა საზოგადოებამ ამგვარი Gesindel-ის წინააღმდეგ? არაფერი და ვერაფერი, რადგან მისი არსებობა ისევე გარდუვალია და განუკურნებელია, როგორც ქალაქში ნაგვის არსებობა და ბუნებაში — პათოგენური ბაქტერიებისა. ერთადერთი, რითაც მათ არსებობაზე საზოგადოებას რეაგირება ჰმართებს და შეუძლია, არის

პოზიტივისთვის მთელი ძალით, ენერგიითა და გონებრივი დაუზარებელი ძალისხმევით ზრუნვა. ერს, სახელმწიფოს, მოქალაქეთა სიმრავლეს სჭირდება გუნდი (პირველ ხანებში თუნდ სულ რამდენიმეკაციანი მაინც), რომელიც განსაზღვრავს კიდეც, რა უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფოს მიერ გასაცხადებელი პოზიცია მტრისა და მოყვრის (ანუ მსოფლიოს) წინაშე, და ძალაც ეყოფა, იგი კიდეც განაცხადოს და კიდეც დაიცვას. Gesindel-ს კი ასეთ შემთხვევაში ადგილი მიეჩინება იქ, სადაც მისთვის ბუნებას დაუწესებია: უჩინარობაში, სადაც მანკიერი ზნეობრივი ცნობიერების ადამიანს სხვა ბოროტების ქმნა არა ძალუძს რა გარდა იმისა, რომ თავისზე უკეთესები თავის გულში წყევლოს და ბოღმით საკუთარი ხორცი კბილებით დაიჭამოს.

საზოგადოების ტრიბუნა

ღალატია, სახელმწიფო სხვას უთმობდეს საკუთარი პრობლემების გადაწყვეტის ინიციატივას!

(ანუ პოლიტიკური „პოდდავკი“... ერთი არაორდინარული საკონსტიტუციო ინიციატივის თაობაზე)

მტრულმა ძალებმა, ქვეყნის მიზანმიმართული ნგრევის გზაზე ყველა სხვა უბედურებასთან ერთად, სამწუხაროდ, გარკვეულად მიაღწიეს თავის ვერაგულ მიზანს — საქართველოს კუთხეებს შორის ურთიერთდაპირისპირება-გაუცხოებას — და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის შემდეგ, თუ ყველგან ვერა, ზოგან მაინც „მოახერხეს“, (ძირითადში, პრიმიტიული გამონაკლისების დონეზე) მიზნის მიღწევა. ხალხის ფსიქოლოგიაში ღრმა ტკივილ-შეურაცხყოფად დარჩა მოღალატე, გამყიდველი შევარდნაძისაგან თავის დროზე გამოყენებული ხერხი ერის ერთიანობის მიზანში ამოღებისა ძმათა სისხლისღვრის გზით.

დაგეგმილი „ჩატეხილი ხიდის“ პრობლემა დიდი ისტორიული სიბრძნის მქონე ქართველ ერში ადრე თუ გვიან თავად დალაგდება. მაგრამ არის პრობლემაც (პრობლემებიც), რომლებიც თავად არ დალაგდება. სახელდობრ, ჯერაც, დღემდე სიცარიელეშია გამოკიდული ველური ეთნოწმენდის შედეგად 350 ათასი დევნილის ბედი!.. რუსეთის მხრიდან ფორსირებულად გრძელდება მიტაცებული, ოკუპირებული ძირძველი ქართული ტერიტორიების ანექსიის პროცესი...

კონკრეტულად საკითხი ასე დგას:

აფხაზეთის დევნილი ხელისუფლება ბინავდება კოდორის ხეობაში (ზემო აფხაზეთში). კეთილი და პატიოსანი! ვიმედოვნებთ (!), რომ, ალბათ, კეთდება ყოველივე, რაც ამ მნიშვნელოვანი პლაცდარმის შემდგომ დაცვა-განვითარებას, დედო-მიზნის რეალიზების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ესაჭიროება!..

გამთლიანების ამ დედო-მიზნის იდეოლოგიური შეიარაღებისათვის (სამართლებრივ ალტერნატივად ველური აპარტეიდული რეჟიმის მიმართ) დღეს მოარული სხვადასხვა ე.წ. „ბოდენის“ გეგმის და სხვა ამდენადვე ანტიქართული გეგმების საპირისპიროდ ერთ არაორდინარულ ალტერნატიულ მოსაზრებას შემოგთავაზებდით. სახელდობრ, ვიფიქროთ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სწორედ შიგა „ფედერაციულ„ (რა თქმა უნდა, ბრჭყალებში) მოწყობაზე საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში: აქ პრობლემა უმტკივნეულოდ გადაწყდება იმით, რომ ქვეყნის საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ თუნდაც ერთი საპარლამენტო ფრაქციის ინიციატივით პარლამენტი განიხილავს პროექტს საცხოვრისი ტერიტორიების განლაგების გათვალისწინებით რეალისტური ტერიტორიული მოწყობის შესახებ, თვითმმართველობის განვითარებული თანამედროვე ინსტიტუტების, აგრეთვე სხვა სამართლებრივი ხერხების, მათ შორის — ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრში (დედაქალაქში) (ცენტრალურ ხელისუფლებაში) ორივე მოსახლეობის (ორივე ტერიტორიის) სამართლიანი წარმომადგენლობითი კვოტების სამართლებრივ გააზრებათა შესაბამისი სქემების დამუშავებით. ამ პროექტის თანახმად განისაზღვრება ამ ორი მოსახლეობის მიერ აფხაზეთის ტერიტორიის სამეურნეო და საცხოვრებელი სივრცის (დროებით) ურთიერთშეუხებლად გამოყენების რუკა და უფლებამოვალეობები მთლიანად აფხაზეთის ხელისუფლებასთან მიმართებაში (ამ კონსტრუქციული იდეის თანადგომა პრეზიდენტის „რეიტინგსაც“ ქვეყანაში წაადგებოდა, მით უმეტეს, რომ იგი უმთავრესში შესაძლოა არც ენინააღმდეგებოდეს პრეზიდენტის მზადყოფნას ე.წ. ფართო ავტონომიის თაობაზე სახელმწიფოებრივად გონივრულ ფარგლებში...). ამით ორივე მოსახლეობა დაინახავდა, რომ გასაყოფი არაფერი აქვს: აფხაზეთის სივრცე და ბუნებრივი რესურსები ორივეს კარგად ჰყოფნის!

კარგი იქნებოდა საკონსტიტუციო ინიციატივა სხვებთან ერთად აფხაზეთის წარმომადგენლობით დეპუტაციას მოეხდინა, მაგრამ ასეთი დეპუტაცია პარლამენტში დღეს აღარ არის. მნიშვნელოვანია, რომ ამ ინიციატივას აფხაზეთის დევნილი უმაღლესი საბჭო — დევნილი ხელისუფლება შემოერთებოდა. ბატონ თემურ მჟავიას ეს უნდა აწყობდეს იდეოლოგიური მზაობისათვის ახალ გარემოში.

იგივე შეიძლება გარკვეული ფორმით გავითვალისწინოთ ცხინვალის რეგიონშიც (ავტონომიური ოლქის პირობებში).

მივცეთ ერთმანეთთან ოჯახებით და სისხლით, წინაპართა საერთო ოჯახური სასაფლაოებით, ადათ-წესებით ტრადიციულად დაკავშირებულ ამ ხალხებს ერთმანეთთან სხვისაგან, უცხოთაგან დამოუკიდებლად, გარედან ჩაურევლად მორიგება-თანაცხოვრების საშუალება! ეს ხომ რეალურია!!! გავუადვილოთ დღეს მათ ეს საკონსტიტუციო სამართლებრივი ფორმითაც. შევაძლებინოთ მათ მშვიდობიანი სამართლებრივი (დრომდე...) დაშორიშორება. გადაწყვეტილების რეალიზება კი სახელმწიფომ სხვას არ უნდა გადააბაროს!

დღემდე გრძელდება გაუთავებელი უშედეგო „მოლაპარაკებები“ თავსმოხვეული წინასწარ წამგებიანი და დისკრიმინაციული, კაბალური შეთანხმებითა და კაბალური ფორმატით: რუსეთის ფედერაცია, სეპარატისტული აფხაზეთი და საქართველოს ცენტრალური მთავრობა, სადაც ვანდალური ეთნოწმენდით ასეულ ათასობით დევნილი მოსახლეობა (ავტონომიური რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის თითქმის 70%), ასევე დევნილი ხელისუფლება საერთოდ იგნორირებულია. კიდევ უფრო აბსურდულია მოლაპარაკებათა ფორმატი ცხინვალის რეგიონში, სადაც ასევე იგნორირებულია დევნილი მოსახლეობის წარმომადგენლობა და, ამ დროს, დამატებით რუსეთის ფედერაციის დამატებით მოლაპარაკების სრულუფლებიან წევრად (სუბიექტად) „მოლაპარაკებებში“ ჩართულია „ჩრდილოეთ ოსეთი“ (?!).

უკვე ჰიკს მიაღწია ამ მიტაცებული ტერიტორიების რუსეთის მხრიდან ანექსიის პროცესმა მოსახლეობისათვის რუსეთის პასპორტების ჩამორიგებით. ხელისუფლებამ ამ დღეებში კვლავ ვერ (?) შესძლო და არ ისურვა გაეროს უშიშროების საბჭოში ამ მოვლენების გამო ადამიანობის წინაშე დანაშაულზე რუსეთის საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის კონკრეტულად დასმა. ამისი მცდელობაც არ დაფიქსირებულა სახელმწიფოს მხრიდან! ასევე არ გაკეთდა ეს ჩამოყალიბებულად, სათანადო ფორმით, გარკვევით და მტკიცედ პრეზიდენტის ამასწინანდელ გამოსვლაშიც „გაეროს“ გენერალურ ასამბლეაზე. (შეიძლება აქ ეს გარკვეულწილად გამოუცდელობითაც აიხსნას. ზოგიერთი ტერმინოლოგიური აღრევა-ცდომილებაცაა ამ გამოსვლაში), ამიტომ პრეზიდენტის მიმართ მაინც კიდევ (?) იმედითა ვართ, რადგან თითქოსდა ითქვა თითქმის ყველაფერი, მაგრამ სამართლებრივად პირდაპირი ბრალდების მტკიცებულება-ფორმულირება-წარდგენა ვერ მოხერხდა (?!), ვერ შედგა! პრობლემა კვლავ ჰაერში გამოკიდული დარჩა, ხოლო მთავარი ადრესატი-დამნაშავე — ოფიციალურად ხელშეუხებელი!

უკანასკნელი ხანების მოვლენები კვლავ დაბეჯითებით გვაფიქრებინებს, რომ ბოლო ათწლეულებში ტრადიციულად კაპიტულანტურ ჩვენს უმაღლეს ეშელონებში თუ ხელისუფლებაში ნამდვილად ისევ საკმაოდ მორჭმით და ძალიან მაღლა ზის ვინმე პროვოკატორი, „მესიანურ გმირად“ შენილბული კაპიტულანტი, რომელმაც არ შეიძლება ძალზე კარგად არ იცოდეს, „მჩხავანა კატა თაგვს ვერ დაიჭერსო“, მაგრამ უკვე იმდენად გაიჯეჯილა, გათავხედდა, აშკარად აქეთ „გვაბრიყვებს“ თავისი პოპულისტური რიტორიკით, ფსევდოპატრიოტული ავანტურისტული, პროვოკატორული გამოხდომებით. ზედმეტია ლაპარაკი ამ „ბატალიებში“ მათგან სტრატეგიულ თუ ტაქტიკურ ინიციატივათა ფლობის რაიმე რეალურ მცდელობაზეც. გრძელდება შევარდნაძისეული ე.წ. პოლიტიკური „პოდდავკის“ (წაგებაზე შაშის ცნობილი თამაშის ანალოგიით), მუხანათური გათამაშება.

პრობლემა უმეტესწილად (შედარებით ადვილად) სამართლებრივად არაორდინარულად წყდება ან წყდება ზოგჯერ უსამართლოდ, როგორც ეს დღევანდელ მსოფლიოში არა მარტო კოსოვოში ხდება (თუმცა, მაინც არა გვგონია „ბოლომდე მოხდეს“... ეს პრეცენედტი მომავალში ყველასთვის უდიდესი, საბედისწეროდ სახიფათო ნაღმი იქნებოდა და არა მხოლოდ ევროპაში. ეს უახლოეს ხანებში სასტიკად გაართულებს თავად მიგრანტთა და ცალკეულ ძველ დიასპორათა პრობლემებსაც მსოფლიოში.).

საქართველოსათვის მისაღები სამართლებრივი ჩვენეული აქტი — პრეცენედტი (საკონსტუტიციო ცვილელება) — უნდა დროზე შედგეს და იგი უნდა დავიცვათ! ეს საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი კონსტიტუციური უფლებაცაა! ბოლოს და ბოლოს საჭიროა მტკიცე, მხოლოდ საკუთარი სახელმწიფოებრივი ნება! (თითქოსდა „უკანონო“ ადგილობრივ ქართულ პარტიზანულ ბრძოლებს, უცხო მტრულ ანკესზე წამოგებული ვაიქართველობა თავის დროზე სახელმწიფოებრივად (თანაც განურჩევლად) თავად სასტიკად (!) დაუპირისპირდა (!?). ახლა სამართლებრივი ბრძოლის დათმობა მაინც ნულარ მოხდება! „პარტიზანობაც“ საჭიროებისამებრ თავად აღსდგება სხვა შემთხვევაში!).

აღნიშნული საკონსტიტუციო ცვლილება, სამართლებრივად გააზრებული და დამუშავებული არც თუ რთული მექანიზმით (თუ ობიექტურად ჩავუფიქრდებით), იქნება კოსტრუქციული სამოქალაქო კონსოლიდაციის დინამიური დასაწყისი, ჭეშმარიტად რალური მშვიდობიანი განტვირთვა, კონკრეტული კონსტრუქციული გამოსავალი წლობით გამოუვალი კონფლიქტური ჩიხიდან (ადამიანთა ყოველდღიური მსხვერპლით) — პირველი რეალური სამართლებრივი ნაბიჯი ამ თხუთმეტი და მეტი წლის დაპირისპირების გზაზე. სამართლებრივად ამ საპარლამენტო აქტს ვერ დაუპირისპირდება ვერც რუსეთი, ვერც „გაერო“ და, მით უმეტეს, ჩვენი ე.წ. მეგობარი ქვეყნები და საერთაშორისო საზოგადოებრიობა, რომ აღარაფერი ვთქვათ კონფლიქტში უშუალოდ ჩართულ მხარეებზეც (ესაა მხოლოდ, რომ რიგი ე.წ. საერთაშორისო ორგანიზაციების აქ ჭარბად „დასაქმებულ“ კონტინგენტს, ასე ვთქვათ, უშედეგო, მუქთი და სარფიანი „უვადო“ დასაქმების არეალი შეეკვეცებათ! მათგან ამ გზაზე სამკვდრო-სასიცოცხლო ძალზე მძაფრ დესტრუქციულ წინააღმეგობა-დაპირისპირებასაც ნურაფრით გამოვრიცხავთ!).

ძალზე შორსა ვართ იმისაგან, რომ წარმოდგენილი ჩვენი ინიციატივა (შეიძლება მას სხვა ფორმაც მოეძებნოს) მივიჩნიოთ უდავოდ მისაღებ „პანაცეად“; ერთობლივად ვეძიოთ უკეთესი, მაგრამ არსებული „სტატუსკვოს“ შენარჩუნება-გაგრძელება საბოლოოდ დამლუპველია ქვეყნისათვის.

დიახ, საქართველო არ შეიძლება ერთი წამითაც კი სხვის მოიმედედ თმობდეს ინიციატივას საკუთარი სახელმწიფოებრივი პრობლემების გადაწყვეტის გზაზე. ეს ხელისუფლების უპირველესი და უწმინდესი მოვალეობაა!

გავიმეორებთ უდავო ჭეშმარიტებას: დავითობას ყველას ვერ მოსთხოვ — „რაცა ღმართმან კაცსა მისცესო“, მაგრამ ერის სამსახურში ჩამდგარ თითოეულ კაცს ერისკაცობაზე პრეტენზიის მქონე ყველა მოკვდავს ამ გზაზე დიდი ქუჯის, თევდორე მღვდლის, დემეტრე თავდადებულის თუ ცოტნე დადიანის თვითშეწირვის უნარი და აუცილებელი ნიჭი კი უპირობოდ უნდა შესწევდეს!

დავდგეთ ერთად — გაბრწყინდება საქართველო და კავკასიაც!!!

. გივი ე. ჩხაიძე

ერთაშორისი საზოგადოებრივი მოძრაობის „კავკასიის ჰარმონია“ — დარბაზის საბჭოს თავმჯდომარე

18.10.06 წ.

P.S. „გაეროში“ კიდევ 1-2-ჯერ ასეთი რეგრესით კომპრომისული განხილვის შემდეგ (როგორც ამ დღეებში მოხდა) იქნებ ზეწოლითი დეფაქტო (ღმერთმა ნუ ქნას „დეიურეც“) ისეთი პრობლემაც შეექმნას საქართველოს, რომ ზემოთაღნიშნული ჩვენეული ან სხვა საკანონმდებლო ინიციატივის პრაქტიკულად ოფიციალური რეალიზების (დაკანონების) უფლებამოსილება საადავოც გაუხადონ.

P.P.S. ანალოგიური წერილი თავდაპირველად ჩაბარდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“, სადაც დაიბეჭდა 26.10.06 წ., მაგრამ რედაქციაში გარდა მასალის არსის მნიშვნელოვნად შეკვეცისა, პუბლიკაციას რატომღაც დაერთო ანტისახელმწიფოებრივი (დამახინჯებული) საქართველოს რუკა მისი (ჩვენის აზრით), დანაშაულებრივი ტირაჟირებით...

ასეთი აზრიც არსებობს, სამწუხაროდ

ყოფილი პარლამენტარი და ამჟამად ერთერთი ყველაზე ინტენსიური ტელეორატორი პოლიტიკურ თემებზე, ბ-ნი გ. სანიკიძე ჟურნალისტის კითხვას ნატოში საქართველოს შესვლის ამოცანასთან და პერსპექტივასთან დაკავშირებით პასუხობს: „აღამაჰმადხანობის პერიოდი არ დამთავრებულა, რადგან ირანმა რაკეტა გაუშვა... ნატო ჩეხეთისათვის არის კარგი, რადგან ეს ქვეყანა შუაგულ ევროპაში მდებარეობს. მაგრამ როდესაც ისლამურ გარემოცვაში ხარ მომწყვდეული, გარანტიები ხომ გჭირდება! ირანი თუ ვინმეს მისწვდება, ეს სწორედ ჩვენ ვიქნებით. თორემ ნიუ-იორკს ვერასოდეს მისწვდება. ირანი ჩვენ ამერიკის მოკავშირეობისათვის დაგვსჯის“.

ბ-ნი სანიკიძე, როგორც ჩანს, გულისხმობს, რომ ირანის დარტყმა საქართველოზე, ზოგადად — ირანის აგრესია საქართველოს მიმართ (ისევე, როგორც ნებისმიერი სხვისა) შეიძლება მხოლოდ „სასჯელი“ იყოს, ანუ სამართლიანი ნაცვალგება ჩადენილი დანაშაულისათვის. ქართულ-სპარსული ურთიერთობების ისტორია (ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ისტორია) ამას არ მეტყველებს: დარტყმა ხორციელდება მაშინ, როცა იგი პერსპექტიულია, და არა მაშინ, როცა იგი „სამართლიანია“, როგორც დანაშაულის გამო მსხვერპლის მიზღული სასჯელი. უარესია, რომ ბ-ნი სანიკიძე ვერ ხვდება შემდეგს:

1. რუსეთის გეოსტრატეგიული აზროვნება დღეს, ხვალ და განუსაზღვრელ მომავალში კატეგორიულად მოითხოვს, რომ დასავლეთს დაეკეტოს (სახელდობრ, კავკასიაში დაეკეტოს) შუა აზიისკენ მიმავალი გზა. ერთგულების თვალსაზრისით საიმედო მოკავშირე ამ გზის ღიაობის მსურველ დასავლეთს, ამასთან — ზღვაზე გამავალი ქვეყნის მაცხოვრებელი მოკავშირე დასავლეთს საქართველოს გარდა არავინ ჰყავს. აქედან — რუსეთის სტრატეგიული ამოცანა: ქართველი ერის, როგორც ამ ტერიტორიის ქმედუნარიანი მფლობელის „ორთქლება“ პლანეტიდან, რათა შესაძლებელი გახდეს საქართველოს, როგორც შუა აზიის გასაღებისა და ამ რეგიონში დასავლეთის შესაძლო პლაცდარმის, ქმედითი და სამუდამო კონტროლის აღება მისი ჩაკეტილობის თვალსაზრისით.

2. იმავე მიზეზით იგივე გეოსტრატეგიული მიზანი არ შეიძლება არ ჰქონდეს ირანს, რაც განაპირობებს ბუნებრივ მოკავშირეობას ირანსა და რუსეთს შორის.

3. ასევე (პერსპექტივაში) ამ

გაგრძელება მე-9 გვერდზე

საგოგონოების ტრიბუნა

„რაც კარგები ვართ — ქართველები ვართ“

(მოყვარეს პირში უძრახე...)

ყველა ერის წარმომადგენელს უყვარს თავისი ერი. ეს ბუნებრივია: ახარებს მისი წინსვლა და ღმერთს შესთხოვს, მომავალში კიდევ უფრო მეტ წარმატებებს მიაღწიოს მისმა ქვეყანამ. უსაზღვრო სიხარულს იწვევს მიღწევები ქვეყნის აღშენებლობაში, ეკონომიკაში, ხელოვნებაში, სპორტში. ასეა ქართველობაც. განუზომელ სიამოვნებას გვგრის მრავალი ფაქტი, რომ შენმა ერმა შვა მეცნიერების კორიფეები, კლასიკოსი მწერლები, გამოჩენილი მხატვრები, არქიტექტორები, მსახიობები, მხედართმთავრები. განა არ ქმნის სიხარულის საფუძველს, გნებავთ, ერთი ფაქტიც კი, რომ კემბრიჯის უნივერსიტეტში, მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერების პორტრეტებს შორის საპატიო ადგილი უკავია ქართველი აკადემიკოსის ივანე ბერიტაშვილის პორტრეტს! აკი პეტერბურგის სამედიცინო ინსტიტუტში მონათლეს კიდეც რუსად — მისი პორტრეტის ქვეშ წარწერაა „რუსი მეცნიერი ივანე ბერიტოვი“. უნებლიედ გახსენდება ვიქტორ ჰიუგოს ბრძნული გამონათქვამი — „არ არსებობენ პატარა ხალხები. ხალხის სიდიადე სრულიადაც არ იზომება მისი რაოდენობით, როგორც ადამიანის სიდიადე არ იზომება მისი სიმაღლით“.

დიახ, გვაქვს სათქმელი, გვაქვს საამაყო. „საქართველოში რომც არ ჩახვიდე, „ვეფხისტყაოსნით“ შეგიყვარდება მშვენიერი ქვეყანა“ — მოგვმართავს სრულიად უცხოტომელი, ინგლისელი პიროვნება ჯეიმს ოლდრიჯი. მოდი და ამის შემდეგ ნუ იტყვი, რაც კარგები ვართ — ქართველები ვართ?

მაგრამ ნუ ვიჩქარებთ, ნუ გაგვიტაცებს სასიხარულო ემოციები. ჩავუღრმავდეთ ჩვენს საკუთარ ქცევებს, ჩვენი ხალხის მოქმედებათა შიდა სამზარეულოს და დასკვნები ისე გავაკეთოთ. უკანასკნელი 15 წლის მანძილზე ჩვენმა „დიდად პატივცემულმა „მსოფლიო პოლიტიკოსმა“ ისე დაანგრია ეკონომიკა, მოშალა წინსვლის ყოველგვარი მექანიზმი და წყალი შეუყენა უძვირფასეს ქართულ ტრადიციებს, რომ ქვეყანა აქცია უბედურებითა და ჭირ-ვარამით სავსე „პანდორეს ყუთად“. მის მახინჯ მოქმედებათა შედეგები შეეხო ადამიანის ფსიქიკას, ზნეობას და თითქმის მოშალა ყველაფერი საუკეთესო.

ამასწინათ ერთი მეგობარი მეუბნება: „გერმანიაში ვარ, მივდივარ მანქანით, საჭეს უზის გერმანელი. მოულოდნელად მან გააჩერა მანქანა, გადმოვიდა, მივიდა ღობესთან, ფეხზე დაყენა წაქცეული ბოძი, გასწორა, გაამაგრა და დაბრუნდა“. ამ გერმანელმა შეაკეთა თურმე არა საკუთარი ღობე, არამედ სახელმწიფოსი, საზოგადოებრივი. შევეკითხოთ საკუთარ თავს, ჩვენ ვაკეთებთ ასეთ რამეს? მიდიხარ სოფელში და ხედავ, შარაგზის ნაპირებზე როგორაა ჩამომტვრეული ხეხილის ტოტები. ვინ ქნა ეს? უცხოპლანეტელებს მივაწეროთ ეს სიველურე?

გაივლი დედაქალაქის ცენტრში და თვალში გხვდება ნაგვის გროვები. ამასწინათ რუსთაველის გამზირზე, იმელის შენობასთან, მიდიან უცხო ქვეყნის ტურისტები და გაკვირვებულნი ირონიული ღიმილით შესცქერიან მიმოფანტულ ბოთლებს, სიგარეტის კოლოფებს, ნაყინის ჭიქებს და ათასნაირ ქაღალდების გროვას. მე შემრცხვა და თითქოს ყურშიც ჩამესმა, რასაც იტყოდნენ ისინი სამშობლოში დაბრუნებულნი. ქალაქის მერი გიგი უგულავა ამბობს: „შემოვიყვანეთ 50 ნაგვის გასატანი მანქანა. კიდევ ათჯერ მეტი რომ შემოვიყვანოთ, არაფერი ეშველება ქალაქის სისუფთავეს, თუ თითოეული ჩვენგანი არ მოინდომებს და არ ჩაებმება ამ კეთილშობილურ საქმეში“. დამეთანხმებით, რომ ეს სრული ჭეშმარიტებაა.

კახეთის გზატკეცილზე, ორხევის ხიდის ქვეშ გზათაშორისი გაწყობილია ფილებით. ვიღაც უზნეოს მოსწონებია ეს ფილები, მოუშლია და წაუღია. მიაქციეთ ყურადღება, მეგობრებო, გერმანელი აშენებს, აწყობს, ასწორებს, რითაც ამყარებს უდიდეს პატივისცემასა და პატრიოტიზმს საკუთარი ქვეყნისადმი, ქართველი კი (რა თქმა უნდა, ყველა არა) ანგრევს, აფუჭებს, იპარავს და მერე შეზარხოშებული გაიძახის „რაც კარგები ვართ — ქართველები ვართ“.

ყველა კეთილი ადამიანის გულს ახარებს ქვეყნისა და დედაქალაქის მერ რაიმე ახალი შენაძენი. სულ ათი დღეც არაა გასული, რაც ქალაქმა შეიძინა ახალი ავტობუსები, ადიხარ და ხედავ სავარძლები საზურგეგაჭრილი და გამობრდღვნილია. უყურებ არაკაცის ამ ნახელავს და ფიქრობ, ნუთუ ასეთი ავაზაკი და პარაზიტი დაიბადა, ის ორფეხა პირუტყვი, თუ ცხოვრების უკულმართმა პირობებმა გააბოროტა და აქცია უზნეო არსებად?

ფერადი ლითონების შესყიდვის ბუმმა გაძარცვა ქვეყანა. როგორც ჟან-ჟაკ რუსო ამბობს, „უნამუსოს ორი რამის იმედი აქვს — თავისი უსინდისობის და სხვისი პატიოსნების“. ასეთი იმედით გულგამაგრებული არამზადა ჩავიდა ჭაში, მოჭრა ტელეფონის სპილენძის გაყვანილობა და ჩაბარა მიმღებ პუნქტში. დაცვის მიზნით ხელისუფლებამ გადაწყვიტა მიწისქვეშა კომუნიკაციების ჭების სახურავებზე დაეწყო ბეტონის მძიმე ძელები (ვაი სირცხვილო). მავანთ სურთ ყველა ასეთი სიმახინჯე მიაწერონ. აწ უკვე გარდაცვლილ კომუნისტურ რეჟიმს, მაგრამ მაშინ რომ არ ხდებოდა ასეთი უმსგავსობანი!

გულს გირევს (ბოდიშს ვიხდი) და გწამლავს ზოგიერთი ახალგაზრდის მოურიდებლად ხმამაღალი წამოძახილი „ჩემი დედა...“ სად იყო ასეთი უხამსობა, საიდან მოგვეელინა? სიბინძურე სათავეს იღებს იმპორტული აღვირახსნილობიდან, შემოტანილი პორნოგრაფიული ფილმებიდან, ყალბი დემოკრატიიდან, რაც გამოიხატება ჰომოსექსუალთა აღიარებაში და მათი ქორწინების დაკანონებაში.

უკანასკნელი წლების ფესვგადგმული სიმახინჯეები, ბოროტებანი და ახალგაზრდობის მიზანმიმართულად გამრყვნელი „ღონისძიებანი“ მიეწერება ჩვენი პრეზიდენტყოფილის სრულ უპასუხისმგებლო „მოღვაწეობას“ და მის მიერ საკუთარი ხალხისადმი ღალატს. მის ავადსახსენებლად ისიც კმარა, რომ ხალხს წაართვა შავი დღისთვის შემონახული დანაზოგები, რითაც გაამდიდრა საკუთარი კლანი, აქცია მილიონერებად, თავს წამოასხა უბრალო რიგით ადამიანებს და ინტელიგენციას. მან და მისმა ბანდამ მიითვისა შემოსული გრანტები და დახმარებები, ორ მილიარდამდე აღებული საგარეო ვალები. აღარაფერს ვამბობ ქვეყნის დაკარგულ ტერიტორიებზე. მას რომ ყურმოკრულად მაინც სცოდნოდა აღმოსავლეთის დიდი კლასიკოსის საადი შირაზელის მოწოდება: „მუდამ იფიქრე ღარიბ ხალხის ცუდსა და ავზე, მაგრამ გახსოვდეს გვირგვინს ხალხი რომ გადგამს თავზე“; ან იგივე საადის მიერ შაჰის ენით ნათქვამი: „იქნებ ათასი სურვილი და ნატვრა მქონია, მაგრამ ხაზინა მარტო ჩემი როდი მგონია“, — შესაძლოა, მაშინ ალბათ, მცირედით მაინც მოეთოკა გამდიდრებისაკენ ლტოლვის უსაზღვრო სურვილები. რამდენად სამწუხაროა, რომ ასეთი მახინჯისა და საქართველოს ისტორიაში უსაზიზღრესი მოღალატის მშობელია ქართველი ერი. ამიტომ ეს გვამუხრუჭებს და გვბოჭავს; თამამად ვერ ვამბობთ „რაც კარგები ვართ — ქართველები ვართ“.

„მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვია, შვილნი სოფლისა, უნდა კიდევაც მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა“ (ნ. ბარათაშვილი). დიახ, ბატონებო. გვესმას მშობლისა. მოვრჩეთ წარსულის განსჯას: „ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი“ (ილია), თუმცა სიმახინჯეები მრავლადაა. რამდენს ნიშნავს, გნებავთ, მარტო სასამართლოს დამოუკიდებლობის უგულებელყოფა და იგნორირება. მაგრამ საჭიროა, თითოეული ჩვენგანი და მთლიანად საზოგადოება ვეცადოთ, ჩვენი ცხოვრების ყველა ატრიბუტიდან გადავფხიკოთ შავი ლაქა, მოვიცილოთ ჩვენს ქმედებებში არსებული ნეგატიური ძალა, რაც უკან გვწევს, და გარდავქმნათ შავი თეთრად. თუ შევძელით ეს, აი მაშინ კი, თავისუფლად და დამაჯერებლად „თავშეკავებით, რომ სხვას არ ეწყინოს“, შეგვეძლება შევძახოთ: „რაც კარგები ვართ — ქართველები ვართ“.

ზოთა სომხიშვილი
ომისა და შრომის ვეტერანი,
პერსონალური პენსიონერი

ხელისუფლებისადმი და ხელისუფლისადმი სიძულვილის გენეზისი

სიძულვილი მეტად არასასიამოვნო გრძნობაა და ალბათ გაუმართლებელიც. უფალი გვმოძღვრავს „გიყვარდეს მტერი შენი“. მაგრამ ობიექტურ რეალობაში სიძულვილი მათდამი და მისდამი, ვინც მას „იმსახურებს“, არსებობდა დასაბამიდან, არსებობს და იარსებებს, ვიდრე არსებობს კაცობრიობა.

ქვეყნის ხელისუფლება მრავალნაირია იმის მიხედვით, თუ როგორ საშინაო ან საგარეო პოლიტიკას აწარმოებს, რამდენად კმაყოფილია მოსახლეობა და როგორ ურთიერთობაშია მეზობელ სახელმწიფოებთან. როცა ვიყავით რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, ხელსუფლება და ხელისუფალი რამდენადაც არ უნდა კარგი ყოფილიყო, იგი მაინც შებოჭილი იყო, სრულად ვერ ახორციელებდა საკუთარი ქვეყნისა და ხალხის ინტერესების დაცვას. მიუხედავად ასეთი შეზღუდვისა, საქართველოს კომპარტიის ცკ-ს პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე ყოველდღიურობაში იყო ლოიალური, კომპრომისული პიროვნება. მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრისაგან მოსკოვის მისამართით წავიდა დასმენა — საქართველოში გავრცელდა ნეგატიური მოვლენებიო, ყვავის მექრთამეობა და კორუფციაო. ასეთი მანერებითა და ალღოიანობის უნარით დაჯილდოებული ედუარდ შევარდნაძე იოლად აცოცდა კარიერის კიბეზე და მიაღწია მის ზედა საფეხურს — გახდა საქართველოს კომპარტიის ცკ-ს პირველი მდივანი. აი, მაშინ კი ნამდვილად ჩაეყარა საფუძველი „ნეგატიურ მოვლენებს“. ღვინის ქარხნებმა იწყეს ღვინის ტოტალური ფალსიფიკაცია, „იკრიფებოდა“ ათი ათასობით ტონა ჩაის ფოთოლი, ამოძრავდა მიწერების მექანიზმი. მას მოჰყვა ბრეჟნევის ტუჩებში ლოშნა და მკერდზე ლენინის ორდენისა და ოქროს ვარსკვლავის მიბნევა.

შევარდნაძის ასეთი ოინბაზობა ან იცოდნენ, ან არ იცოდნენ, მაგრამ იცოდა ქართველმა ხალხმა, მას ვერ მოატყუებ. ამიტომ არ დააყოვნა, თავი იჩინა ხელისუფლებისადმი და ხელისუფალისადმი სიძულვილმა, თუმცა ჯერჯერობით შერბილებულმა და თავშეკავებულმა. ლაქლაქა და ყბედმა გორბაჩოვმა დადებითად შეაფასა შევარდნაძის „მოხერხებულობა“, რაც გამოიხატა მის საკავშირო საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნაში.

შევარდნაძისადმი ხალხის სიძულვილი ღვივდება, ვითარდება პროგრესულად და აღწევს აპოგეას მოსკოვიდან მისი დაბრუნების შემდეგ. მიზეზი? სამოქალაქო ომი, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვა; უდანაშაულო პირველი პრეზიდენტის, მერაბ კოსტავას, ზურაბ ჭავჭავაძის, გია ჭანტურიას, სოლიკო ხაბეიშვილის, ახალგაზრდა ნიჭიერი ჟურნალისტის — გიორგი სანაიას გაურკვეველ ვითარებში დაღუპვა. ამ ტრაგედიათა მიჩუმათება; შემოსული აუარებელი დახმარებებისა და გრანტების, ხალხის დანაზოგებისა და საგარეო ვალების მითვისება, საკუთარი კლანის გამდიდრება და დამშეული ხალხის სასიკვდილოდ გაწირვა; უსასრულო და ცინიკური დაპირებები — „ორ-სამ წელიწადში აყვავებულ საქართველოში ვიცხოვრებთ“, მაშინ, როცა ქვეყანა უფსკრულისკენ მიექანებოდა; 14 ლარიანი პენსიების წლობით გაუცემლობა, უმუშევრობა. აი, დანაშაულთა ის მცირე ნუსხა, რამაც გამოიწვია ხალხის უსაზღვრო სიძულვილი შევარდნაძისა და მისი დამქაშების მისამართით. აი, კრიტერიუმები, რის მიხედვითაც შეაფასა ხალხმა მისი „მოღვაწეობა“ და ისტორიაში მიუჩინა ადგილი „ედუარდ დამანგრეველის“ სტატუსით. შევარდნაძისადმი უსაზღვრო სიძულვილი აისახა პოეზიაშიც: „ალბათ ეს არის დღევანდელობის საყვედურიც და სათქმელ-სარჩელიც, არ მოვლენია მიწას ქართლისას შევარდნაძეზე დიდი სასჯელი“ (ნოდარ ჯალაღონია); ან „ანტიქართულ ქმედებებით თანაუგრძნობ ჩვენსა მტერსა, ქართველს ართმევ, უცხოს აძლევ, ვაი ასეთ პრეზიდენტსა“ (გივი თოფურია).

* * *

ე.წ. „ვარდების რევოლუციამ“, საძულველი შევარდნაძის ბანკროტი რეჟიმის დამხობას და ქვეყნის სათავეში ახალგაზრდა, განათლებული, ნიჭიერი პიროვნების მოსვლამ უსაზღვროდ დიდი სიხარული გამოიწვია ქართველ ხალხში. თუმცა მაშინვე გამოჩდნენ უკმაყოფილო ადამიანები, რომლებიც გაიძახოდნენ, ეგ გიჟია, ვერაფერს ვერ გააკეთებსო. ამის გამო მე პირადად ვღიზიანდებოდი და არაერთხელ მომიხდა მათთან დაპირისპირება; მაგრამ, ჩემდა დიდად სამწუხაროდ და სავალალოდ, შევმცდარვარ.

თუმცა დედაქალაქის ქუჩებში დაგო ასფალტი, მოწყო შადრევნები, შეიღება შენობათა ფასადები, მინიმალური პენსია გაორმაგდა, ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც უკმაყოფილოა. უკმაყოფილება გამოწვეულია ხელისუფლებისა და პირადად პრეზიდენტის მიერ დაშვებული მრავალი შეცდომის და დანაშაულის გამო. ქვეყანაში გახშირდა მკვლელობები. ბევრჯერ ხალხმრავალ ადგილზე პოლიციელები ცეცხლსასროლი იარაღით კლავენ ეჭვმიტანილს, რომლის დამნაშავეობა ჯერ კიდევ დადგენილი არ არის. მიუხედავად საზოგადოების მკაცრი მოთხოვნისა, ობიექტურად ყოფილიყო გამოძიებული სანდრო გირგვლიანის მკვლელობა, რაშიც ბრალი მიუძღვის ჩინოსანთა ახლობლებს, ხელისუფლებამ გააკეთა ის, რაც თვითონ სურდა. ამასთან, არაფრად ჩააგდო ხალხის არგუმენტირებული მოთხოვნა ვანო მერაბიშვილის გადადგომის შესახებ.

ხელისუფალს და ხელისუფალთ არაფრად მიაჩნიათ ხალხის მოთხოვნა მერებისა და გამგებლების პირდაპირი წესით არჩევის შესახებ. არ უნდათ ცვლილებები შეიტანონ საარჩევნო კოდექსში. პრეზიდენტს

გაგრძელება მე-9 გვერდზე

ქართული ბედისწერა

ბატონ ალ. კაკულიას წერილი ამავე სათაურით გამოქვეყნებულია ჩვენი გაზეთის 28 ოქტომბრის ნომერში რედაქციის კომენტარით. წინამდებარე წერილი, გარკვეულწილად, ამ კომენტარის პასუხია. რედ.

ნებისმიერი ადამიანისა თუ ადამიანთა ჯგუფის წარმატებისათვის უპირველეს ყოვლისა აუცილებელია მათი მოქმედებები კონკრეტული მიზნებისაგან გამომდინარეობდნენ და არ წარმოადგენდნენ გარემო პირობებზე უბრალო რეაქციას. ამასთან, ყოველგვარი მიზანი იმდენად რეალურია, რამდენადაც ობიექტური საფუძვლები აქვს. ასეთი საფუძველი ეროვნული მიზნებისათვის არის ერის სასიცოცხლო სივრცე, ანუ ტერიტორია თავისი მდებარეობითა და სიმდიდრით. ეს განსაზღვრავს აქ მცხოვრებ ხალხთა განვითარების მიმართულებებს, რის საფუძველზეც შეიძლება აიგოს მათი მიზნები. ხოლო ის, თუ რამდენად შეძლებენ ისინი ამ მიზნის განხორციელებას და, საერთოდ, რას მიაღწევენ, უკვე მათზეა დამოკიდებული. მაგალითად, ბრიტანეთი კუნძულოვანი ქვეყანაა ატლანტის ოკეანეში, რაც მის საზღვაო სახელმწიფოდ განვითარებას განსაზღვრავს, ხოლო ის, რომ ინგლისელები ოკეანეებსა და ზღვებზე გაბატონდნენ და მსოფლიოს მეოთხედი თავის კოლონიად აქციეს, უკვე მათი განვითარების შედეგია.

რაც შეეხება საქართველოს, თავისი მდებარეობით იგი კავკასიის ცენტრია, კავკასია ევრაზიის საკვანძო რეგიონია, ხოლო ევრაზია პლანეტის მთავარ კონტინენტს წარმოადგენს. ამდენად, თავისი ბუნებრივი დანიშნულებით საქართველოს ტერიტორია პლაცდარმია საერთაშორისო პროცესების სამართავად, რაც ქართული სახელმწიფოს როგორც რეგიონალური, ისე მსოფლიო მასშტაბით წამყვან ძალად განვითარების მიმართულებას განსაზღვრავს. ის, თუ თავად ქართველობა რას შეძლებს, უკვე მასზეა დამოკიდებული.

მეორე მხრივ, ყველა გარეშე ძალა, რომელიც ევრაზიასა და კავკასიაში გაბატონებას ცდილობს, თავად ქართველების მისდამი დამოკიდებულების მიუხედავად საქართველოს მაქსიმალური დასუსტებითაა დაინტერესებული, რადგანაც ერთიანი და ძლიერი საქართველოს პირობებში რეგიონში მისი ბატონობა შეუძლებელი გახდება. ამდენად, ქართველობა მცირე ერია შეზღუდული რესურსებით, რომელსაც აკისრია უდიდესი საერთაშორისო დანიშნულება, გავლენიან ძალებს შორის კი მოკავშირე არ ჰყავს.

ასეთია ქართული ბედისწერა — საქართველოს ისტორიული განვითარების მთავარი მიზეზ-შედეგობრივი კანონზომიერება. რაც მთავარია, რაოდენობრივი სიმცირე ერის ფსიქოლოგიას თრგუნავს — საკუთარ წიაღში იგი განვითარების პერსპექტივას ვერ ხედავს. შედეგად ქართველების უდიდესი ნაწილი მნიშვნელოვანი მიზნების განხორციელების ნაცვლად ვიწრო ეგოისტური და კონფორმისტული მისწრაფებებით არსებობს და ამისათვის, შეძლებისდაგვარად, ძალაუფლებისაკენ მიილტვის, ხოლო ყველა ისეთ ადამიანში, ვინც სერიოზულ საქმეს აკეთებს, კონკურენტს ხედავს და მტრობას. ეს მათ კონსოლიდაციას აფერხებს და ქართველების არაორგანიზებულობას უწყობს ხელს. მათი პატრიოტიზმი ძირითადად პათეტიკაზე დგას, ისიც — უკეთეს შემთხვევაში, უარეს შემთხვევაში კი სახეზეა საკუთარი ღირებულებებისა და ინტერესების მიმართ ნიჰილისტური დამოკიდებულება. გასათვალისწინებელია, რომ ქართველები, როგორც წესი, რელიგიით, იდეოლოგიებით, მორალითა და სიმართლით აპელირებენ, თუმცა მათი ე.წ. „ტოლერანტობის", „ერთმორწმუნეობის", „ინტერნაციონალიზმისა" თუ „საერთოლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების" უკან უძლურება დგას მხოლოდ.

გარეშე ძალებთან მიმართებაში კი ისინი აღტყინებულნი არიან მათი რაოდენობრივი უპირატესობით, მათში ხედავენ განვითარების პერსპექტივას და მათ რიგებში დიდ საქმეებზეც დიდი ენთუზიაზმით მიდიან, ისე რომ არც ორგანიზებულობა უჭირთ და არც დისციპლინის დაცვა. ამასთან, მათი ღირებულებებისა თუ ინტერესების საფარაჯოზე ისინი არც ძალადობას ერიდებიან, ისე რომ მათი ნაქები „ტოლერანტობა" შინაგანი უძლურების გასამართლებლად სჭირდებათ.

მაგრამ საქართველოსათვის უცხო ძალებისადმი ლტოლვა არამარტო უპერსპექტივო, არამედ დამღუპველია. ამით, ჯერ ერთი, იგი ყველა თავის მეზობელს იპირისპირებს. მეორე: სხვისი მოიმედე თავად ვერარ ახერხებს მობილიზებას და მესამე: უცხოელი „კეთილისმყოფელი" პირველ რიგში საქართველოს გაწირავს, რათა რეგიონის ბუნებრივი ჰეგემონი თავიდან მოიცილოს, და მის მეზობლებს მერე მისდგება.

ყოველივე ეს ისტორიული კატასტროფებით მთავრდება და ქართველი ერის რესურსებს კიდევ უფრო ამცირებს. შედეგად ქართული ბედისწერის ჩაკეტილი წრე იკვრება, რასაც დაცემის ჩაკეტილი წრე შეიძლება ეწოდოს და რაც ქართული ბედისწერის უმდაბლესი გამოვლინებაა.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ქართველი ერის ისტორიული მიზანია დაცემის ჩაკეტილი წრის გარღვევა, რაც გულისხმობს ფიზიკური და მატერიალური რესურსების სიმცირის მისი დიდი ინტელექტუალური პოტენციალით კომპენსაციას. ეს კი თავის მხრივ ნიშნავს, რომ ქართველთა ინტელექტუალურ პოტენციალზე დაყრდნობით უნდა შეიქმნას უახლესი ტექნოლოგიები, პირველ რიგში ენერგეტიკული, რომლებიც შეცვლიან ნავთობსა და გაზზე დაფუძნებულ საერთაშორისო ეკონომიკურ და პოლიტიკურ სისტემას და ქართველობას დიდ მატერიალურ რესურსებსა და ძალას ჩაუგდებენ ხელში.

მსგავსი ტექნოლოგიების დანერგვა დიდი საზოგადოებრივი მზარდაჭერის გარეშე ვერ მოხდება. ამიტომ ეს საქმე უნდა დაიწყოს არა ბიზნესის, არამედ ეროვნული მოძრაობის საფუძველზე. შედეგად მის ხელში უზარმაზარი მოგება მოიყრის თავს, რაც მას დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოებისა და ერის კონსოლიდაციის საშუალებას მისცემს. ასე შეიქმნება არსებული ხელისუფლების რეალური ალტერნატივა, რომელიც მას შეცვლის.

ქართველი ერის საბოლოო მიზანი არის მესამე ათასწლეულის ზესახელმწიფოს შექმნა, რომელიც წარმოადგენს ქართული ბედისწერის უმაღლეს გამოვლინებას. იგი უპირატესად ინტელექტსა და მის მიერ შექმნილ უახლეს ტექნოლოგიებს დაეფუძნება, რომლებიც მის მატერიალურ და სამხედრო ძალმოსილებას უზრუნველყოფენ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ნებისმიერი სახელმწიფოებრივი ფორმაცია ინტელექტუალური და ტექნოლოგიური პროგრესის შედეგია, მმართველობა, სადაც უმთავრესი ეს საწყისი იქნება, უზენაეს ფორმაციად შეიძლება ჩაითვალოს. აქ მიეცემა ყველა ადამიანს ღირსეული არსებობისა და სრული თვითრეალიზაციის შესაძლებლობა და სწორედ ასეთი სრულყოფილი სისტემის შექმნა არის ქართული ბედისწერის საბოლოო მიზანი, და არა სხვა ხალხზე ბატონობა.

დასასრულს, აღსანიშნავია, რომ ახალი ენერგეტიკული ტექნოლოგიების შექმნითა და გავრცელებით მესამე ათწლეულის ზესახელმწიფო მსოფლიოს ტექნოლოგიურ რევოლუციასა და საერთო განვითარებას მოუტანს, და არა სხვა ხალხებზე ძალადობას. ამით განსხვავდება იგი როგორც რუსეთისგან, რომელიც სხვა ერებთან მიმართებაში უპირატესობას სამხედრო ძალადობას ანიჭებს, ისე დასავლეთისაგან, ვისთვისაც პრიორიტეტულია, ეკონომიკური ბატონობა. ქართველთა ჰეგემონობას რაც შეეხება, ეს უკვე საერთო განვითარების ბუნებრივი შედეგი იქნება, რადგან ის, ვინც პროგრესს ხელმძღვანელობს, მისგან მიღებულ დივიდენდებს უპირველეს ყოვლისა თავად იღებს.

ალექსანდრე კაკულია

ხელისუფლებისადმი და ხელისუფლისადმი სიძულვილის გენეზისი

მე-8 გვერდიდან

ოპოზიცია მიაჩნია ქვეყნის მტრად და ხელის შემშლელად მაშინ, როცა თვითონ უნდა იყოს დაინტერესებული ძლიერი ოპოზიციის არსებობით.

სრულიად არასწორი, გაუმართლებელი და დანაშაულებრივი პრაქტიკაა ზოგიერთი თანამდებობის პირისთვის ძლიერ გადიდებული ხელფასების, ხოლო პენსიონრებისათვის მიზერული პენსიების დანიშვნა. ზოგიერთის ხელფასი 300-ჯერ აღემატება პროფესორების ხელფასს, ხოლო მინიმალურ პენსიას (33 ლარს) — 450-ჯერ. ეს ფაქტი ყვირის, ღაღადებს, თვალნათლივ ადასტურებს, რომ ვცხოვრობთ (უფრო სწორად, ვარსებობთ) ქვეყანაში, სადაც ბატონობს გაუგონარი და უმაგალითო უსამართლობა. უკეთილშობილეს ადამიანსაც კი აღეძვრება სიძულვილის გრძნობა ასეთი უტიფარი ხელისუფლების მიმართ. პარმალენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი მოურიდებლად აცხადებს: „პარლამენტარებს ხელფასები მოგვემატა, სულ 200 კაცი ვართ, პენსიონერი 900 ათასია, მათ როგორ მოვუმატებთო". ასეთი მართლაც უტიფარი განცხადების შემდეგ რა სიკეთეს შეიძლება ელოდე ან პარლამენტისაგან, ან აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან ან, გნებავთ, პრეზიდენტისაგან?!

თავისი ხარისხით ყველა დანაშაულს აღემატება ქვეყანაში უსამართლო სასამართლოს არსებობა. ერთი და იგივე სტატუსის მქონე მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს სრულიად დაუსაბუთებლად განსხვავებული პენსიები აქვთ — ზოგს 129 ლარი, ზოგს კი — 70 ლარი. პირველმა ნაწილმა ადრე მიმართა სასამართლოს და დაენიშნათ მაღალი პენსია 2004 წლიდან, ვეტერანების მეორე ნაწილმა კი „დაგვიანა" და სასამართლომ აღარ მიიღო სარჩელი — ხელისუფლებამ აგვიკრძალაო.

პრაქტიკულად დადასტურებულია, რომ ყველა ხელისუფლებას ან ხელისუფალს არ შეუძლია თავისი მოქმედებით ადეკვატურად უპასუხოს ხალხის მოთხოვნებს, შექმნას ცხოვრების საუკეთესო პირობები. მაგრამ არც იმდენად უუნარო, უარეს შემთხვევაში კი დიქტატორი და ტირანი უნდა იყოს, რომ მოსახლეობა დაამშიოს, დააკანონოს განუკითხაობა და უსამართლობა, ლუკმა-პურის საძებნელად მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი გაფანტოს უცხო ქვეყნებში, ერს შეუქმნას არარსებობის საშიშროება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუარესების გამო. აკი გაეროს მოსახლეობის ფონდმა საქართველო დემოგრაფიულად მომაკვდავი ქვეყნების სიაში შეიყვანა კიდეც.

უამრავი დანაშაულის გამო უმძიმესი ცოდვა ადევს შევარდნაძეს. ადამიანი ვერ შეძლებს მიუსაჯოს მას ადეკვატური სასჯელი, ღმერთის წინაშე აგებს იგი პასუხს. „შვილობილმა" მას ყველაფერი აპატია და მისცა ხელშეუხებლობის გარანტია. თუმცა „ვინც ძერას დაშავებული ფრთა მოურჩინა, ის პასუხს აგებს მისი კლანჭების მოქმედებაზე" (ვ. ჰიუგო). იგივე აზრისაა რ. როლანი: „ჯალათის შებრალება დაუნდობლობაა მისი მსხვერპლის მიმართ". „მამობილსაც" და „შვილობილსაც" თითქმის თანაბრად მოუწევთ პასუხისგება.

შ.ს.

ასეთი აზრიც არსებობს, სამწუხაროდ

მე-7 გვერდიდან

ორთა კავშირის მესამე წევრია თურქეთი, რომელშიც ფუნდამენტალისტები (კერძოდ, რელიგიური) პოლიტიკური მოტივაციების გაძლიერება ბოლო ათწლეულებში, ქვეყნის „დასავლეთიზაციისათვის" იდეალური პირობებისა და ხელშეწყობის არსებობის ფონზეც კი, შემთხვევითობა არ არის (თურქეთი, საქართველოსგან განსხვავებით, ტიპოლოგიურად აღმოსავლური ქვეყანაა და „ანტიდასავლობას", როგორც მენტალიტეტის მიმართულებასა და სულისკვეთებას იქ მეტი პერსპექტივა აქვს, ვიდრე „მედასავლეთეობას", რომელიც ქრისტიანულ რუსეთშიც კი ყალბი აღმოჩნდა). ყოფილმა პარლამენტარმა, როგორც ჩანს, არც ის უწყის, რომ თურქეთსა და ირანს უკვე ჰყავთ ერთობლივი უშიშროების საბჭო, რომელიც კვირაში ერთხელ იკრიბება.

4. არა თუ მოსალოდნელი, არამედ გარდუვალია, რომ სამთა ხსენებული კავშირი, რომელიც (გაუფორმებლად თუ სათანადო გაფორმებით) ჩინეთის მეთაურობით ქმნადობაში მყოფი ანტიდასავლური ალიანსის ნაწილია პოტენციაში, თავის გეოსტრატეგიულ პროგრამამაქსიმუმში იმის მაგულისხმებელი იქნება, რომ დასავლეთ-შუა აზიის ერთადერთი პერსპექტიული გზის, კავკასიის საიმედო გადაკეტვის შემთხვევაში დასავლეთი, ამ კონკრეტული რეგიონის სიტუაციისადმი უმედობით მოცული, ხელს აიღებს მესამე მსოფლიო ომის ამ ერთერთი ძირითადი ფრონტის გადატანის განზრახვაზე კასპიის ზღვის ხაზიდან (ან, მისთვის უარეს შემთხვევაში, საქართველო აზერბაჯანის საზღვრიდან) შუა აზია-ჩინეთის საზღვრისკენ, რასაც ის მოჰყვება, რომ დასავლეთი, აქტიური პოლიტიკის ნაცვლად, დაადგება მესამე მსოფლიო ომში ამ ფრონტზე მონინააღმდეგის მხრიდან დარტყმის პასიური ლოდინის პოლიტიკას და მის წინაშე ღრმად ეშელონირებული თავდაცვის ხაზის მშენებლობას დასჯერდება. ამ შემთხვევაში (რომელსაც ალტერნატივა არა აქვს, თუ ამიერკავკასიის ხიდი რუსული ძალით გადაიკეტა) საქართველო, ყოველივე დაცვის გარეშე, ხელთ რჩება ხსენებულ ოთხთა კავშირს (ისლამური სამყაროს დიდი ნაწილის მიმატებით) და ამ ისტორიული ხაფანგიდან გამოსვლას ვერასოდეს ვეღარ ეღირსება. ეს იზოლაცია უფრო მძიმეა, ვიდრე ისტორიულად ცნობილი იზოლაცია, როცა საქართველო იდგა ორი (ურთიერთმტერი) ისლამური ვეშაპის — თურქეთისა და ირანის — პირისპირ და მათ შორის ლავირებასთან ერთად მათი მოპირისპირე ძალისკენ — რუსეთისკენ იყურებოდა. ახლა მისი აგრესიული მეზობლები — ირანი, თურქეთი და რუსეთი — ერთნი იქნებიან. ამ ვითარებაში საქართველოს „გასახედად" — ანუ შესაძლო (და არა გარანტირებულ) დამცველად) — ერთადერთი ისტორიული სუბიექტი — დასავლეთი რჩება. ნატოში

გაგრძელება მე-16 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს

საქართველოს პარლამენტარებს

საქართველოს საზოგადოებრიობას

გადავარჩინოთ ბავშვები

საქართველოს ხელისულფების არასწორი სოციალური, პოლიტიკური და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მცდარი, არაგონივრული კურსის გატარებით გამოწვეულმა საყოველთაო უმუშევრობამ, როგორც ქალაქად ასევე სოფლად, ბოლო მონაცემებით 700 ათ. ოჯახი სიღატაკის ზღვარს მიღმა გადაისროლა და მასთან ერთად სრულიად დაუცველი დატოვა ერის გენოფონდი – მომავალი თაობის უდიდესი ნაწილი, რისი შედეგიცაა ქუჩებში ათასობით უპატრონო, ხელისუფალთა მიერ „მაწანწალებად“ მონათლული, სამათხოვროდ ხელგაწვდილი ბავშვები, რომლებიც შავმა სამყარომ თავის წიაღში მიიღო, გამოუყო სამოქმედო არეალი, კონტროლი დაუწესა და „აღმზრდელადაც“ თვითონ მოევლინა ხელისფილების მიერ ზედმეტი ტვირთივით ქუჩაში მოსროლილ მოზარდებს, რომელთა ქურდბაცაცებად, ნარკომანებად თუ მეძავებად ჩამოყალიბებაში ნებით თუ უნებლიედ განათლების სამინისტროსთან ერთად ხელისუფლებასაც მიუძღვის ბრალი. ეს მათ ჩაიდინეს.

– ერთის მხრივ, ქვეყანაში არსებული პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და მასთან ერთად საჯარო სკოლებში არსებული ქართული ტრადიციული ხელობების და საოჯახო ბიზნესის განვითარებისათვის უძველესი ტრადიციული ტექნოლოგიების შესწავლისათვის საჭირო მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაჩანაგებისა და შენობა-ნაგებობების მნიშვნელოვანი ნაწილების გაყიდვით (რამაც მოზარდების უფუნქციოდ დატოვება გამოიწვია).

– მეორეს მხრივ, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჯართისა და ფერადი მეტალის მიმღები პუნქტების გახსნით, რაც მოპარვისათვის დიდი მაცთუნებელი ძალაა არამც თუ დამშეული, ქუჩაში უსაქმურად მოხეტიალე მოზარდებისათვის, არამედ უმუშევრად დარჩენილი შრომისუნარიანი მრავალსულიანი ოჯახებისთვისაც კი და აი ასეთი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონის პირობებში ხელისუფლება, ნაცვლად აღნიშნული ვითარებიდან უღარიბესი მოსახლეობის მოზარდების – ერის სოციალურიად დაუცველი მომავალი თაობის ქუჩაში აღმოჩენისა და ადრეულ ასაკში გზის გამრუდების მიზეზების ძიებისა და მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების, მათი უფასო განათლებისა და ეროვნული, ტრადიციული დარგების პროფესიული დაოსტატებისა, მშობლიურ გარემოში ჯანსაღი შრომისა და საქმიან დამკვიდრებაში გონივრული ხელშეწყობისა და კომპლექსური ღონისძიებათა ეფექტური და სწრაფი შემუშავებისა და განხორციელებისა – ამზადებს და პარლამენტში განსახილველად შეაქვს კონონპროექტი „არასრულწლოვანთა დამნაშავეობის სასჯელის 12 წლის ასაკამდე დაწევის შესახებ“, ანუ კანონპროექტი მოზარდთა მიერ ჩადენილი ბოლომდე გაუაზრებელი გადაცდომების დასჯადობაზე.

რაც დღევანდელ ვითარებაში ხელისუფლების და ამ კანონპროექტის მომზადების ინიციატორების მხრიდან უზნეობაა, ემსახურება მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოების და პოლიციის ინტერესებს და ასახავს ჩვენ სვლას არა ევროპისაკენ, სადაც პროგრესულ ქვეყნებში დღეს მოითხოვენ მოზარდის პასუხისმგებლობის ასაკის გაზრდას 15 წლამდე, არამედ ჩამორჩენილი ქვეყნებისაკენ (მაგ. თურქეთი, სადაც მოზარდის პასუხისმგებლობის ასაკი მართალც არის 12 წელი).

რადგან საქართველო ევროპული ორიენტაციის სახელმწიფოდ მიგვაჩნია, აუცილებელია ხელისუფლებამ კეთილი ინებოს და ჯერ სანამ ბავშვებს მოჰკითხავს მათ გაუაზრებელ დანაშაულზე, მანამდე თავის თავს ჰკითხოს: რა გააკეთა ამ 10-15 წლის მანძილზე მომავალი თაობისათვის, რომ ქვეყნად ღვთის ნებით ანგელოზად მოვლენილი არსება მკვლელად, ქურდად და ნარკომანად არ ექციათ?!...

სანამ ჩვენი პოლიტიკოსები, პარლამენტარები ბავშვების ვალდებულებებზე დაიწყებენ საუბარს, მანამდე სახელმწიფოს მიერ მათ წინაშე დაკისრებული ვალდებულებები გაიხსენონ... ბავშვთა უფლებების კონვენციაში მოცემული ბავშვთა უფლებების დაცვა უზრუნველყონ და მერე იმსჯელონ მათი ხელისუფლების სათავეში ყოფნის პერიოდში განზრახ თუ უვიცობით უმუშევარად დარჩენილი ოჯახების დამშეული მოზარდების ქმედებების დასჯადობაზე.

პირველ რიგში ხელისუფლებამ ჯერ ეკონომიკური პირობები გაუმჯობესოს, აამაღლოს, გააძლიეროს, ბავშვებს ღირსეული აღზრდის, განათლების, პროფესიული დაოსტატების, შრომის და ცხოვრების ჯანსაღი გარემო შეუქმნას, მაქსიმალურად გამორიცხოს დარღვევების ხელშემწყობი პირობები, უზრუნველყოს სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა და შემდეგ დაიწყოს მოზარდთა პასუხისმგებლობის ასაკის დაწევაზე ფიქრი, მით უმეტეს, რომ საქართველო ბავშვთა უფლებების დაცვის საერთაშორისო კონვენციასთან ჯერ კიდევ 1994 წლიდან არის მიერთებული. ამასთან გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დღეს ქვეყანაში არსებული სასამართლოების და პენიტენციალური სამსახურის მდგომარება, რომელიც არამც თუ არ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ხარისხით, არამედ სრულად ემორჩილება პროკურატურას, ხელისუფლებას. ამიტომ დიდია ალბათობა იმისა, რომ სასამართლომ სამართლიანი განაჩენი კი არ გამოიტანოს, არამედ იმოქმედოს პროკურატურის დაკვეთით და სასარგებლოდ, რაც ბავშვთა უფლებების (და ფსიქიკის) დარღვევას უდაოდ განაპირობებს...

იმავდროულად დიდია შანსი იმისა, რომ 12-13 წლის მშიერი მოზარდი, რომელსაც უნებურად ხელი წაუცდება პურის ან ძეხვის ქურდობაზე, ჩვენი სასჯელაღსრულების საპატიმროებიდან პოტენციურ ჩამოყალიბებულ დანაშავედ მოგველინოს და საზოგადოებისათვის სრულად დაკარგული აღმოჩნდეს, რადგან დღეისათვის არ გვაქვს არც ერთი ღია თუ დახურული ტიპის სპეციალური აღმზრდელობითი დაწესებულება, სადაც არასრულწლოვან დამნაშავეებს ექნებათ ევროპული დონის სოციალური პირობები, ასევე ძლიერი სოციალური სამსახური. პირიქით, დღეს მოქმედი საპატიმროები გადატვირთულია დაკავებული და მსჯავრდებული პატიმრებით, იქ შექმნილია მძიმე სოციალური პირობები, პატიმრებს სძინავთ მიწაზეც კი. რაც შეეხება ავჭალის ბავშვთა კოლონიას, იქ ერთ ოთახში მოთავსებულია 142 ბავშვი (რადიო „იმედი“ ინფ. 01. 12. 2006წ). ამიტომ ამ კანონის ამოქმედება სხვა თუ არაფერი კიდევ ერთი კორუფციული ხვრელი იქნება მავანთა ხელში. რადგან 12-13 წლის ბავშვის მშობელი სახლსაც კი გაყიდის შვილის ასეთი საპატიმროდან დასახსნელად. მეორეც, რა გარანტიაა რომ 12-13 წლის ბავშვთა გონებრივი განვითარების ადვილად მართვადი ასაკი არ იქნეს გამოყენებული მავანთა მიერ მშობლების წინააღმდეგ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო თავს ვალდებულად ვთვლით ხელისუფლებასაც და საზოგადოებასაც მოგმართოთ განცხადებით:

– ქვეყანა, სადაც ქვეყნის უზენაესი კანონი – კონსტიტუცია ირღვევა ყოველ დღიურად...

– ქვეყანა, სადაც არც ერთ ეტაპზე კანონი არ კანონობს, არ გვაქვს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო...

– ქვეყანა, სადაც აფხაზეთსა და სამაჩაბლოში პროვოცირებული ომების გამჩაღებლები და გულანთებულ პატრიოტი ვაჟკაცების ამოხოცვის ინიციატორები დაუსჯელები არიან,

– ქვეყანა, სადაც გირგვლიანის, რობაქიძის, და მრავალი უდანაშაულო ახალგაზრდის წამებით მკვლელობის დამკვეთებიც და შემსრულებლებიც ქვეყნის მართლმსაჯულების და მთავრობის სათავეებში სხედან,

– – – –

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯუჯუგი

რედაქციისაგან. როგორც მკითხველს ახსოვს, წინამდებარე რუბრიკა ჩვენი გაზეთისა ემსახურება იმ „შემოსაცურებელი“ ფსევდოინფორმაციის, იდეებისა და შეხედულებების ამოცნობას, რომელსაც დღეს აგრესიული რუსეთი იყენებს ქართველი საზოგადოებრიობის გონების მანიპულირებისათვის და მასში თავისთვის სასარგებლო (და, მაშასადამე, საქართველოს სახელმწიფოსათვის საზიანო) განწყობილებებისა და შთაბეჭდილებების დანერგვასათვის. ისინი, ვინც რუსეთის ამგვარ შეკვეთებს ასრულებენ და პრესაში სათანადო იდეებს ახმოვანებენ, ამით, ცხადია, საკუთარი თავის ე.წ. „ლუსტრაციას“ ეწევიან, როგორც რუსეთის, რბილად რომ ვთქვათ, „ლობისტებისას“; ხოლო დაურიდებლად რომ ვთქვათ აგენტებისას. მაგრამ ჩვენი მიზანი მათი მხილება არ არის. ეს ჩვენი პუბლიკაციების მხოლოდ, ასე ვთქვათ, თანმხლები პროდუქტი გახლავთ. ჩვენ მხოლოდ რუსეთის იდეოლოგიური დივერსიის მიმდინარე ტაქტიკისა და სტრატეგიის ამოცნობა და დაზუსტება გვსურს. ამჯერად, გამონაკლისის სახით, ვეხებით არა ცალკეულ პუბლიკაციებს გაზეთებში, არამედ ზოგად იდეას, რომელიც გაზეთების გარდა სხვაგანაც ძალიან აქტიურად ჩანს, მაგალითად, სხვადასხვა პოლიტიკურ და ნახევრადპოლიტიკურ ორგანიზაციათა საპროგრამო პუბლიკაციებში. ეს ის იდეა გახლავთ, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკა ნეიტრალიტეტის გამოცხადებაში („არც რუსეთი, არც ამერიკა. რეალურად – საქართველოს ნატოში არშესვლა) უნდა მდგომარეობდეს. ქვემოთ მკითხველს ვაჩვენებთ, რომ ეს კეთილნებოვანი, მაგრამ სრულებით გულუბრყვილო იდეა (სამწუხაროდ), პრაქტიკულად, მხოლოდ საქართველოს რუსეთისაგან თავდაცვის იურიდიული, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური მექანიზმების პარალიზაციას ემსახურება. მაგრამ მანამდე, სანამ მკითხველს ამ არგუმენტაციას წარვუდგენთ (აქვე, ქვემოთ, გვინდა ვუჩვენოთ მას, რომ ამ აზრის შემოცურება საქართველოში, ანუ ნატოში საქართველოს გაწევრიანებისათვის ხელის შეშლა რუსეთის მხრიდან თავდაცვის ღონისძიება კი არ არის, არამედ თავდასხმის გაადვილებისაა. სახელდობრ, რუსეთს იმისა კი არ ეშინია, რომ საქართველოში ნატოს შეიარაღებული ძალების კონცენტრაცია მოხდება, რათა რუსეთზე შეტევა განახორციელონ (კავკასიონის გადავლით სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ შეტევა ისტორიაში ჯერ არ მომხდარა ვახტანგ გორგასლის ერთი მოკლე ლაშქრობის გარდა), არამედ ჰსურს, საქართველოს წინააღმდეგ შეტევისათვის ისეთი პირობები შექმნას, როცა მასზე დღესდღეობით ბევრად უფრო ძლიერ დასავლეთს მისი ამ სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი აგრესიული ნაბიჯის ჩაშლისათვის იურიდიული და ფორმალური საბაბი ვერ ექნება. ეს რომ ასეა, ჩანს შემდეგიდან:

1. რუსეთს არავითარ შემთხვევაში არ უნდა მესამე მსოფლიო ომში ჩაბმა, ანუ რუსულ-ამერიკული სრულმასშტაბიანი ომი. მას ურჩევნია, მესამე მსოფლიო ომის (თუნდ ცივის და თუნდ ცხელის) მხარეები იყონ მხოლოდ დასავლეთი (პირველ ყოვლისა – აშშ) და ჩინეთი (ამ უკანასკნელის ყველა შესაძლო ნაკლებმნიშვნელოვანი სატელიტითურთ), ხოლო თვითონ ჩრდილში გადაიავდროს და, ჩასაფრებულმა, თუკი შეძლო, თავის ყოფილ კოლონიურ სივრცეში რამე ლუკმა მიიტაცოს (პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, ამერკავკასიაში და შუა აზიაში). რაც მთავარია, მან იცის, რომ რუსულ-დასავლური ომი, მით უმეტეს, რუსულ-ამერიკული სრულმასშტაბიანი ომი ამერიკელებსაც არავითარ შემთხვევაში არ უნდათ. მაშასადამე, სამხრეთ კავკასიიდან რუსეთისაკენ დასავლეთის შეტევა, მით უფრო – სტრატეგიული მასშტაბის შეტევა – გამორიცხულია

2. რუსეთს უნდა, თავის ე.წ. „მცირე ომთა“ ტრადიციული სტრატეგიის შესაბამისად, რომ ადგილობრივ მცირემასშტაბიან შეიარაღებულ კონფლიქტთა, მათ შორის – ომთა ორგანიზებით, რომლებშიც მისი მონაწილეობა ან ფარული იქნება ან, გამონაკლისის სახით, ღია, მაგრამ ამა თუ იმ მოხერხებული საბაბით მოტივირებული (მაგ. საკუთარ მოქალაქეთა და თანამემამულეთა „დაცვის“ საბაბით) გაიფართოვოს და უფრო ინტენსიური გახადოს თავისი მონაწილეობა და ჩარევისუნარიანობა „ამიარკავკასია-შუა აზია“ სტრატეგიულ ხაზზე, რათა გადაულახავი დაბრკოლება შეუქმნას ან, თავისთვის უკეთეს შემთხვევაში, სულაც გზა გადაულობოს შუა აზიისკენ მთელის მონდომებით მოსწრაფე ამერიკელებს, რომელთა სასიცოცხლო მიზანია იქ ჩინელებს შეასწრონ და მესამე მსოფლიო ომის ორი ფრონტიდან ერთი ძირითადი ფრონტი (მეორეა წყნარი ოკეანე) კასპიის ზღვის ხაზიდან შუა აზიასა და ჩინეთს შორის მდებარე მთების ხაზთან გადაიტანონ.

3. იდეალურ შემთხვევაში, ანუ როგორც თავისი აქაური და მსოფლიო სტრატეგიის ე.წ. „პროგრამა-მაქსიმუმი“, რუსეთს უნდა არა მხოლოდ გააძნელოს, არამედ ერთი მთელი ისტორიული ციკლით ყრუდ გადაკეტოს შუა აზიისკენ ამერიკელების მოძრაობის გზა. ამის მიღწევა მას შეუძლია, ვთქვათ, საქართველოს ხელახალი ანექსიით, საქართველოს გაყოფით თავისსა და თურქეთს შორის, საქართველოში თავისი იმგვარი აგენტურის მოყვანით ხელისუფლებაში, რომელიც ამერიკელებთან პირდაპირ დაპირისპირებაზე წამსვლელი იქნება (რადგან ამერიკელების დასტურის გარეშე მოყვანილი იქნება ხელისუფლებაში) და სხვა. თუ რუსეთმა ეს შეძლო (რასაც, პრაქტიკულად, ძალიან მცირე ალბათობა აქვს და რასაც რუსეთი მხოლოდ იმიტომ იმედოვნებს, რომ ნავთობისა და გაზის გაძვირებით ასტრონომიული თანხა აქვს ნაშოვნი), მაშინ ამას ჯაჭვურ რეაქციასავით მოჰყვება ამერიკელების მხრიდან ხელის აღება ამიერკავკასიისადმი ინტერესზე (რაკი შუა აზიაში გასვლას ვერარ ახერხებენ) და ამ მხარის დარჩენა დაუცველი ლუკმის როლში რუსეთის იმპერიული ხახის წინაშე. ამის ალბათობა, რეალურად, თითქმის ნოლია, მაგრამ დამავალ გზაზე მდგომ სახელმწიფოებსა და რეჟიმებს, როგორც ცნობილია, ოპტიმისტური ილუზიები სჩვევიათ. იმისათვის, რომ ეს მოხდეს, მიუცილებელი პირობაა ამ რეგიონის დაუცველობა მეტოქე ძალის – დასავლეთის – მხრიდან, რასაც, თავის მხრივ, პირობად ამ რეგიონში ნატოს ვერშემოღწევა აქვს.

ამ წინასწარი ცნობების შემდეგ მკითხველს ვთავაზობთ დემოკრატიულ დასავლეთთან საქართველოს სამხედრო კავშირის, კონკრეტულად კი – ამ კავშირის ყველაზე უფრო ალბათი ფორმის, ნატოში საქართველოს გაწევრიანების პლუსებისა და მინუსების გათვლას საქართველოს უსაფრთხოებისა და მისი სხვა ამდენადვე მნიშვნელოვანი ეროვნული ინტერესების თვალსაზრისით. ქვემოთ ჩამოყალიბებული თვალსაზრისი ასახავს საქართველოს სახალხო ფრონტის, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის, აზრს („საქართველოს“ რედაქცია).

ნეიტრალიტეტის პროგრამა საქართველოსთვის

ეს პროგრამა, ნატოში საქართველოს შესვლის მოწინააღმდეგეთა მიერ გახმოვანებული, რამდენსამე მდუმარედ ნაგულისხმევ წანამძღვარს ემყარება. სახელდობრ, შემდეგს:

1. **პირველი**, რუსეთი და ამერიკა – ორივე საქართველოს მტერია. ამასთან (როგორც პირველად მოსდის აზრად ადამიანს, რომელსაც წინასწარი დაფიქრება ამ თემაზე არ ჰქონია) თანაბარი ძალის და თანაბარივე საშიშროების მტერი. მტერი, ბუნებრივია, უნდა მოიცილოთ. ყველაზე უკეთესია, თუ ამ ორ ძალას ერთიმეორეს გააბათილებინებთ ანუ აბრძოლებთ მათ სადღაც შორს, თქვენ კი საქმეში არ ჩაერევით და მშვიდობიანად გადარჩებით. ეს წანამძღვარი ჭეშმარიტრებას არ ასახავს, რამდენადაც:

ა. აშშ და რუსეთი საქართველოსთვის თანაბარი ხარისხის „მტრები“ არ არიან. რუსეთის ინტერესები (და, შესაბამისად, რუსეთის პოლიტიკაც განჭვრეტად მომავალში) შეუთავსებადია საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი და სავსებით შემდგარი სახელმწიფოს, არსებობასთან. საქართველო არის და განჭვრეტად მომავალში იქნება ძირითადი გზა (დერეფანი) დასავლეთისა და ცენტრალური აზიის დაკავშირებისათვის, ანუ დედამიწის მთავარი კონტინენტის შუაგულში ევროპა-ამერიკის, როგორც კონკურენტისა და (დიდწილად) განმსაზღვრელი მსოფლიო ძალის, დამკვიდრებისათვის. ამიტომ რუსეთს სჭირდება საქართველოს, როგორც ტერიტორიის, კონტროლი, რათა დასავლეთი ამ გზაზე არ გამოატაროს (და პირუკუ, დასავლეთისაკენ ცენტრალური აზია აღარ გაატაროს ან ამა თუ იმ წინასწარ შეთანხმებული პირობებით გაატაროს). ვარაუდობს რა (სავსებით სამართლიანად), რომ საქართველოს, როგორც შემდგარი სახელმწიფოს, მოკავშირეობისათვის ბრძოლაში რუსეთი, დასავლეთთან შედარებით, არაკონკურენტუნარიანია (ანუ დასავლეთი საქართველოსთვის ყველა პარამეტრში უფრო სასურველი პირობების შემომთავაზებელი) მოკავშირეა, ვიდრე რუსეთი, რუსეთი იძულებულია საქართველოს, როგორც სტრატეგიული ტერიტორიის, პოლიტიკური და მილიტარული „ქცევის“ კონტროლის მრავალ შესაძლო ფორმათაგან მხოლოდ ერთი – დომინაცია (შეიარაღებული ბატონობა) აირჩიოს. დასავლეთისათვის, პირიქით, სავსებით მისაღებია (რადგან პერსპექტიულია, საქართველოს გეოსტრატეგიულ ქცევაზე თავისთვის სასურველი ზემოქმედების ხელშეკრულებითი, ურთიერთსარგებლობაზე აგებული ფორმები, რადგან მას მუდამ შეუძლია დადებული შეთანხმებებისადმი საქართველოს უყოყმანო ერთგულების იმედი და გარანტია ჰქონდეს იმის წყალობით, რომ საქართველოსთვის შეთანხმების უკეთესი პირობების შემომთავაზებელი სხვა მხარე დედამიწაზე არ არსებობს. ხატოვნად რომ ვთქვათ, რუსეთი, როგორც საქართველოს პოტენციური პარტნერი და მოკავშირე (თუნდაც არათანასწორი) დამშვიდებული და დაიმედებული შეიძლება იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველო პირაღმა დამხობილია მის წინაშე და რუსეთს მის მკერდზე ფეხი აქვს დაბიჯებული. დასავლეთისათვის, ამისგან განსხვავებით, საქართველო მისაღებია და საიმედოა იმ შემთხვევაშიც (უფრო მეტიც – მით უფრო საიმედოა), თუ საქართველო ფეხზე დგას, როცა საქართველო ფეხზეა და შეთანხმებული პირობების შესასრულებლად ხელები თავისუფალი აქვს. (მარტივი ილუსტრაცია: დასავლეთს უნდა შუა აზიისკენ გასვლა, მაშასადამე, მას უნდა, მატარებლებმა იარონ, გზატკეცილები კარგი იყოს, ამინდი კარგი და განათებაც კარგი, რუსეთს კი უნდა, ამერიკელმა შუა აზიისკენ ვერ იაროს, მაშასადამე, ურჩევნია, რკინიგზა ვერ მუშაობდეს და გზატკეცილიც ოღრო-ჩოღრო იყოს).

შეგვიძლია და, ალბათ, გვმართებს, ეს ანალიტიკური სვლა რეტროსპექტულად ქართულ-რუსული ურთიერთობების ორ-სამ საუკუნეზეც გავავრცელოთ. რუსეთს რომ 1783 წლის ძალიან არათანასწორი, მაგრამ რუსეთისთვის და საქართველოსთვისაც დიდი პერსპექტივების გამხსნელი ხელშეკრულება (გიორგიევსკის ტრაქტატი) საქართველოსთან მოკავშირეობის მიმართულებით განვითარებინა, ანუ კურსი ბაგრატიონთა ხელში „საქართველოების“ (საქართველოს დაცალკევებული სამეფო-სამთავროების) გაერთიანებისაკენ, საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის სრულფასოვანი აღდგენისაკენ და გაძლიერებისაკენ აეღო და არა საქართველოს მოსპობისაკენ პოპულაციის შემცირებისა და მისი ეროვნული შემადგენლობის შეცვლისკენ, კულტურული დექართველიზაციისკენ, ეკონომიკური ექსპროპრიაციისკენ, ეკლესიური დამონებისკენ (იხ. საქ. ეკლესიის ავტოკეფალიის შეცვლა ეგზარხატით 1811 წ.) და ა.შ., მაშინ, უეჭველია, გასული საუკუნის შუა წლებისათვის ან, კიდევ უფრო დიდი ალბათობით, იმის წინა საუკუნის შუა წლებისკენ რუსეთის იმპერიული ძალა სპარსეთის ყურის გარშემო მაინც იქნებოდა განლაგებული. რუსეთის პოლიტიკურ არჩევანში საქართველოს ინტერესთა საზიანოდ, სავარაუდოა, მაშინაც გადამწყვეტი როლი ითამაშა იმის ცნობიერებამ, რომ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო, თავისთვის ოპტიმალურ მომენტში, რუსეთს ზურგს აქცევს და ორიენტაციას უფრო ძლიერ, უფრო კულტურულ, ყოველმხრივ უფრო პერსპექტიულ ევროპულ ქვეყნებზე აიღებს.

დომინაციაზე კურსის აღება, რაც რუსეთის ქართული პოლიტიკისათვის, ამგვარად, გარდუვალია, განაპირობებს მის კურსსაც საქართველოს პოტენციალის არა გაშლაზე, არამედ ჩაკვლაზე, ანუ ყველა შესაძლო ღონით იმის მიღწევაზე, რომ საქართველო ვერ ვითარდებოდეს ეკონომიკურად, კულტურულად, მილიტარულად, მას არ ჰქონდეს დამოუკიდებელი წინსვლა მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში და ა.შ.

კურსი საქართველოს მოკავშირედ ჩათვლაზე, რაც დასავლეთისთვის ლოგიკურია (რამდენად რეალიზებულია ეს ლოგიკა, ამაზე ჯერჯერობით არაფერს ვამბობთ) განაპირობებს მისი მხრიდან საქართველოს ეკონომიკური, მილიტარული, ტექნიკური, მეცნიერული და სხვა სახის განვითარების ხელშეწყობას. დღეს დასავლეთის მხრიდან ეს კურსი არ ტარდება. პირიქით: ტარდება კურსი განათლებისა და მეცნიერების სისტემური ნგრევისკენ, წარმოების ჩახშობისკენ, კულტურული და იდეოლოგიური დეგრადაციის სტიმულირებისკენ და ა.შ., რადგან, როგორც ჩანს, გაბატონებულია ზოგადი ტენდენცია, საქართველო განიხილებოდეს მხოლოდ როგორც ცარიელი ტერიტორია, პოლიტიკის მარტოოდენ ობიექტი, და არა როგორც მოკავშირე, პოლიტიკის სუბიექტი. მაგრამ უფრო მეტი საფუძველი არსებობს ვარაუდისათვის, ვიდრე ამის საპირისპირო ვარაუდისათვის, რომ ეს კურსი პოლიტიკის მგეგმავთა უბრალო, თუმცა უხეში შეცდომის (არასაკმარისი ინფორმირებულობის) შედეგია, და არა ცნობიერი ფუნდამენტური ინტერესების კარნახისა. გასათვალისწინებელია იმის შესაძლებლობაც, რომ როდესაც საქართველოს ამჟამინდელი პრორუსული ხელისუფლება საქართველოს ნგრევას ეწევა დასავლეთისა და დასავლური დემოკრატიის სახელით, ამ არჩევანში დასავლეთისა და დასავლური დემოკრატიის დისკრედიტაციისაკენ მიმართული რუსული დავალების გარდა იმ დასავლელ მოხელეთა ბუნებისმიერი და ინფორმირებულობისმიერი მონაცემების დეფიციტურობა ძევს, რომელთა საქართველოსთან მომუშავე ნაწილი ამ სოციალური ფენის გონებრივსა და განათლებისეულ ელიტას არ ეკუთვნის.

გაგრძელება მე-12 გვერდზე

მე-11 გვერდიდან

შეგვიძლია დავასკვნათ: დასავლეთი საქართველოსთვის აუცილებლად მტერი არ არის, რაც უნდა ნაკლოვანი იყოს მისი პოლიტიკა დღეს, როგორც ფაქტი. რუსეთი კი აუცილებლად საქართველოს მტერია. პირველის პოლიტიკა გადასინჯვადია, მეორისა კი არა.

ამავე დასკვნისკენ, მაგრამ კიდევ უფრო მკაფიო ფორმით, გვიბიძგებს დასავლეთისა და რუსეთის გეოსტრატეგიულ ინტერესთა რომელობა. დასავლეთს საქართველოსთან დაკავშირებით აქვს სასიცოცხლო ინტერესი: საქართველოსა და დანარჩენი ამიერკავკასიის გზით შუა აზიაში (და, საერთოდ, ცენტრალურ აზიაში) მუდმივმოქმედი გზის შექმნა, რათა შესაძლო მესამე მსოფლიო ომის ფრონტმა — ერთმა მოსალოდნელი ორიდან (მეორეა წყნარი ოკეანე) — გაიაროს არა კასპიის ზღვაზე, როგორც დღეს იხაზება, არამედ შუა აზიასა და ჩინეთს შორის მდებარე ქედებზე. დასავლეთის ამ ერთი სასიცოცხლო ინტერესის ჰარმონიულ სანაცვლოდ და საპასუხოდ საქართველოს აქვს ორი სასიცოცხლო ინტერესი, რომელიც მას დასავლეთისკენ უბიძგებს: ერთია ის, რომ დასავლეთი დღეს და განჭვრეტად მომავალში ერთადერთი ძალაა, რომელიც რუსეთს საქართველოს დაპყრობას უშლის. მეორეა ის, რომ დასავლეთის ინტერესი შუა აზიაში კულტურული და სტრატეგიული დამკვიდრებისა ამავე დროს საქართველოს საკუთარი ინტერესიცაა (ისევე, როგორც კავკასიისა საერთოდ), რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ჩინეთის დემოგრაფიული პოტენციალი წალეკვით ემუქრება შუა აზიას, მის მიერ დიდწილად გამოდევნილი შუა აზიური პოტენციალი კი (ზიარჭურჭლების კანონით) — კავკასიას მისი დემოგრაფიულად ყველაზე სუსტი ელემენტის, საქართველოს ჩათვლით.

ბ. დასავლეთი ერთის მხრივ და მესამე მსოფლიო ომის მონაწილე მეორე ბანაკი — ჩინეთი (პირველ ნომრად), რუსეთი და ისლამური ქვეყნების უმეტესობა მეორე მხრივ თანასწორი ძალის „მტრები“ არ არიან. პირველი დღესაც, ხვალაც და ზეგაც უფრო ძლიერია. გადამწყვეტია არა ადამიანური პოტენციალი (ამ მხრივ აღმოსავლეთის ბანაკი ერთიორად აღემტება დასავლეთისას) და არა იმდენად სამრეწველო პროდუქციისუნარიანობის მასშტაბი, რამდენადაც ტექნოლოგიური (და მეცნიერული) წინსვლისა და შეჯიბრების პოტენციალი. ამ უკანასკნელის მხრივ ამ თვალსაზრისით ჯერ საკმარისად არ გამჟღავნებული ჩინეთი შესაძლებელია სიურპრიზებს შეიცავდეს, მაგრამ იმის ალბათობა, რომ მსოფლიოს ამ სამი აღმოსავლური ნაწილის გონებრივი და მეცნიერული პოტენციალი გაუსწრებს ან მიახლოებით გაუტოლდება დასავლეთისას — იმდენად მაინც მიახლოებით, რომ განსხვავებამ დასავლეთის სასარგებლოდ ვერ გადაწონოს აღმოსავლეთის რიცხობრივი უპირატესობა — დიდი არ არის, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ცივ ომში, ანუ შეიარაღებათა ომში დასავლეთის მიერ მოპოვებული გადამწყვეტი გამარჯვება სოციალიზმზე თავისუფალი ეკონომიკის გამარჯვება კი არ იყო, თავისთავად, არამედ ამავე დროს (და ძირითადად) დასავლეთის გამარჯვება აღმოსავლეთზე (იმ დროს, ძირითადად, რუსეთზე აგებულზე) ამ ორი სუპერბანაკის ინტელექტუალურ პოტენციალთა ომში.

ამრიგად, რუსეთი და აშშ საქართველოსთვის ერთნაირი „მტრები“ არ არიან არც საშიშროების, სახელდობრ, შეურიგებადობისა და აგრესიული გეგმების მასშტაბის მხრივ, არც ძალის მხრივ. პირველი პრინციპულად შეურიგებადია და საქართველოს სრულ განადგურებაზეა ორიენტირებული, მეორე — თავისი მოქმედების იმ ნაწილში, რომელიც მტრულია (ნუ დავიწყებთ, რომ მისი მოქმედების დიდი ნაწილი მეგობრულია და არა მტრული) — შერიგებადი და უფრო კარგ პოლიტიკაზე გადაყვანადი, რასაც, მართალია, ნეკით მიწოლა არ ეყოფა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, მაგრამ ცერით მიწოლა კი ეყოფა (თუ, რა თქმა უნდა, საქართველოს ხელისუფლება ვარგა, რასაც დღეს ადგილი არა აქვს), სავარაუდოდ, ეყოფა. ამ ორ ფაქტორს ზედ ემატება ამავე რიგის მესამე ფაქტორიც: ამიერკავკასიაში აშშ რუსეთს აჭარბებს თავისი დაინტერესების ხარისხითაც. რუსეთისთვის აშშ-ს არშეშვებას შუა აზიაში და არ მოშვებას ამიერკავკასიაში მხოლოდ ნეგატიური ფუნქცია, დასავლელთა მოძრაობის შეფერხების ფუნქცია აქვს. მათი შეფერხებითა და შეუფერხებლობით წყდება, არსებითად, მხოლოდ ჩინეთისა და ამერიკის შერკინების გრძელი ეპიზოდის ბედი, მაგრამ არა რუსეთისა. ამერიკელებისათვის კი მათი უკვე დაწყებული და მზარდი დაპირისპირება ჩინეთთან და მათი ორიდან ერთი ძირითადი ფრონტის განლაგების ხაზი, როგორც ვთქვით, სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, მასზეა დამოკიდებული ამ დღევანდელი ძირითადი სუპერსახელმწიფოს მომავალი ისტორიის განვითარების მიმართულება.

ამ გარემოებათა გათვალისწინებით, საქართველოსთვის ნეიტრალიტეტის პოლიტიკის რჩევა დღეს იგივეა, რაც მისთვის — არც მეტი, არც ნაკლები, — შემდეგის თქმა: „საქართველოვ, დარჩი მარტო შენს უაღრესად მიმზიდველ ტერიტორიაზე, რომელსაც დღეს შენი გარდუვალად აგრესიული და შენს სრულ განადგურებას მონატრებული მტერი მისათვისებლად უყურებს. დაემოკავშირე, როგორც თითქოს უმცროსი პარტნერი, სინამდვილეში კი როგორც სიტყვის არმქონე ყმა და მსხვერპლი, ძალას, რომელსაც მსოფლიო ჭიდაობაში გამარჯვების არანაირი შანსი არ გააჩნია და რომელსაც შენს მიმართ მხოლოდ ის პოლიტიკა ექნება აწ და მარადის, რომ შენ გულაღმა ძირს გართხმული და მკერდზე მის ფეხებდაბჯენილი იყო“.

<u>**მეორე წანამძღვარი.**</u> ნეიტრალიტეტის გამოცხადება საქართველოს მიერ არის მისი დაცვა. ეს მათი პოზიციის მეორე მდუმარედ ნაგულისხმევი წანამძღვარია. ამიტომ საკითხავია: არის თუ არა ნეიტრალიტეტის გამოცხადება საქართველოს მიერ, მართლაც, სახელმწიფოს დაცვა? ამ კითხვას მხოლოდ უარყოფითი პასუხი აქვს. იმისთვის, რომ სახელმწიფოზე თავდასხმის უფლება სხვა სახელწმიფოს არ ჰქონდეს, არ არის საჭირო მას თავი ნეიტრალურად გამოცხადებული ჰყავდეს. თავდასხმა ანუ აგრესია უამისოდაც ყველას კატეგორიულად აკრძალული აქვს. მაგრამ არსებობს აუარებელი მექანიზმები საერთაშორისო სამართლის ამ უპირველესი ნორმისა დაცნებისათვის გვერდის ავლისა, მაგალითად, მსხვერპლად შერჩეული სახელმწიფოსათვის ამა თუ იმ შემთხვევითი გარემოების გამო შარის მოდების ანუ თავდასხმისთვის რაღაცა გამამართლებელი საბაბის შექმნის სახით (ამგვარ შესაძლო საბაბთა არსენალი თავისი ერთპიროვნული ვოლუნტარისტული განცხადებებით საგრძნობლად გააფართოვა რუსეთმა, ამასწინათ რომ თავისი სახელმწიფო უშიშროების დოქტრინა გამოფინა სააშკარაოზე, სადაც იგი უფლებას იჩემებს, თავისი მოქალაქეები თავისი ქვეყნის საზღვრებს გარეთ (წაიკითხეთ: საქართველოში) შეიარაღებული ძალის გამოყენებით „დაიცვას“). ამგვარი საბაბის ძებნას და პოვნას ნეიტრალიტეტის გამოცხადება მსხვერპლის მიერ არც რამეში ეხმარება, არც რამეში უშლის. აგრესიის სურვილის შემთხვევაში მსხვერპლად შერჩეული რაგინდარა ნეიტრალურ სახელმწიფოს აგრესორის მიერ განეცხადება, „სიტყვით ნეიტრალური ხარ, საქმით კი არაო“, ან „ნეიტრალობა კი გინდა, მაგრამ ჩემი მოქალაქე შეგვიწყრებიაო“, და საბაბიც მზად არის. მცირე სახელმწიფოს მიერ გაცხადებული ნეიტრალიტეტი ქმედითია, ანუ რეალურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური აგრესორები — ამ სახელმწიფოს მეზობლები ან დაახლოებით მეზობლები — ერთმანეთში შეთანხმებულნი არიან, რომ ამ სახელმწიფოს მიერ აღიარებული ნეიტრალიტეტი თვითონაც აღიარონ. ეს კი ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი დაინტერესებულნი არიან მის დაცვაში და მხოლოდ მანამდე, სანამ მათი ეს დაინტერესება გრძელდება. როგორც კი პოტენციური დამრღვევი საჭიროდ და სასარგებლოდ დაინახავს იმ პატარა ქვეყანაზე თავდასხმას, იგი ამას მოიმოქმედებს კიდეც ამა თუ იმ საბაბით და ამით არანაირად არ გაიზრდება მისი პასუხისმგებლობის ხარისხი არც იმ მსხვერპლი სახელმწიფოს წინაშე, არც მისი „იქითა“ მეზობლის წინაშე, ვისაც ნეიტრალიტეტზე შეუთანხმდა, არც მსოფლიოს წინაშე. სამაგიეროდ, ხიფათში მყოფი სახელმწიფოს მარტო დატოვებას, ანუ ყოველგვარი თავდაცვითი კავშირის გარეთ დატოვებას პოტენციური ძლიერი აგრესორის პირისპირ რეალური შედეგი მოაქვს, ამასთან, მოაქვს უშუალოდ და დაუყოვნებლივ. ბალტიის ქვეყნები დღეს საიმედოდ არიან დაცულნი ყოველგვარი აგრესიისაგან რუსეთის მხრიდან იმ ფაქტით, რომ უკვე ნატოში არიან. საქართველო საიმედოდ ვერა, მაგრამ პრაქტიკულად მაინც დაცულია რუსეთის პირდაპირი დარტყმისაგან გაშლილი დროშით იმის წყალობით, რომ დასავლეთისა და მსოფლიოს დღევანდელი უდავო ლიდერი აშშ ღიად და დემონსტრატიულად იცავს მას (თუნდაც ტელეფონით) ამ ბედისაგან. იმ შემთხვევაში, თუ საქართველო ნატოს წევრი იქნება, რუსეთის მიერ საქართველოსკენ თოფის გასროლა ნატოსკენ თოფის გასროლის ტოლძალი იქნება, რასაც რუსეთი, ძალთა დღევანდელი შეფარდების პირობებში (რომელსაც ცვლილება არ ელის), ვერ იზამს. თუ საქართველო ნატოში არ იქნება და მის იქ შესვლაზე ლაპარაკიც შეწყდება, მაშინ რუსეთი ადვილად მონახავს შესაფერ მომენტსაც და საბაბსაც, რათა საქართველოში ინტერვენცია მოახდინოს, მისი ტერიტორიების მიტაცება და მის სათავეში თავისი აგენტურის დაყენება ცადოს. რასაკვირველია, — თუკი გვინდა, რომ რეალისტური მსჯელობის ფარგლებში დავრჩეთ, — აქ იმის თქმაც გვმართებს, რომ დასავლეთის (პირველ რიგში — აშშ-ს) დამცველი როლი საქართველოს მიმართ მისი ნატოში არყოფნით არ გაუქმდება: მის ამ როლს საამისოდ მეტისმეტად ძლიერი გეოპოლიტიკური ინტერესი კვებავს. მაგრამ იმის თქმა, რომ ნეიტრალიტეტით საქართველოს უსაფრთხოება იზრდება, ხოლო ნატოში შესვლით მცირდება, მაინც აბსურდად რჩება, რომლის შემოცურებაც თავისი იდეური და ფიზიკური აგენტურის საშუალებით, რასაც რუსეთი დღესდღეობით იქმს, მხოლოდ იმის მისაღწევადაა მიმართული, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანება ვერ მოხდეს, მაშასადამე, ამიერკავკასიის დერეფნის გადაკეტვის გზა არ მოიკვეთოს.

ახლა კი, რაკი საქართველოში ნეიტრალიტეტის ქადაგების რუსული ლოგიკის უსაფუძვლობა ვნახეთ და, შესაბამისად, საქართველოს ნატოში არშესვლის მქადაგებელი რუსული არგუმენტაციაც უარვყავით, ვიკითხოთ მთავარი: რა არის საქართველოსთვის დასავლური ორიენტაციის ზოგადი პოლიტიკა და, კერძოდ, ნატოში შესვლის პოლიტიკა რეალურად, ანუ რა მოაქვს და რა არ მოაქვს მას, პრაქტიკულად, საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, არსებობისთვის (გადარჩენისთვის) დღეს და ქართველების, როგორც ერის არსებობისათვის სამომავლოდ? ამ თემაზე მსჯელობისათვის არსებითია შემდეგი.

გვიან შუა საუკუნეებთან (XV-XVIII) შედარებით საქართველოს მდგომარეობა თავის აგრესიულ რეგიონში დღეს, თუ რეგიონგარე ძალებს არ ჩავთვლით, დამძიმებულია. მაშინ საქართველოს სასიკვდილო საშიშროებას უქმნიდნენ ირანი და თურქეთი, რომელთა უკანაც მთელი სამუსულმანო იდგა და რომელთა ზედაპირულ, მაგრამ მუდმივ ინტერესთა დაპირისპირებებზე თამაშსა და ბალანსირებას საქართველო წარმატებით ახერხებდა. ამათ საპირწონედ რეგიონში ჩნდებოდა და ძალას იკრებდა რუსეთი, რომელიც ამ ორისათვის უყოყმანო და უპირობო მოწინააღმდეგე იყო და, ამგვარად, საქართველოსთვის იმედი ამათთან ბრძოლაში. დღეს, პირიქით, რუსეთი, რომელიც აგრესიულად ამოქმედებულია, თავისი პოტენციალით კი არ ეპირწონება, არამედ ემატება და უჯამდება ამ ორს, რომელნიც აგრესიულად ამოქმედებულნი არ არიან, თუმცა თურქული გემების რეისები სოხუმში იშვიათი არაა. მათი მაერთებელი ფაქტორი გლობალურ ვითარებაში არის მათი ანტიდასავლურობა (ზოგისა — აქტუალური, ზოგისა — ჯერჯერობით მხოლოდ პოტენციური), რომელიც განპირობებულია, ჯერ ერთი, ამ უკანასკნელის (დასავლეთის) მსოფლიო ბატონობით, მეორეც, მისი რეგიონში შემოსვლის და რეგიონს მიღმა (შუა აზიაში) რეგიონის გზით გასვლის უშუალო პერსპექტივით. დღეს რუსეთი, ირანი და თურქეთი საქართველოს წინააღმდეგ, პოტენციურად, მოკავშირეები არიან, რისი პირველი რეალიზაციაც ისტორიაში, ღია სახით, იყო რუსეთის და თურქეთის ერთობლივი (ერთ დღეს მომხდარი) სამხედრო დარტყმა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე 1921 წელს. ამათი ერთობლივი (ჯერჯერობით — მარტოოდენ პოტენციური) მიზანი და მისწრაფებაა დასავლეთისათვის აღმოსავლეთისკენ (ცენტრალური აზიისკენ) გზის გადაკეტვა საქართველოს, როგორც ამიერკავკასიის ზღვისკენ გამსვლელის, აღარარსებობის მიღწევით, რაც განხორციელდება, ვთქვათ, რუსეთის მიერ საქართველოს კვლავ ანექსიის, მისი ტერიტორიის რუსეთსა და თურქეთს შორის გაყოფის ან, როგორც მინიმუმი, მისი გაუვალ რადიოაქტიურ, ქიმიურ, ბაქტერიოლოგიურ უდაბნოდ ან სისხლიანი ქაოსის ზღვად ქცევის შემთხვევაში. ამგვარად, დასავლეთის ფაქტორის გაჩენამ საქართველოსთვის უარყოფითი როლი ითამაშა იმ მხრივ, რომ მისი აგრესიული მეზობლები გააერთიანა და ამიერკავკასიაში საქართველოსთვის ურთიერთგამაწონასწორებელი ფაქტორების არსებობის შესაძლებლობა მოხსნა. რა რჩება საქართველოს ამ სიტუაციაში? ერთადერთი: დასავლეთზე დაყრდნობა, როგორც ძალით უპირატესსა და დაინტერესების ხარისხით უფრო აქტიურ მოკავშირეზე, ასეთი პირობებით: მე ვიცავ (უკეთეს შემთხვევაში: ჩემი ცოცხალი ძალით და შენი მატერიალური, ფინანსური, ტექნოლოგიური, პოლიტიკური და სხვა დახმარებით) ამიერკავკასიას ჩრდილოეთიდან (და საჭიროების შემთხვევაში სამხრეთიდანაც). შენ კი შეიავ გლობალური სტრატეგიის თვალსაზრისით რუსეთის (და საჭიროების შემთხვევაში, აგრეთვე სამხრეთის მეზობლების) დარტყმისაგან. ჩვენი სასიცოცხლო ინტერესების დამატებითი დამთხვევა ის არის, რომ მე, ისევე როგორც შენ, დაინტერესებული ვართ, რომ აღმოსავლელი კოლოსის დემოგრაფიულმა პოტენციალმა არ გადარეცხოს შუა აზია, ხოლო შუა აზიის გადალეკილმა პოტენციალმა — კავკასია ჩემი ქვეყნის ჩათვლით. მაგრამ, ამ მართლაცდა იდეალურად ჰარმონიულ სქემას, რომელსაც ძალუძს საუკუნეები იმუშაოს, თავისი „მაგრამები“, საშიშროებები და სიძნელეები (მაგრამ არა თავისი „ანტინომიები“) აქვს. სახელდობრ (ჩამოვთვლით მხოლოდ ზოგიერთს, „ღია სიის“ სახით):

1. იმ შემთხვევაში, თუ ნატოსა და რუსეთს შორის კონფლიქტი ჩნდება სხვა ზონაში (ვთქვათ, ევროპაში ან ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის თავზე), საქართველო ვალდებულია ამ კონფლიქტში (ომში) ჩაებას თვით ახალი ფრონტის გახსნამდე. ამასთან, ასეთ შემთხვევაში შეიძლება ამუშავდეს პარტნერთა რეალური უთანასწორობის ფაქტორი და მექანიზმი. საქართველო, როგორც პატარა ფაქტორი საერთო საქმისა, თავის ამ მოვალეობას ვერ გაექცევა. დასავლეთი კი, როგორც დიდი და ძლიერი ფაქტორი, ყოველთვის იქნება იმის უნარმოსილი, რომ საქართველოზე მისი რეგიონალური მეზობლის აგრესიის შემთხვევაში (ვთქვათ, ირანის მხრიდან ან თურქეთის მხრიდან, რომელიც თვითონ ნატოს წევრია) დაუსჯელად მოძებნოს კონფლიქტისათვის თავის გარიდების საბაბი.

2. იმ შემთხვევაში, თუ ნატოს თავისი რეგიონგარე მიზნებისათვის დასჭირდა რეგიონში მოქმედებების დაწყება (ვთქვათ, ირანის დაბომბვა საქართველოს ტერიტორიიდან ზოგადსანავთობე სტრატეგიის, იზრაელის დაცვის, ბირთვული გაუვრცელებლობის მიღწევის ან სხვა რამ მიზნით) საქართველო დგება საშიშროების წინაშე, რომ მას ამ არსებითად უცხო ომის ძირითადი ტვირთი და მსხვერპლი დააწვეს.

3. საქართველოს ანტისაჰაერო და ანტისარაკეტო დაცვის, აგრეთვე ბიოლოგიური დაცვის, აგრეთვე ბირთვული და სხვა ნაცვალგების (საპასუხო დარტყმის მიყენების უნარის) ხარისხი ნაკლები არის, და, სავარაუდოა, მომავალშიც იქნება, ვიდრე ნატოს სხვა პარტნერებისა, რის გამოც საქართველო გამრავალკეცებული რისკის ქვეშ დგება თავისი მოსახლეობით და თავისი მომავლით.

4. საქართველო, როგორც ნატოს წევრი, მუდამ იქნება იმ საშიშროების წინაშე, რომ ერთობლივი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სადაც საქართველოს ხმა გადამწყვეტი არ არის, გაუთვალისწინებელი დარჩეს საქართველოს საკუთარი სასიცოცხლო ინტერესები, რომლებიც ნატოსთვის მთლიანად აქტუალური არ არის. მაგალითად, საქართველოს ნაწილთა პოლიტიკური სტატუსი განისაზღვრებოდეს საქართველოსთვის პერსპექტივაში საზიანო, თუმცა მისი მოკავშირეებისათვის მნიშვნელობის არმქონე მიმართულებით, მაგალითად, სტაბილობისა და, ვთქვათ, ტრანსპორტის უსაფრთხოების ინტერესები წინ დგებოდეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობისაზე.

5. საქართველო მუდმივი საშიშროების წინაშე რჩება, რომ ნატოს დანარჩენი წევრებისათვის არ (აღარ) აღმოჩნდება ხელსაყრელი საქართვე-

ვაგრძელება მე-13 გვერდზე

მე-12 გვერდიდან

ლოს სტრატეგიული პარტნერობა, რასაც მის პრობლემებზე პასუხისმგებლობის ტვირთვა, და, ვთქვათ, მისი საზღვრების შეიარაღებული დაცვის მოვალეობა ახლავს (ვთქვათ, ჩინეთის მხრიდან მისთვის ხელსაყრელ მომენტში დიდი მუქარისა და დიდი საშიშროების გაჩენის შემთხვევაში), რასაც შედეგად შეიძლება მისი ნატოდან კვლავ გამოყვანა (რაიმე საბაბით) და მისი მტრების პირისპირ მარტო დატოვება მოჰყვეს. აქ აღარას ვამბობთ იმ ბრმა პოზიციაზე, რომელიც არაერთხელ გამოთქმულა საქართველოს პოლიტიკურ საზოგადოებაში, ჩვენი მიზანია სასწრაფოდ შემოვიყვანოთ საქართველოში ნატოო (და არა „საჭიროა საქართველო შევიდეს ნატოში“), რითაც უგულებელყოფოდა უარსებითესი განსხვავება ამ ორ ნაბიჯს შორის, სახელდობრ, ის, რომ საქართველოში ნატოს შემოსვლით (ნატოსი, რომელიც ყოველ წუთს შეიძლება ისევ გავიდეს და მტერს შეგვატოვოს) საქართველო ცალხრივად იყენებს თავს ხიფათში, მაგრამ პარტნერისაგან არაფერს ღებულობს, ხოლო საქართველოს შესვლით ნატოში საქართველო ვალდებულებებს კისრულობს პარტნერის წინაშე ისეგე, როგორც ეს უკანასკნელი კისრულობს საქართველოს წინაშე.

რა გამოსავალი და მოქმედების რა გზები აქვს საქართველოს ამ მართლაც ურთულეს ვითარებაში, რომელიც თავისი მრავალგანზომილებიანობიდაც და საშიშროებათა ხარისხითაც ერეკლე II-ის წინაშე მდგარ პრობლემას აღემატება? ზოგადი პასუხი ერთია: საქართველო უნდა იყოს მოქმედი და თვალხილული და არა მონური ქცევისა და ბრმა. იგი უნდა თვითონვე მოქმედებდეს როგორც პოლიტიკის სუბიექტი (და არა მარტოოდენ ობიექტი), თუ უნდა, რომ პარტნერებმაც იგი სუბიექტად განიხილონ. კონკრეტულად, იგი უნდა ითხოვდეს იმას, რაც მის სასიცოცხლო უსაფრთხოებას ემსახურება დღეს და მის ისტორიულმასშტაბიან ინტერესებს — მომავალში. მაგალითად, მოყვარემ და მოკავშირემ უნდა იცოდეს, რომ ტერიტორიული ინტერესი საქართველოსთვის დაუთმობადი ინტერესია, რომ ჭეშმარიტი საჰერო დაცვის აწყობამდე საქართველო საავიაციო და სარაკეტო ბრძოლებში არ ჩაერევა, რომ დიპლომატიური დახმარება მსოფლიო არენაზე (საერთაშორისო ორგანიზაციების ჩათვლით) მის მოკავშირეთა პირდაპირ მოვალეობადაა მიჩნეული და, დასასრულ, მას უნდა ჰქონდეს თავის სახელშეკრულებო ურთიერთობაში პარტნერებთან (თვით ნატოს ჩათვლით) განსაზღვრული ინტერესთა ის არეალები, რომელშიც ერთი პარტნერის ხელყოფა ვინმეს მიერ მეორე პარტნერისასაც ნიშნავს და, შესაბამისად, იმ მეორესაც შეიარაღებულ პასუხს ავალებს. ასეთი ურთიერთობა სტრატეგიულ პარტნერებთან, ცხადია, მხოლოდ არადონდლო და არაჯაგლაგი ხელისუფლების პერსპექტივაა. მაგრამ ეს მოთხოვნა საქართველოს დამატებით ტვირთსა და ხარჯს არ აკისრებს, რადგან ამგვარი ხელისუფლება საქართველოს სჭირდება თავისი პოლიტიკური მოქმედების ყველა ასპექტში და არა მხოლოდ იმაში, რომელზეც ამ შემთხვევაში საუბარი გვაქვს.

თუმცა საქართველოს დასავლურ ორიენტაციას დღეს და სამომავლოდ ალტერნატივა არა აქვს (ანუ საქართველოს სხვა გზა არა აქვს და არც მოეზრება), მაინც საქართველომ უნდა იცოდეს, რომ ევროპელის თვალში იგი იგივე ევროპა არაა, რაც ევროპული ქვეყნები, და რომ, ამიტომ, არაა გამორიცხული, გარკვეულ სიტუაციაში ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ეთნიკური მცნებების პირდაპირი დარღვევის გარეშე, ამა თუ იმ ზრდილობიანი და ლამაზი ფორმით, ნატო საქართველოსთან სამხედრო ალიანსიდან გავიდეს, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, განსაცდელის ჟამს საქართველოს უგანოს. ამის არდავიწყება ხელისუფლების მოვალეობაა. თქმულიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოს დაყრდნობა ნატოზე არ უნდა იყოს იმ ხარისხისა, რომ, თუ ნატო გამოეცალა, საქართველო მიწაზე დაეცეს. ეს კი პრაქტიკულად ნიშნავს სამ რასმე.

<u>პირველი.</u> საქართველოს თავდაცვისუნარიანობა იმ ანგარიშით უნდა იგებოდეს, რომ რაღაცა დროის ფარგლებში მაინც (ეს ფარგლები შეძლებისდაგვარად დიდი უნდა იყოს) მას თავდაცვა ავტონომიურ რეჟიმში (ანუ გარედან დახმარებისა და მომარაგების გარეშე) შეეძლოს. ამ ამოცანაში შედის ქვეყნის საკუთარი ძალებით სასურსათო უსაფრთხოების დაცვაც და სხვა ანალოგიური არასაბრძოლო ამოცანებიც.

<u>მეორე:</u> საქართველოს სათავდაცვო ორიენტაციის გარდუვალი და უალტერნატივო დასავლური მიმართულების პირობებში საქართველო ამ ორიენტაციის რეალიზაციის გზათა შორის უნდა ითვალისწინებდეს არა მხოლოდ კოლექტიური უსაფრთხოების მექანიზმს, როგორიცაა მრავალმხრივი ნატო, არამედ ორმხრივი სათავდაცვო კავშირებისასაც, ვთქვათ, საქართველოსა და „ა“ ქვეყანას შორის, საქართველოსა და „ბ“ ქვეყანას შორის, საქართველოსა და იმავე ნატოს შორის და ა.შ. კავშირის ამგვარი ფორმა უფრო ელასტიურია და მასში უფრო დაკონკრეტებადია ერთობლივი პასუხისმგებლობის არეალი და სავალდებულო ურთიერთდახმარების შემთხვევები.

<u>მესამე:</u> საქართველოს მუდამ მზად უნდა ჰქონდეს პასუხი კითხვისთვის: რას ვიზამ მაშინ, თუ ნატომ (ან: დასავლეთმა საერთოდ) თავისი დახმარების პირობად დამიყენა ჩემ დაუთმობად ინტერესებზე ხელის აღება, მაგალითად, ამა თუ იმ ტერიტორიის დათმობა? ანუ: საქართველოს უნდა მუდმივად მომარაგებული ჰქონდეს შესაძლებლობა რაღაცა ინტენსიური ეკონომიკური და სამხედრო კავშირის კარის გახსნისა, რომელიც დაგმანული აქვს მოცემულ მომენტში თავის უპირველესად სასურველი დღევანდელი მოკავშირეების ინტერესებისათვის ანგარიშგაწევის გამო. მაგალითად, მას უნდა შეეძლოს სწრაფად აწყობა ირანული ნავთობის გატანისა ევროპაში, იაპონური პროდუქციის ამწყობი ხაზის ორგანიზებისა ევროპის ბაზრისათვის და ა.შ., რისგანაც იგი დღეს თავს იკავებს, უმტკივნეულოდ, თავისი დასავლელი სტრატეგიული სასურველი მოკავშირეების ანგარიშგაწევით.

დასავლეთთან სამხედრო კავშირის ხსენებული მინუსები, როგორც ვხედავთ, სერიოზულია, იმ პირველი და აქამდე არხსენებული მინუსით დაწყებული, რომ თვით ამ კავშირის აუცილებლობის აღიარებას, როგორც პოლიტიკის საწყის პრინციპისა, საქართველოსათვის კარგა ხნის ნაცნობი საძულველი თეზისის „დამოუკიდებლობა არ შეგვიძლია“ სუნი უდის. მაგრამ თუ საკითხს ღრმად და პატიოსნური აზროვნებით მივუდგებით, მაინც უნდა ვაღიაროთ უყოყმანოდ, რომ, ყველა აღნიშნული სიძნელის გადალახვისა და გამოსწორების თუ კომპენსაციის სურვილის ფონზე, დღეს საშინლად გააქტიურებული და შეტევაზე გადმომავალი იმპერიული რუსეთის პირისპირ ჩვენთვის მსოფლიო დემოკრატიული სუპერძალის მიკავშირება ყოლა პრაქტიკულად აუცილებელია. რუსეთს დღეს, ყველა ნიშნით, თავისი სუპერსახელმწიფოებრივი იმპერიული სტატუსის შენარჩუნების უკანასკნელი შანსი უდგას (ან ჰგონია, რომ აქვს) და ეს შანსი საქართველოს გვამზე გადის. ეს შანსია: ამიერკავკასიური დერეფნის დასავლეთისათვის ჩაკეტვა; ამ ბაზაზე ჩინეთთან და ისლამურ ქვეყნებთან ალიანსის გაძლიერება იმ ზომამდე, რომ აზიაში, დესპოტიების ამ კლასიკურ კონტინენტზე, დასავლეთიდან სტრატეგიული შეღწევის ყველა მცდელობა გამოირიცხოს მთელი ისტორიული ეპოქით; ამ ხელსაყრელ ფონზე აზიის კონტინენტზე ყველა საჭირო საფორტიფიკაციო სამუშაოს ჩატარება პროფილაქტიკურად, რათა გადამწყვეტი შერკინების მომენტისთვის, რომელიც აუცილებლად მოვა (მაგრამ არა აუცილებლად იარაღის გამოყენებით), რეგიონი გარე სამყაროს ინდუსტრიალიზებულ დესპოტიებს მტკიცე და შეუვალი ჯაჭვის სახით დაჰხვდეს, ამას კი, — სხვათა შორის, მაგრამ პირველ ყოვლისა, — დასავლეთის ერთი პატარა, მაგრამ ორგანულად დასავლური ფორპოსტის — საქართველოს — დეზაქტივიზაცია სჭირდება მისი დემოგრაფიული, ეკონომიკური, სათავდაცვო, იურიდიული, კულტურული თუ ფსიქოლოგიური დესტრუქციის სახით. საქართველოსთვის უმჯობესია, რომ ამ გეგმისთვის გზის გადაკეტვა მის პირველსვე ეტაპზე მოხდეს, ანუ ბრძოლა თავდაცვის ჯერ ყველაზე შორეულ ზღუდეზე გაიმართოს. ეს ზღუდეა დასავლეთისათვის შუა აზიის გაღება-გადაკეტვისათვის ბრძოლა და ეს ბრძოლა დღეს მიმდინარეობს.

აუცილებელი განმარტებანი

პარლამენტში საქონლისებრი თვითკმაყოფილება სუფევს. ბრმა კნუტები სახელმწიფოს საჭესთან

რუსეთის დუმაში ანტიქართული პროსეპარატისტული გადაწყვეტილებების კენჭისყრის (6 დეკემბერი) წინა დღეს ქართველი პარლამენტარები, კომიტეტის თავმჯდომარეთა დონემდე, მაძღარი თვითდაჯერებით ამშვიდებდნენ საზოგადოებას, რომ რუსეთი განზრახულ აგრესიულსა და საერთაშორისო სამართლის საწინააღმდეგოდ მიმართულ გადაწყვეტილებებს ვერ მიიღებს, ხოლო რომც მიიღოს, ეს ჩვენი სახელმწიფოსთვის საშიშროებას არ შეიცავს. თქვენი მონამორჩილისთვის ნათელი იყო, რომ მიიღებს (რაც ახდა კიდეც) ისევე, როგორც დღეს ნათელია — მოვლენათა განვითარების ერთი ძირითადი ვარიანტისთვის მაინც, — რომ ეს ჩვენი სახელმწიფოსთვის საშიშია და ძალიან საშიშიც. ჩემი პროგნოზის მეორე ნაწილი გამოქვეყნდა „ახალ თაობაში“. მაგრამ მე მინდა დავაზუსტო აქცენტები, რადგან საქმე უაღრესად მნიშვნელოვანსა და სახიფათო თემას ეხება, მით უფრო, რომ სწორი ანალიზისა და მისგან გამომდინარე სწორი პროგნოზის შემთხვევაში მათგან გამომდინარეობს სავსებით კონკრეტული პრაქტიკულად სამოქმედო რეკომენდაციაც ხელისუფლებისათვის.

ის, რაზეც „ახალ თაობაში“ ვლაპარაკობ, ჩემთვის არც საბოლოო დიაგნოზია სიტუაციისა და მისი ფაქტორებისა, არც ცალსახა პროგნოზი. ეს მხოლოდ ერთერთი სავარაუდო ხაზია მოვლენათა ცუდი (ჩვენი ქვეყნისათვის საზარალო) განვითარებისა, მაგრამ საკმაოდ ალბათი. რუსეთმა შეიძლება გაბედოს აფხაზეთისა და „ოსეთის“ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნობაც, რასაც რუსეთის ჯერ კიდევ დარჩენილი რამდენიმე კლიენტი და ამერიკელების მოძულე რამდენჯერმე მეტი სხვაც აჰყვება, და მათი რუსეთის ფედერაციის „ასოციირებულ წევრად“ მიღებაც. ამას დიდი ალბათობა აქვს. რატომ? იმიტომ, რომ, შესაძლებელია, რუსეთს ამისთვის დასავლეთის (ამ გამოთქმას ამ შემთხ-



ვევაში ევფემისტურად ვხმარობ. მხედველობაში საერთაშორისო პოლიტიკის უფრო კონკრეტული სუბიექტი მყავს) ჩუმი სანქცია ჰქონდეს. ამ დასტურის მოტივი ის შეიძლება იყოს, რომ, ჯერ ერთი, ამით იქმნება საბაბი და პრეცედენტი საკმაოდ ახლო მომავალში ჩრდილოკავკასიური ქვეყნების გამოყვანისათვის რუსეთის შემადგენლობიდან. ეს „დასავლეთის“ ინტერესია. მეორეც, პუტინის უმისოდაც ძალიან მაღალი რეიტინგი თავის ქვეყანაში კიდევ უფრო მაღლა ხტება, ხოლო რუსეთისთვის უარყოფითი შედეგები ამ ნაბიჯისა გადადებულია პუტინის მემკვიდრის ან მემკვიდრის მემკვიდრის მმართველობამდე. ეს პირადად პუტინის ინტერესია. მესამეც (ისევ დასავლეთის ინტერესი) ის არის, რომ ამ უკანასკნელს ხელს აძლევს რეგიონის შეძლებისდაგვარად ინტენსიური დანაწევრება (ნაცვლად საქართველოს, როგორც რეგიონის ცენტრალური სახელმწიფოს, დამოუკიდებელი პოლიტიკისუნარიანობის სტიმულირებისა). დასავლეთი, რა თქმა უნდა, არ აპირებს (და ვერ დააპირებს) რუსეთის ძალის დატოვებას კავკასიონის სამხრეთით. მაგრამ მას შეუძლია, რუსეთის განდევნის პარალელურად, აქ თავისზე ორიენტირებული არაქართული და ანტიქართული მიკროსახელმწიფოებისა და ანკლავების, მით უმეტეს — ფედერალური ერთეულების არსებობა დაუშვას და მას ხელი შეუწყოს. ე.წ. გადამწვდომი მიზანი ამ პოლიტიკისა, რომლის პროცესშიც საქართველოს ტერიტორიები შესაძლებელია გაიწიროს (მაგრამ არაა აუცილებელი, რომ გაიწიროს) დასავლეთის მიერ, არის ის, რომ დასავლეთმა გააფართოვოს თავისი დერეფანი ცენტრალური აზიისაკენ, სადაც მას დღეს-ხვალ უკვე რეალურად ამოქმედებული ფრონტი ექნება ჩინეთთან (მეორე ასეთ ფრონტად, როგორც იცით, წყნარი ოკეანე ივარაუდება). რაც შეეხება პუტინს, იგი გეოპოლიტიკის და სტრატეგიის კარდინალურ საკითხებში დასავლეთს სიტყვას ვერ უბრუნებს, რაც ჩანს თუნდაც იქიდან, რომ მან „საკუთარი ინიციატივით“, ფაქტობრივად, „ცივი ომი“ გამოუცხადა დასავლეთს, რაც დასავლეთის ეკონომიკისთვის მაცოცხლებელი ციური ცვარია და ერთიორად ინტენსიფიცირებული სიცოცხლის ელექსირია (მხედველობაში მაქვს რუსეთის მიერ კანონსაწინააღმდეგო „უშიშროების დოქტრინის“ გამოტანა და ევენტუალურ მოწინააღმდეგეებად აშშ-ისა და ნატოს დასახელება). თქმულიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოს ხელისუფლება მოვალეა გადამჭრელი ნაბიჯი გადადგას ამ პერსპექტივისაგან სახელმწიფოს დასაცავად: თავისი პოლიტიკური და დიპლომატიური თავდაცვა აგოს იმაზე, რომ ორივე ხსენებული ტერიტორია ქართველი ერის — ამ ტერიტორიის ავტოხთონური მოსახლეობის — ეთნიკური ტერიტორიაა, რომლის ხელყოფასაც იგი „ცოცხალი თავით“ არ უშვებს და რომლის სეცესიის მცდელობაც, ნებისმიერი ხარისხითა და ფორმით, არის პრეცედენტი მთელ მსოფლიოში (ევროპის ჩათვლით) ეთნიკური წშენდისა და მისი ძირითადი იარაღის — გენოციდის სტიმულირებისათვის. ის, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ამას არ აკეთებს — და ვერასოდეს ვერ იზამს — მისი არათუ მცდარობის, არამედ დეფექტურობის სიმპტომია.

ცილისწამება გასარკვევი მოტივით

ცნობილმა „ეზოტერისტმა“ (როგორც თვითონ უწოდებს თავისთავს), ბ-ნმა გივი ალაზნისპირელმა ცილი დამწამა, როცა თავის გაზეთში „ნოე“ ჩემი პორტრეტი მოათავსა ოთხ სხვას შორის კომენტარით „აი, ის ცრუ პატრიოტები, ვინც ჩემი დაპატიმრება მოითხოვა და ჩემი თავი დააპატიმრებინაო“. მე ბ-ნ ალაზნისპირელის დაპატიმრება არც ოდესმე მითხოვია ვინმესთვის, არც მომითხოვია. შევარდნაძის ხელისუფლების მიერ მისი დაპატიმრების და გამოშვების ფაქტი მე, უბრალოდ, არც ვიცი (გამომრჩა) ან, შესაძლოა, ვიცოდი, მაგრამ აღარ მახსოვს. ის კი ნამდვილად ვიცი, რომ არავის დაპატიმრებას სხვა რამ მიზეზით, გარდა სახელმწიფო ღალატისა, პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულისა ან ბენდუქიძისთანა და ლომაიასთანა ბოროტი დივერსანტობისა ქვეყნის საწინააღმდეგოდ მე არც მომითხოვია, ვერც მოვითხოვდი და ვერც მივემხრობი. ამგვარად, ხსენებული პუბლიკაცია მის ამ ნაწილში (სხვაზე ვერაფერს მოგახსენებთ), სიცრუეა.

მაინტერესებს ამ სიცრუის მიზეზი. როგორც ახლა მითხრეს (არ ვიცი, რამდენად სწორად) ბ-ნი ალაზნისპირელი შევარდნაძეს დაპატიმრებული ჰყავდა ებრაული ლობისათვის არასასიამოვნო ტექსტების გამოქვეყნების გამო, რომლებიც მრავალჯერაა გამოქვეყნებული ამ ასი წლის მანძილზე მიუხედავად იმისა, რომ მათი არც ნამდვილობა, არც სიყალბე დღემდე არავის მიერ დამტკიცებული არ არის (ტექსტის გამოქვეყნებისთვის კაცის დაპატიმრება, რა თქმა უნდა, თავისთავად ბარბაროსობაა). მკითხველმა შესაძლოა იცის, შესაძლოა არ იცის, რომ მე ამ ბოლო ხანებში რამდენიმე პუბლიკაცია მაქვს გაკეთებული იმის თაობაზე, რომ ებრაული ლობი ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ზოგ საკითხში ისე არ მოქმედებს, როგორც ჩვენთვის სასურველია და მოსალოდნელია, ჩვენი მაკავშირებელი მრავალი მეგობრული ფაქტორიდან გამომდინარე, და რომ ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეთა დასაკუთრებაში მას საკმაოდ სახიფათო, თუმცა ჯერჯერობით მთელი მასშტაბით არამოქმედებული პოზიციები უჭირავს. ამიტომ კითხვა მებადება: ხომ არ არის ბატონი ალაზნისპირელის მიერ დაბეჭდილი ცილისწამება სტიმულირებული ამ ლობის — გუშინ უკმაყოფილოს და დღეს, შესაძლოა, მასთან დამეგობრებულის — სურვილით, რომ ჩემი, როგორც დემოკრატის და ადამიანის უფლებების დაცვის ერთგული პირის, დისკრედიტაცია მოხდეს? ველი განმარტებას ბ-ნი ალაზნისპირელისაგან.

ნოდარ ნათაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ცივი ომი“ არც მომკვდარა, არც სძინავს

თვითმარქვია (უდიპლომო) ქართულ „პოლიტოლოგიას“, რომელიც ხალისითა და შესაშური თავდაჯერებით უტრიალებს მსოფლიოს დიდი, საშუალო და მცირე ძალების პოლიტიკური თუ სტრატეგიული თამაშების თემას, აზრად არ მოსდის დასვას ორი ფუნდამენტური და ამავე დროს სავსებით პრაქტიკული კითხვა: პირველი. რა იქნა „ცივი“ ომის ფაქტორი? გაქრა იგი საერთაშორისო სტრატეგიის პრაქტიკიდან თუ კიდევ არსებობს? ხოლო თუ არსებობს, როგორია ძალთა განლაგება და დიდ ინტერესთა განლაგება, შესაბამისად — ძალთა დაჯგუფებაც განჭვრეტადი მომავლისთვის? მეორე: ამა და ამ სახლმწიფოს სათავეში მდგომი პირები ამ სახელმწიფოს ინტერესებში მოქმედებენ თუ სხვა სახელმწიფოსაში — ან ორივესაში (რაც ვირტუოზულ ეკვილიბრისტიკას მოითხოვს, რომელიც ზოგს აქვს და ზოგს არა აქვს)? მეორე კითხვას ამჯერად არ ვეხებით. პირველთან დაკავშირებით კი დავიმოწმებთ THE ECONOMIST-ის პუბლიკაციას სათაურით „ურთიერთდაზარალება“ და ქვესათაურით „რატომ არის ერაყის ომი მოულოდნელად ცუდი ამერიკული სათავდაცვო ფირმებისათვის“, საიდანაც ჩანს, რა სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ზეგანითარებული ინდუსტრიული ქვეყნებისთვის (ასეთი კი მხოლოდ აშშ არ გახლავთ, არამედ არიან სხვანიც) არა მხოლოდ სტრატეგიული თვალსაზრისით, არამედ ეკონომიკურითაც, ე.წ. „შეიარაღებათა დოღს“, ანუ ცივი ომის ძირითად ნაწილს. დღემდე ცნობილი ერთადერთი ცივი ომი 40 წელიწადს გაგრძელდა და, პროგრამის ზუსტი შესატყვისობით, სსრკ-ს დაშლით დამთავრდა. არსებითია ის, რომ ეს ომი დასავლეთმა დაუძაბავად აწარმოა, სსრკ-მკი — გადაძაბვით. განმეორებადია თუ არა იგივე მიმართება დღეს? ეს, თავისთავად, გადამწყვეტი მნიშვნელობის საკითხია. მაგრამ ცივი ომის მექანიზმი, სახელდობრ, ქვეყნის და, კერძოდ, ეკონომიკის განვითარების ტემპის პირდაპირი კავშირი „შეიარაღებათა დოღის“ ამოცანებთან ყველა შემთხვევაში იგივე რჩება.

ჟურნალი გვეუბნება, რომ როცა ფირმა „ბოინგმა“ ა.წ. 18 აგვისტოს გამოაცხადა, რომ ხელს იღებს „სი-17“-ს (C-17) მოდელის მძიმე სანმხედრო სატვირთო თვითმფრინავების წარმოებაზე, ამან გამოიწვია პანიკა იმათში, ვისი მუშტარიც იყო და არის ბოინგი თავისი ამ პროგრამის შესრულების პროცესში. პროგრამა ჩერდება იმიტომ, რომ ჩერდება სახელმწიფო შეკვეთა, ხოლო

ავღანელი ქალები სწავლობენ — მაგრამ მხოლოდ ისლამურად

საექსპორტო შეკვეთათა თხელ ჭავლს ამ უკანასკნელის შეცვლა არ ძალუძს. არ არის გამორიცხული, რომ ანალოგიურად შეიკვეცოს სხვა სამხედრო პროგრამებიც. რატომ? იმიტომ, რომ ერაყის ომი ძვირია და მის მიერ მოთხოვნილი დამატებითი 100 მილიარდი დოლარი წელიწადში იწვევს დაგეგმილი სათავდაცვო ბიუჯეტის (441 მილიარდი) შეკვეცის საჭიროებას

ლიტვინენკო მოწამლვამდე და მოწამლვის შემდეგ

(პრინციპში. თორემ რეალურად, როგორც ეს ნათქვამია ამავე წერილში სხვაგან, ბიუჯეტი არ არის ამ ხარჯების დაფარვის ერთადერთი წყარო). მიუხედავად ამისა, ამ ომის საჭიროებები მაინც გარდუვალად აძნელებს ხარჯის გაწევას „ახალი პრიალა იარაღების“ შექმნისათვის.

თქმულის ილუსტრაციაა ის, რომ კონგრესი უკვე ეჭვობს, გამოყოს თუ არ გამოყოს 165 მილიარდი პროგრამისათვის, რომელიც განკუთვნილია მთელი არმიის პირადი შემადგენლობის არსებითი გადაიარაღებისათვის იმ მიმართულებით, რომ ქვეით ჯარისკაცს ჰქონდეს მყისიერი ინფორმაცია ბრძოლის ველზე არსებული მდგომარეობის შესახებ, რაც მიიღწევა თანამგზავრების და უკაცო მზვერავი თვითმფრინავების მეშვეობით. ეს პროექტი დღეს ანალოგიურ ამერიკულ პროექტებში მეორეა თავისი ღირებულებით. ამ ცოტა ხნის წინ არმიამ წარმოადგინა ამ პროექტის წინსვლის ტრიუმფალური ანგარიში და მოითხოვა მასში ორი პირველხარისხოვანი სამხედრო-სამრეწველო კონტრაქტორის — ბოინგისა და „მეცნიერების მიყენების საერთაშორისო კორპორაციის“ — ჩაბმა. მაგრამ ეს რომ განხორციელდეს კიდეც, ეს არ ნიშნავს, რომ საშიშროება არ დაემუქრება სხვა ანალოგიურ პროექტებს.

ერაყის ომი აშშ-ს გადაიარაღებას, ჟურნალის თქმით, ხელს უშლის არა მხოლოდ ფინანსურად, არამედ თავისი ბუნებითაც: „სტილის“ ცვლამ ერაყისთანა „ასიმეტრიული“ კონფლიქტებისათვის საჭირო მიმართულებით შეამცირა მოთხოვნილება „დიდი“ სიახლისა და სტრატეგიული გაქანების იარაღთა შექმნისადმი. ცივი ომის დროს პენტაგონი ამგვარი იარაღის შექმნისა და განვითარებისათვის წელიწადში 150 მილიარდს ხარჯავდა. ბერლინის კედლის დაცემამ ეს თანხა გაამესამედა. ბუში შეჰპირდა ძირითად სამხედრო-მრეწველ კონტრაქტორებს, რომ ეს ხარჯი აღდგება, და აღადგინა კიდეც იგი 170 მილიარდის ზომამდე „მიუხედავად იმისა, რომ სსრკ აღარ არსებობს“. 2001 წლის 11.09 ტერაქტის შემდეგ დიდ კონტრაქტორებს ბედნიერი დღე დაუდგათ სახელმწიფო შეკვეთების მხრივ. მართალია, ეს შეკვეთები ეხებოდა დიდ იარაღს, რომელსაც ტერორისტების წინააღმდეგ ვერ გამოიყენებ, მაგრამ საერთო მენტალური ამინდი იმგვარი იყო, რომ შეკვეთის დაფინანსებაზე უარის თქმა შეუძლებელი გახდა. „გარდა ამისა, ასეთი ხარჯი გულისხმობს ახალ სამუშაო ადგილებს, მათ შორის — ისეთ არეალებშიც, სადაც სხვა ინდუსტრია არ არის“.

ჰიზბულლას ლიბანელი ლიდერი ნასრალლა

დღეს ეს ბედნიერება, ჟურნალის სიტყვით, წარსულს ჩაჰბარდა. დიდი იარაღების განვითარება, რომელთა დანიშნულებაა აგრესიული , მტრული სუპერძალის (თანამედროვე სტრატეგიული იარაღით აღჭურვილის) დაძლევა, როგორც ამოცანა, ჩრდილში მოექცა. რაკი პროგრამის პირდაპირ უარყოფა „უხერხულად გამოიყურება“, პრაქტიკაშია ამგვარი პროექტების დაფინანსების კვეცა.

ერთერთი ამ გიგანტ კონტრაქტორთაგანი, ლოქჰიდ-მარტინი და მისი პოლიტიკური მხარდამჭერები იბრძვიან იმისთვის, რომ ძალაში დარჩეს ავიაგამანადგურებლის F-22-ის, სტელთის (ჩუმად მიმპარავის) წარმოების პროგრამა, რომელიც თავდაპირველად გულისხმობდა 381 ეგზემპლარის შეძენას (თითო ღირს 3900 მილიონ დოლარამდე), შემდეგ კი 190 მილიარდამდე შეიკვეცა, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელებმა დაარწმუნეს ინგლისელები, მონაწილეობა მიიღონ დაფინანსებაშიც და, ამის სანაცვლოდ, წარმოებაშიც. საფინანსო „ნაჯახისაგან“ ახალ იარაღებს ვერ იცავს ისიც კი, რომ ხდება ხშირ შემთხვევაში მათი მორგება პატარა ამოცანებთან, როგორიცაა ტერორისტებთან ომი. ასე, მაგალითად, გაკეთდა გამანადგურებელი ხომალდი DDG-1000 ფანტასტიკური აღჭურვილობით და მოქმედების დიდი რადიუსით, მაგრამ მისი შეკვეთა 32 ეგზემპლარიდან (თითო ღირს 3 მილიარდი) 7-ზე ჩამოდის. ალბათ გარდუვალია, ჟურნალის სიტყვით, დაფინანსების შეკვეცა ავიაგამანადგურებლებისათვის და საბრძოლო ხომალდებსათვის, რომლებიც უქმია პარტიზანებთან ომისა და ქალაქში ომების დროს.

იმაზე, თუ ფაქტორების რა რთული კომპლექსი თამაშობს როლს მნიშვნელოვანი და ტექნოლოგიურად მოწინავე იარაღების წარმოების ბედის განსაზღვრაში, მეტყველებს ჟურნალის მიერ მოტანილი სავარაუდო „შეთქმულების“ მაგალითი. მრავალნი ეჭვობენ, თურმე, „ბოინგის“ ზემოთ ციტირებული განცხადება სამხედრო-სატრანსპორტო თვთმფრინავების მშენებლობის შეწყვეტის შესახებ საგანგებოდ გაკეთდა, რათა ხელისუფლება შეაფიქრიანოსო, რადგან საბრძოლო მოქმედებებს ავღანეთში და ერაყში ტრანსპორტის სწორედ ასეთი საშუალება დასჭირდება და როცა პენტაგონი ამას იტყვის, გაუქმებული საწარმოო ხაზის უცებ განახლება შეუძლებელი იქნებაო. სამაგიეროდ, ამ დროს ბაზარში გამოვა ევროპული წარმოების ანალოგიური საფრენი აპარატი აერობუსი A-400-M და ამერიკელებისათვის პოლიტიკურად უფრო წამგებიანი იქნება ამ ევროპული აერობუსის ყიდვა, ვიდრე უფრო ძვირად ღირებული ამერიკული მანქანისო. ამ „შეთქმულების“ მიზანი ისაა, რომ ხელისუფლებას დაფინანსება გამოსძალონ თუნდაც მცირე შეკვეთისათვის, რომელიც ხაზის დაფინანსების შემცირებას ეკონომიკურად ასატანს გახდის. უეჭველია, ჟურნალის აზრით, რომ იქნება მოძრაობაც ადგილებიდან არჩეულ კონგრესმენთა მონაწილეობით იმისათვის, რომ შენარჩუნდეს ეს წარმოება, რომელიც სამას ათას სამუშაო ადგილს იძლევა. ამგვარად, ჟურნალის სიტყვით, სათავდაცვო-სამრეწველო შეკვეთების ბედი დამოკიდებულია არა მარტო პენტაგონზე, შემდეგ — პრეზიდენტზე და ბოლოს — კონგრესზე და მათს სტრატეგიაზე, არამედ ამათ „ყოფითდამაკმაყოფილებელ“ („ღორის ხორციანი კასრის“) პოლიტიკაზეც.

ავიაციის ძალა და მისი საზღვრები

სათაურით „დიდხანს გაგრძელებული ილუზია“ ჟ. The Economist აქვეყნებს მიმოხილვას, სადაც ნაჩვენებია ავიაციის შესაძლებლობათა საზღვრები იმ შეცდომასთან დაკავშირებით, რომელიც დაუშვა ისრაელმა, როცა მოინადინა ლიბანის ომის მოგება სახმელეთო ოპერაციების გარეშე. ჟურნალის ეს თემატური არჩევანი განპირობებულია, ცხადია, იმ კონტექსტითაც, რომ ცხოვლად დგას კითხვა: შეუძლია თუ არა დასავლეთს, ისრაელთან ერთად, ირანის დაჩოქება სახმელეთო ოპერაციების გარეშე, მარტოოდენ საჰაერო დარტყმებით მისი ბირთვული ობიექტების წინააღმდეგ, რაც დღეს ძალიან ბევრ სტრატეგსაც და მოქალაქესაც აფიქრებს.

გენერალ ჰალუცს, რომელიც წარმოშობით ავიატორია, ამ ომის წინ უთქვამს, „გამარჯვება ტერიტორიის დაკავებაში კი არ მდგომარეობს, არამედ ცნობიერებისაშიო“. ფიქრობენ, რომ ამ პირმა, რომელიც დღეს ისრაელის გენშტაბის უფროსია, დაარწმუნა ომში გამოუცდელი პრემიერ-მინისტრი ოლმერტი, რომ ლიბანში გამაგრებული ჰიზბულლას განადგურებისათვის საჰაერო დარტყმები კმარა. ამჯერად ეს ასე არ მოხდა. მაგრამ იდეა, რომ საავიაციო დარტყმით გამარჯვება უფრო სწრაფიცაა და ნაკლებ მსხვერპლიანიც, არსებობს იმ დღიდან, როცა ავიაცია გაჩნდა, და არსებობა დღემდე არ შეუწყვეტია.

ეს იდეა განსაკუთრებით ორგანული იყო იმათთვის, ვისაც პირველი მსოფლიო ომის ტალახიანი სანგრების საშინელება უნახავს. ერთერთი მათგანი იყო მეორე მსოფლიო ომში დიდი ბრიტანეთის ავიაციის სარდალი ჰარისი, „სტრატეგიული დაბომბვის“ იდეის ერთერთი ავტორი, რომელსაც ნათქვამი აქვს „გადამწყვეტი ბრძოლა ცის სიმაღლიდან, სადაც დაცული ხართ, სჯობია სულელი მოხალისეების სიკვდილს მავთულხლართებზე დაკიდებითა და მუცელში ტყვიის მიღებით“. ჰარისი და მისებრ მოაზროვნენი ჯერ კიდევ 1920-იან წლებში ამტკიცებდნენ, არმიები მხოლოდ არმიებს ებრძვიან, ავიაციას კი მტრის გულისგულში, მის ქალაქებში დარტყმის მიყენებაც შეუძლიაო. წარმატების მთავარი გზა ასეთ შემთხვევაში მტრის ფსიქოლოგიაზე ზემოქმედება�ა. ეს ფსიქოლოგიური ეფექტი, ინგლისის საჰაერო ძალების მეორე მსოფლიო ომისდროინდელი შეფის ტრენჩარდის სიტყვით, 20-ჯერ აღემატება ფიზიკურად მიყენებული ზიანისას. მას ისიც აქვს ნათქვამი, რომ ქალაქის არდაბომბვა (როცა მოელიან, რომ დაბომბავთ) უფრო ქმედითიც კია, ვიდრე მისი დაბომბვა.

ამ აზრის პარალელურად იმთავითვე ტრიალებდა აზრი, რომ ავიაცია ძლიერია წვრილ ომებში პატრიზანთა ტიპის მტრის წინააღმდეგაც. ამ აზრმა გამართლება პოვა, მაგალითად, ავღანეთში 1919 წელს, როცა იქაურმა ამირამ „ჯიჰადი“ გამოუცხადა ინგლისელებს და თავისი პოზიციები დათმო მას შემდეგ, რაც ერთადერთმა ჩატანილმა ბიპლანმა მის განლაგებაში ჩამოაგდო ოთხი 112 გირვანქიანი და თექვსმეტი 20-გირვანქიანი ბომბი. ამ გამარჯვების ფსიქოლოგიური ეფექტი უზარმაზარი იყო მტრისთვისაც და ბრიტანელი სტრატეგებისთვისაც. იგივე განმეორდა „გიჟი მოლას“ — მეჰდის წინააღმდეგ ბრძოლისას სომალიში შემდეგ წელს. მაშინდელმა სამხედრო მინისტრმა ჩერჩილმა გაგზავნა ზღვის ტრანსპორტით 6 პატარა თვითმფრინავი და ორი დღის განმავლობაში ბომბა მოლას ფორტი. მოლა გაიქცა და მისი 15 ათასი მებრძოლი გაიფანტა. ჩერჩილს ამით საბაბი მიეცა, პარლამენტში დაეტრაბახა, რომ წინა უშედეგო სახმელეთო ექსპედიციები 120 მილიონი ფუნტი დაჯდა, საჰაერო ოპერაციამ კი შედეგს სულ 77 ათასი ფუნტის ხარჯით მიაღწია. მაგრამ ამ ტრიუმფში უკვე გამოჩნდა მეთოდის სისუსტე: მოლა 700 მებრძოლით დარჩა ქვეყანაში და მხოლოდ მას შემდეგ მიატოვა იგი, რაც მის წინააღმდეგ სახმელეთო ოპერაციები ჩატარდა. ამ უკანასკნელთა მეთაურმა გენერალმა ისიც კი განაცხადა, რომ გამარჯვება მოჩვენებითი იყო: მფრინავებმა მხოლოდ გამიძნელეს საქმე იმით, რომ ერთ ადგილას თავმოყრილი მოწინააღმდეგეები ქვეყანაში გამიფანტესო.

შემდეგში ავიაციის გამოყენებაში მრავალი შეცდომა და გაუგებრობა ხდებოდა. ავიატორები თვითონ წყვეტდნენ, ვის დაარტყან და რას დაარტყან, და თავის არჩევანს სავარაუდო ფსიქოლოგიური ეფექტის მიხედვით ადგენდნენ. მიზანს ძალიან ნაკლებად ახვედრებდნენ. ზოგჯერ მიზანში ამოღებულ დასახლებულ პუნქტში ერთ ბომბსაც კი ვერ აგდებდნენ, მაგრამ თავდამსხმელის უმსხვერპლობა და ოპერაციის სიიაფე მუდამ გადაწონიდა ხოლმე კრიტიკულ შენიშვნებს. ჰარისი, რომელიც სხვა ავიატორ სარდლებზე უფრო გულახდილი იყო, მეორე მსოფლიო ომის დროს აღიარებდა ბომბდაშენის დამიზნების ნაკლოვანებას. დაიმედებული მხოლოდ მაშინ იქნებით, როცა მიზანი რამდენსამე კვადრატულ მილზე არანაკლებიაო, ასეთები კი მხოლოდ ქალაქებიაო. ამიტომ ქალაქები უნდა ვბომბოთ და ფსიქოლოგიური ეფექტი გარანტირებული იქნებაო. კონტინენტურ ევროპაში მოკავშირეთა დესანტის წინ 1944 წელს ის აზრიც კი ტრიალებდა, რომ შესაძლებელია ჰიტლერის დამარცხება სულაც დესანტის გარეშე, მარტოოდენ საჰაერო ოპერაციებით. დაბომბვამ, როცა მიზანში ამოღებული იყო ვიეტნამის ძალიან მცირე წარმოება, საწვავის ცისტერნები და ა.შ., თითქმის ვერაფერი გააწყო ამ ქვეყანაში, რომელსაც ულეველი რესურსები ჰქონდა და მოუხელთებელი შეიარაღებული ძალა ჰყავდა (ცისტერნებში დაგროვების მაგიერ საწვავის ველოსიპედებით დატარება დაიწყეს). როდესაც ტექნოლოგიურმა განვითარებამ მოიტანა პრეციზული (ზუსტი) დამიზნებისა და ცეცხლის მართვის შესაძლებლობა, ავიაციის შესაძლებლობები გაიზარდა. სადამ ჰუსეინის ქვეითი ნაწილების ადგილი განადგურება საჰაერო დარტყმების გამოყენებით ამ გარემოების დამსახურებაც იყო. პრეზიცული დამიზნების ძალა გამოჩნდა სერბიის დაბომვის დროსაც 1999 წელს. მაგრამ ჯამში, მიუხედავად ყოველივე ამისა, ირკვევა (კოპრუმისა და ჯონსონის სპეციალური გამოკვლევის მიხედვით), რომ საჰაერო დარტყმები არაეფექტურია ამბოხებისა და ტერორისტების წინააღმდეგ. ასეთი მიზნებისათვის საჰაერო ძალა სარგებლიანია, ძირითადად, მხოლოდ არაპირდაპირი გზით: დაზვერვისათვის, ტრანსპორტირებისა და კომუნიკაციისათვის. ეს ჭეშმარიტება დაგროვილ ფართო გამოცდილების საფუძველზე გაიგეს სხვებმაც და არა მხოლოდ ისრაელელებმა ამ უკანასკნელ ომში. ავიაციის შესაძლებლობათა არსებითი ნაკლია ისიც, რომ საჰაერო დაბომბვა იძლევა მძლავრ უკუეფექტებს, როცა იგი იწვევს დიდ მსხვერპლს მოწინააღმდეგის მოსახლეობაში. ისრაელის უაღრესად ქმედითმა დაზვერვამაც კი, რომელმაც მის შეიარაღებულ ძალებს შეაძლებინა ძალიან ზუსტი დარტყმები ჰამაზისა და სხვა მებრძოლი ორგანიზაციების ლიდერებზე და მათს სახლებზე, ვერ შეუშალა ხელი ამ ზუსტი აფეთქებების შედეგად მეზობლად მყოფი ადამიანების დაღუპვას. ლიბანის ომში ამაზე უარესიც მოხდა: სამოქალაქოები მრავლად დახოცეს, სამხედრო მიზნებს კი ძალიან იშვიათად თუ მოარტყეს. კერძოდ, სარაკეტო ძალა, რომელიც რაკეტებს აგზავნიდა ისრაელის ტერიტორიაზე, თითქმის დაუზიანებელი დარჩა. გენერალი ჰალუცის რწმენა, რომ მარტოოდენ საჰაერო დარტყმებით მიაღწევდნენ საწადელს, მისივე აღიარებით ემყარებოდა სერბიაში ჩატარებული ოპერაციის გამოცდილებას, როცა ქალაქების ინფრასტრუქტურის დაბომბვა ხდებოდა ხელისუფლებაზე ზემოქმედების მიზნით. ამ ომში ისრაელის მიერ არჩეული ტაქტიკის მარცხმა, ჟურნალის სიტყვით, განაპირობა ის, რომ ომის ბოლო დღეებში ისრაელმა აირჩია ტერიტორიის დაკავების მიზნით მცირე ჯგუფთა დიდი რაოდენობის გაგზავნაც ლიბანში, რომელთაც სპეციალურად შექმნეს გამარჯვების გამათვალსაჩინოებელი სურათი: დაიკავეს ტერიტორიის გარკვეული რაოდენობა.

ჯამში, ჟურნალს მიაჩნია, რომ „ჭეშმარიტად ჭკვიანი ბომბი“ ილუზიაა. შესაბამისად, ილუზიაა საჰაერო დარტყმებით ომის მოგებაც სახმელეთო ოპერაციების გარეშე.

როგორია ავღანეთის ომი სინამდვილეში?

ავღანეთის ჩრდილო ნაწილში და სამხრეთ ნაწილში სხვადასხვა მდგომარეობაა: ჩრდილოეთში, რომელიც გარეკლამებულია, როგორც სავსებით წყნარი და დასავლელებისათვის უპრობლემო მხარე (რადგან ქვეყნის სწორედ ამ ნაწილში არსებულ პარამილიტარულ რაზმებს დაეხმარნენ ამერიკელები თალიბების განდევნაში, რაც სრული გამარჯვებით დამთავრდა 2001 წელს), — სინამდვილეში მწვავე პრობლემა არსებობს. საქმე ის გახლავთ, რომ მთავრობა იქ მდგომ დასავლელთა ეგიდით („საერთაშორისო უსაფრთხოებისა და დახმარების ძალები“, რომელშიც ნატოს ძალებიც შედიან) არ მიდის არავითარ დაპირისპირებაზე ადგილობრივ ადმინისტრაციასა და პოლიციასთან, რომელიც დიდწილად დაკომპლექტებულია სწორედ იმ არაოფიციალური რაზმების მებრძოლებით, ვინც აქ პარპაშობდნენ წლების მანძილზე (ხოლო რაზმთა მაშინდელი მეთაურები ახლა მაღალი თანამდებობის პირები არიან ამ სტრუქურებში, რაც მათ საშუალებას აძლევს, განუკითხავად შეავიწროონ მოსახლეობა, როგორც მიჩვეულნი იყვნენ იმ თავისი პარპაშის წლების მანძილზე). ეს მოსახლეობაში იწვევს არა მხოლოდ უკმაყოფილებას, არამედ უსამართლობის განცდასაც, რადგან დასავლელ ძალებს, წესით, მოსახლეობის დაცვაც ავალიათ. მოსახლეობა ამბობს, თურმე (ჟ. NEW STATESMAN), „აქაც რომ წინააღმდეგობის მოძრაობა არსებობდეს, როგორც სამხრეთშია (იგულისხმება: თალიბების წინააღმდეგობა), ჩვენც ლამის მასში შესვლას გადავწყვეტდითო“. დასავლელთა შესაძლებლობები, რომ გავლენა მოახდინონ მოვლენათა განვითარებაზე, თანდათან სუსტდება. ადგილობრიოვი ხელისუფლების უდიდესი პრობლემაა კორუფცია. დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტის ქარზაის ავტორიტეტი ძალიან დაცემულია.

ადგილობრივი რაზმების ზემოხსენებული მონოპოლიური პარპაშის დროს მძიმე დანაშაული, როგორიცაა ადამიანთა გატაცება, მკვლელობა თუ გაუპატიურება, ხშირი იყო. ახლა ნაკლებია, მაგრამ მაინც ბევრია. ქვეყნის ეკონომიკის ერთი მესამედი ნარკომცენარეების მოყვანასა და გასაღებას ემყარება (თალიბები, როგორც ჩვენს მკითხველს ალბათ ახსოვს, ამ სახის მეურნეობას უსასტიკესად და წარმატებით კრძალავდნენ). თუმცა ადგილობრივი პოლიციის — ანუ ყოფილი რაზმელების — აღვირახსნილობა მოთოკილია უცხო ძალების აქ მყოფობით, მოსახლეობას ესმის, რომ მათი წასვლის შემდეგ ეს განუკითხაობა ძველ მასშტაბს მიუახლოვდება, მაგრამ ამჯერად — ოფიციალური ფორმის გამოყენებით. არის სამართალდამცავი ორგანოების მიერ პატიმართა წამების შემთხვევებიც საკმაოდ პრიმიტიული მეთოდით (მაგ. ელექტროშოკისათვის ძველ, ხელით სატრიალებელ ტელეფონის აპარატთა გამოყენებით). პოლიცია მონაწილეობს არაერთ დანაშაულში ნარკოკონტრაბანდის ჩათვლით.

ავღანელებს, ჟურნალის ცნობით, არასოდეს ჰქონიათ დიდი ნდობა სახელმწიფოსადმი, რომელიც მხოლოდ გადასახადების აკრეფაზე და ჯარში გაწვევაზე ფიქრობს. 2001 წელს დასავლელი ძალების იქ შესვლის შემდეგ ცოტა იმედი მიეცათ დემოკრატიაზე, ადამიანთა უფლებებზე და დახმარებაზე ლაპარაკის შედეგად. ახლა იმედი, რომ დასავლელები ცხოვრების აწყობაში მოეხმარებიან, შედარებით გახუნებული აქვთ. მიაჩნიათ, რომ დასავლელები უფრო უნდა ეხმარებოდნენ. ანტიდასავლური ლაპარაკი, რომელსაც ადრე ვერ გაიგონებდით, ახლა შეიძლება აქა-იქ გაიგონოთ. დასავლელების მოქმედებით უკმაყოფილებას, დღესდღეობით, ასეთი შედარებით რბილი ფორმები აქვს: ადმინისტრაციის წარმომადგენელი საყვედურს გამოთქვამს, რომ დასავლელებმა გზა უხარისხოდ გააკეთეს. მისი რეაგირებაა: „თქვენ, ინგლისელები, ერთხელ უკვე მოგიშორეთ. რუსებიც მოვიშორეთ, ჩინელებიც. შეგვიძლია ესენიც (ამერიკელები. რედ.) მოვიშოროთ“.

რუსები ლონდონში ნადირობენ. ლიტვინენკოს მოწამლვა პრესის პირველი თემაა

ლიტვინენკოს მოწამლვამ ლონდონში, ჟ. THE WEEK-ის სიტყვით, ცივი ომის ატმოსფერო გააცოცხლა. ლიტვინენკო იყო 41 წლის. რუსეთიდან გავიდა 2001 წელს, მიიღო ბრიტანეთის მოქალაქეობა და გააჯერა თავისი სამსახურის – რუსეთის „უშიშროების ფედერალური სამსახურის“ („ფე-ეს-ბეს“) აუარებელი საიდუმლოებები იმ აზრის ჩათვლით, რომ ბინების აფეთქებას რუსეთის ქალაქებში იმ მიზნით, რომ საბაბი მონახულიყო ჩეჩნეთში ომისათვის (რამაც პუტინს პრეზიდენტობა მოუპოვა), მოწყობილი იყო თვით ფე-ეს-ბეს მიერ. მოწამლვის წინ ლიტვინენკომ გაახმაურა თავისი აზრი, რომ ჟურნალისტი ქალი ანა პოლიტკოვსკაია ამავე გუნდის მოკლულია. ლიტვინენკოს ერთ-ერთი უკანასკნელი საუბარი იყო მისი შეხვედრა შპიონაჟის იტალიელ ექსპერტთან მარიო სკარამელასთან (სუშის რესტორანში), სადაც სკარამელამ გააფრთხილა, რომ ორივეს სახელები ნახა კრემლის მიერ მოსაკლავად მონიშნულ პირთა სიაში.

ჟურნალი ჩამოგვითვლის, რას ხედავენ ამ ტერორისტულ აქტში სხვადასხვა გაზეთთა რედაქციები და ჟურნალისტები.

„ვაშინგტონ პოსტი“ წერს, „უმარავლესობა ვფიქრობთ, რომ რუსებმა კარგა ხანია განაახლეს გარეთ გასულ დისიდენტთა მოკვლის პრაქტიკაო“. „გარდიანი“ წერს, ლიტვინენკო უდავოდ ეკალი იყო კრემლის თვალშიო. იგი ბრალად სდებდა კრემლს ანა პოლიტკოვსკაიას მოკვლასაც და რუსეთის ქალაქებში ჩეჩნეთისაკენ კვალის წასაყვანად ბინების აფეთქებასაც. „ტაიმსის“ აზრით, მომხდარი მოწმობს, რომ „ცივი ომისა“ ყველაფერი წარსულს არ ჩაჰბარებია. „ფე-ეს-ბეს მიერ დასავლეთი ახლაც განიხილება, როგორც მტერი“. თუ გამოირკვა, რომ რუსებს ხელი ურევიათ ლიტვინენკოს მოწამლვაში, ეს იქნება დიდი სკანდალიო. „დაუშვებელია, რომელიმე არამზადა უშიშროების სამსახურს უფლება ეძლეოდეს დაუსჯელად ხოცოს ბრიტანელები მათსავე ქვეყანაში“ (ლიტვინენკო ხომ ბრიტანეთის მოქალაქე იყო).

ჟურნალისტი „ინდიპენდენტში“ შეახსენებს მკითხველს, რომ, რაკი ლიტვინენკომ თავისი მამხილებელი წიგნით უსიამოვნება მიაყენა თავის ძველ კოლეგა ფე-ეს-ბეელებსაც და თვით ამ ორგანიზაციასაც, ვერ გამოვრიცხავთ პირადი შურისძიების შესაძლებლობასაც, როგორც მისი მოწამლვის მოტივს. „დეილი ტელეგრაფის“ ჟურნალისტი წერს, რომ ძნელი წარმოსადგენია, რუსეთი დღეს ბედავდეს თავისი მტრების მოწამლვას ლონდონში. მაგრამ, მისი სიტყვით, მის ამ შეეჭვებაზე ეცინება მის მოსკოველ მეგობარს, რომელიც ფიქრობს, რომ რუსეთის სპეცსამსახურებმა „შეიძლება მოგკლან სადაც გინდა, ლონდონის ჩათვლით“, მით უფრო, რომ პუტინმა გაუფართოვა უფლებები ფე-ეს-ბეს, მისცა უცხოეთში მკვლელობათა მოწყობის დასტური და ხელისუფლება გაავსო უშიშროების ხალხით. „უოლ სტრიტ ჯორნელის“ ჟურნალისტის სიტყვით, რუსეთში 1921 წლიდან არსებობს საიდუმლო ლაბორატორია, სახელად „კამერა“, რომელიც სპეციალურად ქმნის საწამლავებს იმ ანგარიშით, რომ ექსპერტებმა ისინი ვერ ამოიცნონ მანამდე, სანამ დაბნეული ექიმების დახმარება ნაგვიანევი არ გახდება. მოწამლვის ორგანიზაცია, მისი აზრით, გაადვილა ლონდონში მდიდარი რუსი ემიგრანტების მომრავლებამ, რომელთა გამოც ლონდონს რუსებმა „მოსკოვი თემზაზე“ შეარქვეს. ამ იმიგრანტთა თვითგრძნობაში, მისი სიტყვით, ამ მოწამლვის შემდეგ ცვლილებები მოხდება უარესისაკენ. „გარდიენის“ ჟურნალისტი კითხულობს, რომელი ემიგრანტი იქნება კრემლის მომდევნო მსხვერპლი ლონდონში. სახელდებიან ბერეზოვსკი და ზაკაევი. პუტინს, მისი აზრით, ამის გამო დასავლეთისაგან საყვედური არ შეეჰხვდება, რადგან ამ უკანასკნელს ამჟამად ძალიან ესაჭიროება რუსული გაზი და რუსეთის დახმარება ჩრდილოეთ კორეასა და ირანზე ზემოქმედებისათვის.

ნაბიჯი რამე ირანმა ამერიკის ომით ერაყში? არა, მოიგო

ამ აზრს ჟ. THE WEEK აკონკრეტებს ირანის იმ მთავარ ოცნებათა ჩამოთვლით (ჯერ კიდევ აიათოლა ხომეინის დროიდან), რომლებიც მას, ჟურნალისტის სიტყვით, ამერიკელებმა ერთი მოსმით შეუსრულეს. აი, ეს ოცნებები:

– ერაყის სამხედრო ძალის განადგურება

– სადამ ჰუსეინის, როგორც „სახიფათო მეტოქის“, მოცილება

– შიიტური რევოლუციის გაფართოება

– ისლამური ფუნდამენტალიზმის გავლენის განვრცობა

– ამერიკელების ცუდად გამოჩენა, როგორც „დიდი სატანისა“.

ერაყში ამერიკლების გასაჭირის წყალობით ირანი ახლა თავს მაგრად გრძნობს. ამიტომ, თანხმდება რა, თითქოს, მოლაპარაკებაზე, იგი აყენებს პირობებს, რომლებიც მოწინააღმდეგის მიერ მიღებული ვერ იქნება. ირანელები ფიქრობენ, რომ ამერიკელები მათ ვერ დაარტყამენ ორი რამის გამო: ერაყის ომით გამოწვეული სამხედრო გადაძაბვის გამო და მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის შიშის გამო. ჟურნალს მოჰყავს ჰენრი კისინჯერის აზრი, რომ, შექმნილ ვითარებაში, ირანს დღეს ისეთი გეოსტრატეგიული შესაძლებლობები უჩნდება, როგორიც საუკუნეთა მანძილზე არ ჰქონია.

ასეთი აზრიც არსებობს, სამწუხაროდ

მე-9 გვერდიდან

(ან სხვა ორმხრივ და მრავალმხრივ სამხედრო კავშირებში) საქართველოს შეუსვლელობა მისი ამ დაუცველი მდგომარეობის დასტაბილებას (მარადიულყოფას) ნიშნავს.

ყოველივე თქმულის გათვალისწინებითლა (მაგრამ არა მანამდე) იწყება ქართული პოლიტიკური აზრისა და ნების ყველაზე მძიმე ამოცანა. დასავლეთი, რა თქმა უნდა, არც საქართველოს ბიძებისაგან შედგება, არც მისი გადარჩენისათვის თავის გაწირვის ან თუნდაც დამატებითი უკომფორტობის შექმნის მსურველთაგან. დასავლეთს შეუძლია ჩვენი ქვეყნის გაწირვაც და ფეხებზე დაკიდებაც. რით შეგვიძლია ჩვენ (ჩვენსა და დასავლეთს შორის ერთობლივი სასიცოცხლო ინტერესების გათვალისწინებით) ამ ხვედრისაგან თავის დაცვა? პასუხი ერთია: არა სამხედრო ალიირებაზე ხელის აღებით (რის იდეასაც რუსეთი გვინერგავს თავის აგენტთა პირითა და კალმით), არამედ ამ სახის ალიანსებისათვსის (ორმხრივი იქნება ეს თუ მრავალმხრივი, ნატოსავით) ერთობლივი პასუხისმგებლობის არეალთა და პირობათა წინასწარი განსაზღვრითა და დაფიქსირებით. ამ ბაზაზე (და მხოლოდ ამ ბაზაზე) არის შესაძლებელი, მეზობელი ქვეყნების ევენტუალური შემოტევების აღკვეთა ჩვენ და ჩვენ მოკავშირეთა ინტერესების წინააღმდეგ. მაგალითად, ალიანსს, რომელშიც საქართველოც იქნება და დასავლელებიც, შეუძლია შეთანხმება ჰქონდეს იმავე ირანთან, რომ ჩვენს სტრატეგიულ მოძრაობას დასავლეთი-შუა აზიის ხაზზე იგი დაბრკოლებას არ უქმნის, ხოლო ჩვენ მის ამა და ამ ინტერესებს არ ვეხებით (ან ხელს ვუწყობთ) და ა.შ. ჩვენი ქვეყნის მომცველი სათავდაცვო ალიანსის ანალოგიური შეთანხმებები შეიძლება თურქეთთან, რუსეთთან და ნებისმიერ სხვასთან. რადგან არც სათავდაცვო ალიირება გამორიცხავს შეთანხმებას მოპირისპირე ალიანსებთან და არც მოწინააღმდეგეთა არსებობა გამორიცხავს ალიირებას ერთობლივი ინტერესების მქონე ქვეყნებს შორის.

როგორი იქნება ეს შეთანხმებები, რა პირობები გვინდა და რის მიღწევა ძალგვიძს? სწორედ აქ იწყება ქართველთათვის დღეს პოლიტიკური აზრისა და ისტორიული გადაწყვეტილების, ანუ გონებისა და ნების ყველაზე მძიმე ისტორიულმასშტაბიანი დასაქმების ასპარეზი. ვისაც გული ერჩის ამ მძიმე ამოცანისათვის, მასთან დაკავშირებული უმძიმესი ტვირთის ზიდვისათვის, დაე, ეს ტვირთი თავს იდოს. ვისაც არ ერჩის, ჯობს, ბავშვური ტიტინით არ ხელყოს და ამით პოპულისტური დემაგოგიის საგნად არ გახადოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის სფერო.

საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს განათლების ეროვნული კავშირის გამგეობის მიმართვა

ბატონო პრეზიდენტო, მოგმართავთ საზოგადოებრივი ინიციატივით, თქვენი კონსტიტუციური უფლებამოსილების შესაბამისად მიმართოთ საქართველოს გენერალურ პროკურატურას, რათა მან ყველა იმ პირის მიმართ, ვინც ირიცხებოდა ან ირიცხება აფხაზეთის ე.წ. რესპუბლიკისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უშიშროების სამსახურსა და შეიარაღებულ ძალებში, დაიწყოს სისხლის სამართლებრივი დევნა, როგორც საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების, ასევე ინტერპოლის მეშვეობით. ჩვენს ინიციატივასთან დაკავშირებით სასურველად მივიჩნევთ პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და გენერალური პროკურატურის ოფიციალურ წარმომადგენლებთან შეხვედრას და სათანადო არგუმენტების წარმოდგენას. გთხოვთ ოფიციალურ პასუხს.

პატივისცემით

განათლების ეროვნული კავშირის თავმჯდომარე გიორგი ამაშუკელი

საქართველო. თბილისი. 01.01, სუმბათაშვილ-იუჟინის ქ. №16, ტელ: 893 31 06 18, 66-72-82, 79-46-33

ბატონო პრეზიდენტო, მოგმართავთ საზოგადოებრივი ინიციატივით, გააუქმოთ:

ა) ბ-ნ ელცინისა და ე.ა. შევარდნაძის მიერ ხელმოწერილი სოჭის 1992 წლის 24 ივნისის შეთანხმება „ქართულ-ოსური“ კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ.

ბ) ჯ. იოსელიანისა და ს. ჯინჯოლიას მიერ ხელმოწერილი მოსკოვის 1994 წლის 14 მაისის შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ.

ჩვენს ინიციატივასთან დაკავშირებით სასურველად მივიჩნევთ პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან შეხვედრას და სათანადო არგუმენტების წარმოდგენას. გთხოვთ ოფიციალურ პასუხს.

პატივისცემით,

განათლების ეროვნული კავშირის თავმჯდომარე გიორგი ამაშუკელი

საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ქ-ნ ნინო ბურჯანაძეს

განათლების ეროვნული კავშირის გამგეობის მიმართვა

ბატონო პრეზიდენტო, ქ-ნო პარლამენტის თავმჯდომარე, მოგეხსენებათ, რომ საქართველო ისტორიულად ყოველთვის იყო კავკასიის კულტურული და პოლიტიკური ცენტრი. ჩვენი კავშირი მოგმართავთ საზოგადოებრივი ინიციატივით, საქართველოს სახელმწიფოს ეგიდით თბილისში მოწვეულ იქნეს იბერიულ-კავკასიური კულტურის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ეუთოსა და ევროპის საბჭოს მონაწილეობით და იბერიულ-კავკასიური ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი იუნესკოს მონაწილეობით. ჩვენი კავშირის აზრით, აღნიშნულ კონფერენციასა და ფესტივალზე განსაკუთრებით უნდა გამოიკვეთოს ქართულ-ვაინახური კულტურული კავშირი, რა მიზნითაც საჭიროდ ვთვლით თბილისში ჩეჩენი და ქისტი (ინგუში) მეცნიერების, კულტურისა და რელიგიის მოღვაწეების მოწვევას როგორც ჩეჩნეთიდან და ქისტეთიდან (ინგუშეთიდან), ასევე ევროპის, აზიისა და ამერიკის დიასპორებიდან. ჩვენი კავშირის ამ ინიციატივის განხორციელების მიზნით სასურველად მივიჩევთ საერთაშორისო საორგანიზაციო კომიტეტის შექმნას.

პატივისცემით

განათლების ეროვნული კავშირის თავმჯდომარე გიორგი ამაშუკელი

გაზეთ „საქართველოს“ ახალი და ძველი ნომრების შეძენა შეიძლება რედაქციაში

სარედაქციო კოლეგია	რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5 ტელ: 93-15-89, 93-17-10	შპს გაზეთი „საქართველო“ რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ №06/4-444 გაზეთის ინდექსი 66447	გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორი აგებს.